პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ოქტომბერი **პარასკევი** 2011

№242 (13539) ფასი 80 თეთრი

ევროორმაგეული

ოთხი საგზურისთვის

სლავენ ბილიჩი ხორვატიას რევანშისთვის დარაზმავს

EURO2012 POLAND-UKRAINE

თურქეთი–ხორვატია

ბოსნია–პორტუგალია

ესტონეთი–ირლანდია

ჩერნოგორია–ჩეხეთი



8

სომხეთი VS უეფა

ტიერი ანრი რაღა შუაშია?

9

მოვიდა ზურაბი...

ზვიადაური ბრუნდება



10

სუპერლიგისკენ სერბულ-ამერიკული ლეგიონი დაიძრა

მილუტინოვიჩი ოლიმპში

12

ილიჩი ექიმებში

მაკემონი შსს–ში

საკალათბურთო ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● გულდასაწყვეტი

ასათიანი ისევ უგუნდოდაა

ახლახან მოსკოვის "ლოკომოტივის" ყოფილმა თავდამსხმელმა **რუსლან პიმენოვმა** "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში ყოფილი თანაგუნდელი **მალხაზ ასათიანი** ახსენა.

"ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ დმიტრი ლოსკოვზე ადრე მომიწევდა კარიერის დასრულება, არადა, მასზე რვა წლით უმცროსი ვარ, მაგრამ რა გასაკვირია, ცხოვრება ხომ ასეა მოწყობილი. ჩემზე რა ვთქვა, როდესაც მალხაზ ასათიანი ერთი წელია უგუნდოდ არის. საწყენია, იგი ასეთ ბედს არ იმსახურებს" – თქვა პიმენოვმა.

მართლაც საწყენია, რომ 31 წლის ასათიანი (რაც მცველისთვის საუკეთესო ასაკია) ამჟამად უგუნდოდ არის და, რაც მთავარია, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ვერ ეხმარება. თუ გავიხსენებთ, "ჯვაროსანთა" უკანა ხაზი სწორედ მაშინ თამაშობდა კარგად, როდესაც მოედანზე მალხაზი იყო. მისი უგუნდობა და ნაკრებში უთამაშებლობა გუნდს აშკარად უარყოფითად დაეტყო.

ერთი წელია, ასათიანი უგუნდოდაა და ეტყობა, სწორედ ამტომაც აგორდა ხმები, თითქოს მან კარიერა დაასრულა და მოედანზე დაბრუნებას აღარ აპირებს. არადა, ეს არ დასტურდება – გამოცდილი ქართველი მცველი რუსეთში დაბრუნებას იმედოვნებს.

ასათიანს საქართველოში თამაში არ სურს და თბილისის "დინამოს" წინადადებაც უარყო. იყო ინფორმაცია, თითქოს "ზესტაფონში" თამაშის საფასურად **ილია კოკაია** დიდ თანხას სთავაზობდა, მაგრამ ეს არ დადასტურდა.

თვეზე მეტია, მალხაზი საქართველოშია და მადლიან საქმესაც აკეთებს – ორიოდე დღის წინ ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ მახაში ახალაშენებული ტაძარი აკურთხეს, რომელიც ასათიანის სახსრებით აშენდა.

მალხაზ ასათიანი

მერაბ მამულაშვილი

● ინტერვიუ ელგუჯა გუგუშვილთან

მწვრთნელი, მეცნიერი, პედაგოგი

დოსიე

- **საქართველოს** ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- **კემბრიჯის** უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (აღიარებული XX საუკუნის საუკეთესო მეცნიერად)
- **ნიუ იორკის** აკადემიის წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
- **წლების განმავლობაში** ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის რექტორი, შემდეგ კი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი
- **დღეს** აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი 151 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ჰყავს მომზადებული 25 მეცნიერებათა დოქტორი.

არანაკლებ შთამბეჭდავია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის სპორტული მიღწევებიც: სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მოყვარულთა ნაკრების, საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას", საქართველოს სტუდენტთა ნაკრების, საქართველოს სპორტსაზოგადოებათა ნაკრების, თურქმენეთის ეროვნული ნაკრების, ამ ქვეყნის უძლიერესი კლუბის „კოპეტდაგის", ბერძნული „იანინას" და საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი! აღარაფერს ვამბობთ მისთვის ყველაზე ძვირფას და მშობლიურ „ზოოვეტზე" — 40 წელიწადი რომ ავარჯიშებს და პატრონობს; მომავალ კვირაში, კერძოდ კი 20 ოქტომბერს, სწორედ „ზოოვეტის" დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებული ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარდეს: მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე „ზოოვეტის" სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთაგან შემდგარი ნაკრები საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებს დაუპირისპირდება. იმის თქმა წინდაწინვე შეიძლება, რომ მართლაც საინტერესო მატჩი გველოდება არანაკლებ საინტერესო „პერსონაჟებით". ცნობილ მწვრთნელსა და მეცნიერს გუშინ შევხვდით და ჩვენი საუბარი სწორედ მოახლოებული მატჩით დაიწყო.

— „ზოოვეტის" შემადგენლობაში ვის ვიხილავთ?

— თითქმის ყველა იმ ცნობად სახეს, ამ 40 წლის განმავლობაში ვისთანაც მიმუშავია — ნუკრი კაკილაშვილს, ავთანდილ ქანთარიას, გიორგი დარასელიას, სოსო ფრუიძეს, ვიაჩესლავ მერეჩკოს, ზაზა რევიშვილის, კახა და ქართლოს ჭუმბურიძეებს, ზურაბ თოფურიას, დათო კევლიშვილს, გურამ ასპინძელაშვილს, გია ჭიაბრიშვილსა და სხვებს.

— თქვენ მიერ ჩამოთვლილთაგან უმრავლესობა კვლავაც ფეხბურთში საქმიანობს; „ზოოვეტის" ყოფილი მოთამაშეები და დღესდღეობით სხვა სფეროს წარმომადგენლებიდან ვინ შეიძლება ვიხილოთ?

— სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებენ ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი, ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი ლევან კვიციანი, ისანი-სამგორის პოლიციის უფროსი გოდერძი ნატროშვილი; ამათ გარდა, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრების წინააღმდეგ თქვენი კოლეგებიც ითამაშებენ: ლაშა დვალიშვილი, დიმიტრი ობოლაძე, გიორგი გულბანი.

» მე-3 გვერდზე

90-იანი წლების დასანყისის ზოოვეტი

● შევადგინოთ გეგმა

მეორე წრეზე

90-იანი წლების ბოლოს იაპონელებმა შეადგინეს გეგმა, რომლის მიხედვითაც 50 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გამხდარიყვნენ. ამერიკელებმაც ამ დროისთვის თქვეს, 30 წლის შემდეგ მუნდიალის პრიზიორებში მოსახვედრად ვიბრძოლებთო. ფრანგებმა კი, 80-იანი წლების ბოლოს ამოქმედებული პროგრამით, უძლიერესი თაობები გაზარდეს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

რუსებმა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნიჭიერი ახალგაზრდები შეარჩიეს და თითოეული მათგანის განვითარების ინდივიდუალურ გეგმას ადგენენ.

მაგრამ ესეც ლოკალური პროექტია, გონივრული მუშაობის მაგალითად კი ესტონეთი გამოდგება: ოდესღაც არასაფეხბურთო ქვეყანამ ევრო 2012-ის ჯგუფში მეორე საპლეიოფო ადგილი დაიკავა და უკრაინა-პოლონეთის მოედნებზე მოხვედრას იმედოვნებს. ეს ის ქვეყანაა, რომლის კლუბებსაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თითქმის არ უთამაშიათ. ამის მიუხედავად, რუსების, უკრაინელებისა და ლატვიის შემდეგ სწორედ მათ შეძლეს პოსტსაბჭოელებიდან ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება და მაყურებლის გახარება.

ბოლო ერთ წელიწადში თბილისს ესტონეთის სამი ნაკრები ესტუმრა – ეროვნული, ახალგაზრდული და 19-ლამდელების. სამივე იდენტურ ფეხბურთს თამაშობდა და, თუ გახსოვთ, ქეცბაიას სადებიუტო მატჩში, ბოლო წუთზე მოგების მიუხედავად, სტუმრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, გუნდი აზრიანად მოქმედებდა და ფეხბურთელებმა იცოდნენ თავისი ადგილი მოედანზე – წააგეს, მაგრამ პერსპექტივა გამოაჩინეს. ასეთივე აზრი დაგვრჩა მათ ასაკობრივ გუნდებზეც.

და ეს ყოველივე იმიტომ, რომ საფეხბურთო მეურნეობა არა მწვრთნელს, არამედ მენეჯერს ჩააბარეს, ჯერ ჰოლანდიელს, შემდეგ კი გერმანელს და მათაც ჩინებულად გამოიყენეს მნირი რესურსი, რაც მთავარია, ესტონური ფეხბურთი კარგად გააზრებული მიმართულებით წაიყვანეს და ეროვნული ჩემპიონატი გააძლიერეს.

შედეგად, აღიარება – არასაფეხბურთო ესტონეთი, ჩერნოგორიასთან ერთად, უეფამ შესარჩევი ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად დაასახელა.

ლატვიელები ყოველთვის მეზობლებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადასვლა მათაც უჭირდათ. ახლა ისინი საშუალო ევროპულ დონეს უახლოვდებიან, რადგან ქვეყანაში ერთიანი საფეხბურთო მიდგომა არსებობდა და, ცხადია, ლატვიაშიც ეროვნულმა ჩემპიონატმა გარკვეულ დონეს მიაღწია.

სომხებმა ათიოდე წლის წინ კლუბებში ინვესტირება დაიწყეს. თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენს მეზობლებს უკეთესი ბიზნესგარემო არ ჰქონდათ, ფეხბურთის განვითარება სახელმწიფოს ნება იყო და არა ბიზნესის. შედეგად, მიიღეს საკმაოდ მოღონიერებული კლუბები, რომლებიც მოთამაშეებს უპრობლემოდ



უხდიან მინიმუმ 2-3 ათას დოლარს. ამ ჩემპიონატში გაიზარდნენ ფეხბურთელები, რომლებიც დღეს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ბირთვს შეადგენენ. ეს ნაკრები ევრო 2012-ის შესარჩევის ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა.

ლატვიის, ესტონეთისა და სომხეთის დარი პატივით საქართველოს ნაკრები არასოდეს მოუხსენებიათ, ჩვენ პრინციპულ მატჩებს სულ ვაგებდით და ხშირად ვახსენებდით სიტყვებს — "დასანანი მარცხი", წინ კი ვერ მივდიოდით.

ის, რომ **ქეცბაია** ცდებოდა, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს – შესარჩევ ციკლში ჩატარებული ათი მატჩიდან ნაკრებმა მეორე ტაიმი 5-ჯერ წააგო (საბერძნეთთან შინ და გარეთ, ხორვატიასთან და ისრაელთან გასვლაზე, ლატვიასთან შინ) და მხოლოდ ორჯერ მოიგო (ხორვატიასთან და მალტასთან საშინაო მატჩებში).

ახლა თაობათა ცვლასა და მათ წარმოჩენაზეა ლაპარაკი და გვიჩნდება კითხვა, ვის დავეყრდნობით – ახლაც და შემდგომშიც, როდესაც თაობებს სისტემა ზრდის, რომელიც დიდი ხანია, ქართულ ფეხბურთში მოიშალა.

ბოლო წლებში ბევჯერ გამართულა ყრილობა და თითოეული მათგანის მიზანი სკამის დაკავებისთვის ბრძოლა იყო, მაგრამ ვერ გაიხსენებთ შემთხვევას, საფეხბურთო სამყარო მთავარ თემაზე სამსჯელოდ შეკრებილიყოს, ანუ, როგორ ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს, რა გვინდა და რა მიზანი გვამოძრავებს.

ცხადია, ძლიერ ფეხბურთს ძლიერი ეკონომიკა სჭირდება, ჩვენ ასეთი წინაპირობა არ გაგვაჩნია, მაგრამ სამოქმედო გეგმისა და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო სტრატეგიის შედგენას ხელს რა უშლის?

გადის დრო, რომელიც ცხადად მიგვანიშნებს, რომ მწვრთნელი ბევრს ვერაფერს შეცვლის, თუ არ გაიზრდებიან თაობები, ეს კი საძირკვლის ჩაყრაზეა დამოკიდებული.

ამიტომაც დროა, საფეხბურთო სამყარო პოსტების, დაჯგუფებებისა და კუთხურობის გარეშე შეიკრიბოს და თქვას ერთხელ და სამუდამოდ – რა ვუშველოთ ფეხბურთს, რომელიც **კლაუს ტოპმიულერის, ექტორ რაულ კუპერისა** და **თემურ ქეცბაიას** ხელშიც ვერაფერს აღწევს. მას ყოველთვის მართავდნენ ცალკე ჯგუფები, ერთიანი რესურსი კი მის სამსახურში არასოდეს ჩამდგარა. ამ რესურსის გამოყენებაზე, მიმართულებაზე, პრობლემების მოგვარებაზე "უპალსტუხო" შეხვედრაა აუცილებელი.

ითქვას ისიც, რომ საუკეთესო მწვრთნელებში გადახდილი ფულიც ვერასოდეს გამოიღებს შედეგს თუ...

შემდგომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაც არ ჩანს იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც უახლოეს ათ წელიწადში თაობათა ზრდა-დაწინაურების სისტემის ჩამოყალიბება, ბავშვთა ფეხბურთის სახელმწიფოსგან დაფინანსება, დღევანდელივით ღარიბ ნიჭიერებს გზა რომ არ ჩაეკეტოთ; ეროვნული ჩემპიონატის, ბავშვთა ფეხბურთის, სამწვრთნელო, სამედიცინო და სხვა პრობლემების მოგვარება. მხოლოდ პირამიდის მწვერვალის, ნაკრების მოვლა საქმეს არ უშველის, ეს ძირმომპალი სახლის ფასადის გარემონტების ეფექტს თუ გამოიღებს, უფრო ღრმად ფესვგადგმულ სატკივარს კი ვერ უშველის.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ელგუჯა გუგუშვილთან

1982 წლის საქართველოს თასის მფლობელი ზოოვეტი

მწვრთნელი, მეცნიერი, პედაგოგი

« გუ-2 გვერდიდან

— ახლა, იმაზე ვისაუბროთ, „ზოოვეტი“ როდის და როგორ ჩამოყალიბდა.

— ამ სასწავლებლის სტუდენტი ვიყავი და 19 წლის ასაკში „ზოოვეტის“ მწვრთნელი გავხდი. იმდროინდელი რექტორის, გოგოთურ აგლაძის ინიციატივით სტადიონიც გაკეთდა და გუნდიც ჩამოყალიბდა, — აი, იქიდან მოყოლებული, რა თანამდებობაზე არ მიმუშავია, მაგრამ „ზოოვეტის“ არც ერთი ვარჯიში არ გამიცდენია.

— მწვრთნელობა ერთობ ადრეულ ასაკში დაგიწყიათ.

— შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ ბევრად უფრო ადრე — 8 წლის ასაკში, როცა „ტყავის ბურთის პრიზის“ გათამაშება იყო, ასე ვთქვათ, მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს ვასრულებდი.

— საერთოდაც, თქვენი საფეხბურთო კარიერა როგორ წარიმართა?

— 35-ე საფეხბურთო სკოლის მერე თბილისის „სინათლეში“ ჩავირიცხე და ამ გუნდთან ერთად ორჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, სამჯერ თასი მოვიპოვე; ერთხელ კი საკავშირო მასშტაბის ტურნირშიც გავიმარჯვეთ — „მილიონთა თასი“ მოვიგეთ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო 26 წლის ასაკში კარიერის ნაადრევად დამთავრებამ მომიწია. აი, იმის შემდეგ კი პედაგოგიურ, სამეცნიერო და სპორტულ საქმიანობას ერთმანეთს ვუთავსებ.

— წლევანდელ სეზონში პირველ ლიგაში „ზოოვეტი“ გამოჩნდა...

— ვიდრე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყებოდა (ანუ, 1990 წლამდე) „ზოოვეტს“ არაერთი წარმატებული სეზონი ჰქონია და საერთაშორისო მატჩებში ისეთი მეტოქეებიც დაგვიმარცხებია, როგორებიც არიან კიევის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“, „უალგირისი“, „ნანტი“, „საარბრიუკენი“. ორჯერ გავიმარჯვეთ უმაღლეს სასწავლებლებს შორის საკავშირო ჩემპიონატში, მოგებული გვაქვს საკავშირო უნივერსიადაც, 1982 წელს კი საქართველოს თასი მოვიპოვეთ. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, 1990 წლიდან ყველაზე ქვედა, IV ლიგიდან დავიწყეთ ასპარეზობა და ასე ეტაპობრივად გავიარეთ III, II, I ლიგა და 1997 წელს უმაღლესში თამაშის უფლებაც მოვიპოვეთ.

— უმაღლესი ლიგის დებიუტანტი თავდაპირველად „მორკინალი-კოდაკოს“ სახელით ასპარეზობდა, მეორე ეტაპიდან კი „ვიტ ჯორჯია“ დაერქვა და სწორედ ასე „გავიცანით“ ეს კლუბი.

— სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე ჩვენი სასწავლებლის ყოფილი სტუდენტია და IV ლიგიდან მოყვებოდა „ზოოვეტს“.

— პირველი ქართველი მწვრთნელი ბრძანდებით, უცხოური ქვეყნის ნაკრებს ვინც თავკაცობდა — თურქმენეთში როგორ აღმოჩნდით?

— საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა ნაკრებში ერთი თურქმენი ფეხბურთელი მყავდა — მინგაზოვი, სწორედ მისი და ორი ჩვენებურის, კახა ჭუმბურიძისა და ბუბა ტყავაძის (სამივენი იმ დროს იქაურ კლუბში, „კოპეტდაგში“ ასპარეზობდნენ) რეკომენდაციით აღმოვჩნდი ამ ქვეყანაში. ჯერ „კოპეტდაგის“ გაწვრთნა შემომთავაზეს, სულ მალე კი ნაკრებიც ჩამაბარეს და იმ პერიოდში ქვეყანაში საფეხბურთო ბუმი რომ იყო, ჩემი „მოკრძალებული“ წვლილიც გახლდათ.

— მსგავსი შედეგი თურქმენეთის ნაკრებს არც მანამდე და არც მერე არ ჰქონია.

— ნაკრებთან ერთად 23 მატჩი ჩავატარე: 18 მოვიგეთ, 3 ნავაგეთ და 2 ფრედ დავამთავრეთ; განსაკუთრებულად ის შეხვედრა მახსენდება, აზიის თასზე თეირანში 80 000 მაყურებლის წინ ირანის ნაკრებს 1:0 რომ მოვუგეთ (თანაც, ირანელებს 10 წელი არ ჰქონდათ სახლში წაგებული ოფიციალური მატჩი). ამას გარდა, თურქმენულმა გუნდმა პირველად გააღწია დსთ-ს თასის ფინალში — „კოპეტდაგი“ მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკთან“.

— აბა, ორწლიანი მართლაც ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ რატომღა წამოხვედით თურქმენეთიდან?

— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა მოითხოვეს, რაც, დამეთანხებით, არარეალური იყო...

— თურქმენეთამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში შოთა ჭიეშვილთან ერთად საქართველოს ახალგაზრდულ (ოლიმპიურ) ნაკრებშიც მუშაობდით - სადებიუტო ციკლში.

— ძალიან ნიჭიერი თაობა იყო: არჩილ არველაძე, გიორგი ანჩაბაძე, დავით ჯანელიძე, გურამ ასპინძელაშვილი, გიორგი ღუდუშაური, დავით ჭიჭეიშვილი, ლევან ხომერიკი, ალექსანდრე ბურნაძე, გიორგი კიკნაძე, დავით გვარამაძე ამირან მუჯირი. შესაძლოა, ვინმე გამომრჩა კიდეც. მერე, მათზე უმცროსებიც გამოჩნდნენ — კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი.

— ქართული ფეხბურთის დღევანდელობაზეც გვინდა გკითხოთ. უპირველესად კი ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით გვაინტერესებს თქვენი აზრი.

— ჩემი აზრით, ბოლო წლებში ჩვენი ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მწვრთნელების გაუთავებელი ცვლა იყო — ნებისმიერ სპეციალისტს საკუთარი იდეების რეალიზებისათვის 4 წელი მაინც სჭირდება. ჩვენ კი, ფაქტობრივად, ყოველ მეორე წელიწადს ახალ-ახალი მწვრთნელები გვყავდა. ამას გარდა, მიმამჩნია, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა გარკვეული ნაწილი კრიტიკულ ასაკს მიუახლოვდა, ანუ მათი საუკეთესო წლები უკან დარჩა; არანაკლებ პრობლემატურია ის ფაქტიც, რომ რასაც ვაკვირდები, ჩვენს ფეხბურთელებს ის ტემპი და სისწრაფე არა აქვთ, თანამედროვე ფეხბურთი რასაც „ითხოვს“. დაბოლოს, ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონეც უნდა აღინიშნოს, ბუმერანგივით რომ უბრუნდება ყველა მწვრთნელს — ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულებით დაწყებული და ეროვნულით დამთავრებული. აი, ნაკრების დღევანდელი მწვრთნელის მიმართ კრიტიკული შეფასებები ისმის — ქეცბაია მარტო ვერაფერს შეძლებს, თუ მას სათანადო დონის ფეხბურთელები არ ეყოლება...

გია ტუხაშვილი

სიტუაცია

გაგრამ კუტალია უარყო

ახლახან გაუწყეთ, რომ **ლევან კუტალიამ** ბოსნიის ჩემპიონატის მოსტარის “ზრინსკი” დატოვა და კარიერის საქართველოში გაგრძელება ისურვა.

მისი თქმით, ორ ქართულ კლუბთან ანარმოებს მოლაპარაკებას – ზუგდიდის “ბაიასთან” და “გაგრასთან”.

თუმცა, “გაგრას” წარმომადგენელმა **მიხეილ აფხაზავამ** ეს ინფორმაცია უარყო.

“კუტალიას დამატების სურვილი არც ანატოლი პისკოვეცს გამოუთქვამს, არც დროებით მთავარ მწვრთნელ გიზო ჯელაძეს და არც კლუბის პრეზიდენტ ბესიკ ჩიხრაძეს. კლუბში ახალწვეულის შემომატებას ეს სამეული წყვეტს და ჩემთვის გაუგებარია, თუ მათ ამ შესაძლო ტრანსფერზე არაფერი იციან, მაშინ “გაგრაში” თამაში კუტალიას ვინ შესთავაზა? ეტყობა, რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე” – გვითხრა აფხაზავამ.

მერაბ მამულაშვილი

ლევან კუტალია

ფუტსალი

ახლა ნაკრებს ვუქომაგოთ

20 ოქტომბრიდან თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ გაიმართება ფუტსალის მატჩები – ამჯერად სანაკრებო. საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძელია. ჩვენების მეტოქეები მოლდოვა, სომხეთი და მალტა იქნებიან. პირველ რაუნდში სულ ხუთი ჯგუფია, შემდგომ ეტაპზე ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსნები გავლენ.

■ ■ ■

გაგაცნობთ თბილისური ჯგუფის კალენდარს:

20 ოქტომბერი

მოლდოვა-მალტა
საქართველო-სომხეთი

21 ოქტომბერი

სომხეთი-მოლდოვა
საქართველო-მალტა

23 ოქტომბერი

მალტა-სომხეთი
მოლდოვა-საქართველო

ლევან ჯანეზაშვილი

გამოკითხვა

ფოტო: www.fcdinamo.ge

ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?

არჩევნებში ქართული კლუბებიც მონაწილეობენ

პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ფედერაცია FIFPro მოთამაშეთა უფლებებისა და ინტერესების დამცველი ორგანიზაციაა. ამავე დროს, ის ფიფას ასოცირებული წევრია, რადგან ფეხბურთელთა უფლებები ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი საკითხია.

ამ საქმიანობის გარდა, FIFPro ყოველწლიურად ფეხბურთელთა შორის ატარებს გამოკითხვას, რომლის მიზანიც წლის საუკეთესო მოთამაშეთა და სიმბოლური ნაკრების გამოვლენაა.

შარშან FIFPro-ს ვერსიით საუკეთესოდ ზედიზედ მეორედ **ლიონელ მესი** დასახელდა. წლეულს გამოკითხვაში საქართველო პირველად მონაწილეობს, მისი ორგანიზატორი კი ჟურნალი “ათიანია” - საკუთარ თერთმეტ რჩეულს დაასახელებს და გუნდს 4-3-3 სქემით შეადგენს მხოლოდ ეროვნული ნაკრებისა და ევროტურნირებზე მონაწილე ქართული გუნდების 15-15 ფეხბურთელი.

თბილისის “დინამოს” ვებგვერდის ინფორმაციით, გუშინ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდის ფეხბურთელებმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის საკუთარი ვერსიები დაასახელეს.

არჩევანს სხვა ქართული კლუბების წარმომადგენლებიც გააკეთებენ.

“საქართველოში გამოკითხვის ჩატარების უფლება FIFPro-მ “ჩვენს ფეხბურთსა” და ჟურნალ “ათიანს” მინიჭა. “ჩვენი ფეხბურთი” მისი ასოცირებული წევრია და საქართველოში წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებლებს, მიხეილ ყველაშვილსა და ლევან ყიფიანს კი გამოკითხვის ორგანიზებაში ჟურნალი “ათიანი” ეხმარება.

FIFPro-მ წინასწარ მოიფიქრა დამცავი მექანიზმი, ფეხბურთელებს საუკეთესოები ახლობელ-მეგობრობით რომ არ დაესახელებინათ. მსგავსი რამ ადრე ბევრ საერთაშორისო გამოკითხვაში მომხდარა და ზოგიერთი საუკეთესოდ თავისი ქვეყნიდან ისეთ მოთამაშეს ასახელებდა, რომელსაც აღიარება არაფრის დიდებით არ ეკუთვნოდა. ასეთი პრეცედენტების გამოსარიცხად, FIFPro-მ მართლაც გამორჩეული 50 მოთამაშის სია გამოაქვეყნა და საუკეთესოები მათ შორის უნდა შეირჩეს” - ამბობს ჟურნალ “ათიანის” რედაქტორი **გია გორგოძე.**

გამოკითხვის ბარათები მხოლოდ ხუთი ქართული კლუბის - თბილისის “დინამოს”, “ზესტაფონის”, რუსთავის “მეტალურგის”, “გაგრასა” და “ვიტ ჯორჯიას” ფეხბურთელებს დაურიგდათ.

იკითხავთ, სხვებმა რა დააშავესო – თავად FIFPro-ს მოთხოვნაა, რომ გამოკითხვაში მხოლოდ უეფას გათამაშებების ბოლო წლების მონაწილე კლუბების ფეხბურთელები მონაწილეობდნენ, თითოეული მათგანიდან არჩევანს კი 15-15 წევრი გააკეთებს.

ამას გარდა, ბუკლეტები ეროვნული ნაკრების შეკრების დროს 20 მოთამაშესაც დაურიგდა.

მერაბ მამულაშვილი

ესეც ვატივია

მერაბ ჟორდანია ნიუ იორკის მარათონში მიიწვიეს

ჰოლანდიის ქალაქ არნემში, სადაც **მერაბ ჟორდანია** ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბ „ვიტესის“ მეპატრონეა, დიდი პოპულარობით სარგებლობს „არლემის ნახევარმარათონი“. წლეულს სწორედ ამ დისტანციაზე ირბინა მერაბ ჟორდანიამ და თავის ასაკში პირველ ხუთეულში მოხვდა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გარბენის შემდეგ მერაბმა ოფიციალური მიწვევა მიიღო უპოპულარულეს და ძალიან პრესტიჟულ „ნიუ იორკის მარათონში“ მონაწილეობისთვის. რამდენადაც ვიცით, ნიუ იორკის ტრადიციულ მარათონში (ტარდება 1970 წლიდან ყოველწლიურად) ჯერ ჩვენებურს მონაწილეობა არ მიუღია.

თენგიზ თომაშვილი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეგიონი

დილა ქართლს შეაფარეს, საფარი – ქუჩას

ფეხბურთის ფედერაციის პროგრამით, გორში, თენგიზ ბურჯაძის სახელობის სტადიონზე მოედნის ახალი საფარი უნდა დაიგოს და ძველი საფარი უკვე აიღეს კიდეც, რის შესახებაც ამას წინათ გამცნეთ. ამის გამო გორის „დილას“ დროებით სხვა არენაზე მოუწევს საშინაო შეხვედრების გამართვა. რამდენიმე დღის წინ კლუბის ხელმძღვანელობა თითქმის გამორიცხავდა ქალაქის მეორე სტადიონზე, „ქართლზე“ გადაბარგებას და ფიქრობდა, რომ სხვა ქალაქში ეძებნა დროებითი თავშესაფარი, თუმცა, როგორც გაირკვა, ზამთრამდე „დილა“ მაინც იქ გადავა. გუნდის უფროსმა **ვანო ხორგუაშვილმა** ამაზე უკვე დადასტურებული ინფორმაცია მოგვაწოდა. „ვიდრე ჩვენი მთავარი არენა მონესრიგდება, ანუ იქ დაიგება ახალი საფარი, რომელსაც შემდგომ ნიადაგთან "შესახორცებლად" დროც დასჭირდება, ყველა საშინაო მატჩს „ქართლზე“ გავმართავთ. მინდორი იქ ნორმალურ მდგომარეობაშია. მხოლოდ გასახდელებისა და იმ ოთახების კოსმეტიკურ რემონტს ვაკეთებთ, რომლებზეც ამას წინათ ფედერაციიდან მოვლინებულმა სპეციალურმა კომისიამ მიგვითითა“ - გვითხრა მან.

ერთი სიტყვით, "დილა" უახლოეს შეხვედრას, 15 ოქტომბერს ზუგდიდის „ბაიასთან“ "ქართლზე" ჩაატარებს. მკითხველს შევახსენებთ იმასაც, რომ რამდენიმე თვეა, ეს სტადიონი ქალაქის მუნიციპალიტეტმა სათადარიგო მოედნად გადასცა „დილას“, თუმცა, ვინაიდან ფეხბურთის ფედერაცია ამ სარბიელს უმაღლესი ლიგისთვის შეუფერებლად მიიჩნევდა, მასზე შეხვედრები არ იმართებოდა და, სიმართლე ითქვას, არც „დილას“ სჭირდებოდა ის ოფიციალური მატჩებისთვის. იქაურობა გუნდს ოდენ სავარჯიშოდ სჭირდებოდა. საინტერესოა საფართან დაკავშირებული ამბავიც. კერძოდ, კლუბის მეპატრონენი თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონიდან აღებული საფრის დაგებას „ქართლის“ მთავარი მოედნის გვერდით მდებარე მოედანზე აპირებდნენ. იქ ამის აუცილებლობა მართლაც იყო და ჩვენც ვფიქრობდით, რომ ასეც მოხდებოდა. თუმცა, ბევრისთვის გასაკვირად, გორის ცენტრალური სტადიონიდან აღებული ბალახი ქალაქის ქუჩების მიმდებარე მწვანე მონაკვეთებსა და სკვერებში დაიგო. ახლა „ქართლის“ მცირე მოედანზე, სადაც აღებული საფარი უნდა გადაეტანათ, კლუბს საგაისოდ ბალახის დათესვა მოუწევს. არადა, ნებისმიერი გორელი გეტყვით, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ყოფილი გუბერნატორის **ზურაბ არსოშვილის** დროს, როდესაც ფეხბურთმა და, კერძოდ, „დილამ“, როგორც იქნა, ყურადღება იგრძნეს, პირიქით მოხდებოდა, ანუ იმ ძველ საფარს უთუოდ რომელიმე საფეხბურთო მოედანზე დააგებდნენ, ხოლო ქუჩაში საგაისოდ ბალახს დათესდნენ. მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა და ესეც კიდევ ერთი პატარა მიზეზია გორელი გულშემატკივრის შესაშფოთებლად. იმედი ვიქონიოთ, რომ „დილა“ საკუთარ სტადიონზე დაგებულ ახალ მოედანს არასპორტული პრობლემებით არ დაუბრუნდება.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

● ინტერვიუ იოსებ ნასუაშვილთან

უმაღლესში უნდა დავბრუნდეთ

ბათუმში გუნდის და სტადიონის ეიმედებათ

ბათუმის „დინამოს“ საკმაოდ გაუგრძელდა უმაღლესი ლიგის მიღმა ყოფნა. ასეთი ტრადიციების კლუბის ბედი, მით უფრო, მისი უსტადიონოდ დარჩენა, ბუნებრივია მტკივნეული საკითხია. ახალ სეზონში ბათუმელები პირველი ლიგის „ა“ ზონის ერთპიროვნული ლიდერები არიან და, როგორც თავად ამბობენ, ქვეყნის საკლუბო ელიტაში დაბრუნებაც დაუსახავთ მიზნად. გავესაუბრეთ გუნდის ახალგაზრდა, 39 წლის თავკაც იოსებ ნასუაშვილს, რომელიც „დინამოს“ ზაფხულიდან ჩაუდგა სათავეში. მას აქტიური კარიერისას ბათუმის „დინამოში“ რამდენიმე სეზონი უთამაშია. სხვათა შორის, იგი წლების განმავლობაში საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის“ პრეზიდენტის ფაცო ნასუაშვილის შვილია.

— შარშან „ადელის“ მთავარ მწვრთნელად ვმუშაობდი, რომელიც მეორე ლიგიდან პირველში გადმოვიყვანე. ზაფხულში ბათუმის „დინამოს“ თავკაცობა შემომთავაზეს, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ეს კლუბი ხომ მუდამ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერთაგანი იყო.

— თუმცა „დინამოს“ საკმაოდ გაუხანგრძლივდა უმაღლესი ლიგის მიღმა ყოფნა...

— აჭარაში ამაზე ყველა წუხს და ამიტომაცაა, რომ კლუბის მესვეურებმა გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუგეგმეს.

— საიდან ფინანსდება „დინამო“?

— თითქმის მთლიანად გვაფინანსებს ბათუმის მერია.

— თქვენი ფეხბურთლების ამჟამინდელი პოტენციალით შეგიძლიათ უმაღლეს ლიგაში გადასვლა?

— მჯერა, რომ ამჟამინდელი კონტინგენტით ჩვენს ზონაში პირველ ადგილზე გასვლა შეგვიძლია, მაგრამ პლეი ოფში უმაღლესი ლიგის გუნდებთან საპაექროდ გაძლიერების გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდება.

— პირველ ლიგაში მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— კარგი გუნდები არიან რზურგეთის „მერცხალი“, ხარაგაულის „ჩხერიმელა“ და სტუ, რომელიც საშინაო მატჩებს ხელოვნურ საფარზე ატარებს, ეს კი მისი უპირატესობაა, რადგან რეგიონელები ასეთ საფარზე თამაშს მიჩვეულები არ ვართ. ისე კი გასაკვირი არ არის, რომ ყველა გუნდი ცდილობს, ბათუმის „დინამოსთან“ თავი გამოიჩინოს — ტრადიციული ქართული კლუბის დამარცხება ხომ მათთვის ორმაგად გასახარია.

— „დინამოს“ მთავარი ფიგურა, ალბათ, ამირან მუჯირია.

— რა თქმა უნდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თამაში მთლიანად მასზე გვაქვს აწყობილი. ამირანის შესაძლებლობები ყველას კარგად მოეხსენება, ამიტომაც მის მიმართ ჩემი თხოვნაც და დავალებაც ასეთია: არა მხოლოდ თვითონ გამოჩნდეს მოედანზე, არამედ მთელი გუნდი გამოაჩინოს. სწორედ მან უნდა აიყოლიოს ახალგაზრდა თანაგუნდელები.

— ბათუმში სტადიონის აშენებასთან დაკავშირებით ახალი არაფერია?

— ამჟამად ყველა საშინაო შეხვედრას „ადელზე“ ვატარებთ. მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში ახალი სტადიონის აშენებაზე თავად საქართველოს პრეზიდენტმაც ილაპარაკა და დარწმუნებული ვართ, ასეც იქნება. ადრე 6-ათასიანი არენის აგებას ვარაუდობდნენ, ბოლო ხანს კი 30-ათასიანის აშენებაზე ფიქრობენ ახალი ბულვარის სიახლოვეს.

— მაყურებლის სიმცირეს თქვენც უჩივით?

— „ადელი“ სულ 600 მაყურებელს იტევს და ყოველთვის ივსება. გულშემატკივრებმა შექმნეს ფანკლუბიც, მათ გუნდის მაისურებიც გადავეცით. აჭარის სპორტის თავკაცთა დახმარებით ფანებს ტრანსპორტიც გამოუყვეს „დინამოს“ გასვლით თამაშებზე დასასწრებად. მოკლედ, რეგიონის სპორტის თუ ფეხბურთის მესვეურთაგან ყოველი ფეხის ნაბიჯზე საკმაო ყურადღებას ვგრძნობთ.

ვასილ ბალახაძე

იოსებ ნასუაშვილი

● ინტერვიუ

იაგო დეისაძე: საუმაღლესლიგო გუნდი გვყავს, თუმცა გაძლიერებაც გვინდა!

ლანჩხუთში უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ემზადებიან. ამ ქალაქში ფეხბურთი რომ არ მოკვდება, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ 12 ნოემბერს „გურიას“ ყველაზე დიდი ტრიუმფის (საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადასვლას) 25 წლისთავს გრანდიოზულად აღნიშნავენ — მოსაწვევები დარიგებულია, სტუმრებს არა მხოლოდ საქართველოს ქალაქებიდან ელოდებიან. ამ დღისთვის მომზადდება საგანგებო ბუკლეტიც.

რა თქმა უნდა, მხოლოდ იუბილეს აღნიშვნა ლანჩხუთის კლუბს ელიტაში ვერ დააბრუნებს — საამისოდ წლეულს კარგი შემადგენლობაც შეკრიბეს. „გურია“ ამჟამად პირველი ლიგის ზონაში მეორე ადგილზეა და ამ პოზიციის შენარჩუნებაც საკმარისია იმისთვის, რომ მრავალწლიანი შესვენების შემდეგ გურული კლუბი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს. „გურიას“ მესვეურებმა მთავარ მწვრთნელად გამოცდილი გიგლა იმნაძე მიიწვიეს, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული კლუბის ყველაზე დიდი წარმატებები ეროვნულ სარბიელზე — პირველი თასი და ორჯერ ვერცხლის მედლები ლანჩხუთელებმა სწორედ მისი თავკაცობით მოიპოვეს. ამჟამად „გურიაში“ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც თამაშობს, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში უთამაშიათ. მათ შორის გამორჩეულია იაგო დეისაძე, რომელმაც 8 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა, აქედან 2-ჯერ პოკერი შეასრულა!

არადა, იაგო წინა სეზონში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა „გურიაში“

— იმხანად კლუბს დროებით გურიის ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი თავკაცი კახა ებრალიძე ხელმძღვანელობდა და, უნდა ითქვას, წარმატებითაც: მისმა გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ 7 შეხვედრა მოიგო. ტრავმებისა და კლუბიდან რამდენიმე ფეხბურთელის გაშვების გამო შუა სეზონში ებრალიძემ გასინჯვის მიზნით მიიწვია ქუთაისელი მობურთალი და, როგორც მერე აღნიშნავდა, უვარჯიშებელი იაგო ყველას სჯობდა! მას შემდეგ ის კლუბის შეუცვლელი მოთამაშეა

— იაგო, მოკლედ გვიამბე შენი კარიერის შესახებ.

— თამაში 11 წლისამ დავიწყე ქუთაისში როლანდ ცუცქირიძესთან, სადაც რამდენიმე წელი გავატარე. შემდეგ გადავედი თბილისის „ოლიმპში“ ლევან გვანცელაძესთან. 17 წლისა ქუთაისში დავბრუნდი, „ტორპედო“ მაშინ უმაღლეს ლიგაში იყო და დუბლშემადგენლობაში ჩავირიცხე. 19 წლისა უკვე უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდი — ორი წელი თბილისის „მერანის“ ღირსებას ვიცავდი, საიდანაც გადავედი ტყიბულის „მეშახტეში“, იქ სამი თვე დავყავი.

— უმაღლესი ლიგიდან ტყიბულში რატომ წახვედი?

— შემოთავაზებები კი მქონდა, მაგრამ აქცენტს უცხოეთზე ვაკეთებდი, გაუგებრობა მოხდა და დროებით, უვარჯიშებელი რომ არ ვყოფილიყავი, ტყიბულში წავედი.

— ვიცი, რომ თურქეთშიც თამაშობდი.

იაგო დეისაძე

— 6 თვე ვიყავი თურქეთის ქვედა ლიგაში მოასპარეზე „იზმინსპორში“. ამის შემდეგ მოვხვდი ლანჩხუთის „გურიაში“.

— ამ სეზონში უკვე 12 გოლი დაგიგროვდა, აქედან 2-ჯერ პოკერი შეასრულე. 4 გოლი ერთ შეხვედრაში ადრეც გაგიტანია?

— არა, პოკერი არასდროს შემისრულებია, ჰეთ თრიქი კი მიმითვლია. ასე რომ, ეს ჩემი პირველი პოკერებია.

— ყოველთვის წინა ხაზში თამაშობდი?

— გამოკვეთილი თავდამსხმელი არ ვყოფილვარ და არც ახლა ვარ — ჩემი ამპლუა შემტევი ნახევარმცველობაა.

— წლეულს კლუბის მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა.

— ასეა და სხვანაირად არც შეიძლება — კარგი შემადგენლობა გვყავს. ისე, ვფიქრობ, შარშანდელი ჩემპიონატი უფრო ძლიერი იყო, თუმცა არც ესაა იოლი. ახლა „გურიას“ შეუძლია, უმაღლესში გადასვლის პრეტენზია ჰქონდეს. შანსიც თითქმის ასპროცენტიანი გვაქვს.

— უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ?

— არა მგონია. იქაც შევძლებთ ნორმალურად გამოსვლას, თუმცა გაძლიერებაც გვინდა და მჯერა, ასეც იქნება.

— რა შეიცვალა კლუბში გასულ სეზონთან შედარებით?

— შემადგენლობითაც გავძლიერდით და ფინანსურადაც ნორმალური სიტუაციაა. მოკლედ, ისეთი ატმოსფეროა, რომ ფეხბურთელებს ისღა დაგვრჩენია, ქომაგებისა და კლუბის მესვეურების იმედები გავამართლოთ.

— როგორც ვიცი, შენი ძმაც თამაშობს.

— ის ამჟამად ხონის „იმერეთში“ ირიცხება.

— ბოლოს ისიც გვითხარი, რომელი ქვეყნის ფეხბურთის ქომაგი ხარ და შენი ოცნების კლუბი რომელია?

— საფრანგეთის ნაკრებსა და მადრიდის „რეალს“ ვქომაგობ.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

● პირველი ლიგა

ა ზონა
IX ტური

კოლხეთი (ხ)-ბათუმი	0:1
ჭიათურა-ლოკომოტივი	4:1
მეშახტე-სამტრედია	5:0
მესხეთი-სტუ	4:1
მერცხალი-ჩხერიმელა	3:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბათუმი	9	7	1	1	14-5	22
2. მერცხალი	8	5	2	1	13-9	17
3. ჩხერიმელა	9	5	2	2	13-11	17
4. ჭიათურა	8	4	2	2	13-7	14
5. სტუ	8	4	2	2	18-15	14
6. მეშახტე	9	2	2	5	10-11	8
7. კოლხეთი (ხ)	9	2	2	5	8-12	8
8. მესხეთი	8	2	1	5	7-10	7
9. ლოკომოტივი	6	0	3	3	5-11	3
10. სამტრედია	8	0	3	5	5-15	3

ბ ზონა
IX ტური

გურია-სამგურალი	3:0
ადელი-იმერეთი	1:2
ნ. დინამოელი-ჩიხურა	0:2
სულორი-აეტი (სოხუმი)	1:1
ზოოვეტი-სძური	1:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩიხურა	9	8	1	0	21-2	25
2. გურია	9	6	2	1	25-8	20
3. ნ/დინამოელი	9	5	1	3	19-8	16
4. იმერეთი	9	5	1	3	14-11	16
5. ზოოვეტი	9	4	1	4	11-17	13
6. სძური	9	3	2	4	10-14	11
7. სამგურალი	9	2	4	3	10-10	10
8. ადელი	9	2	1	6	10-17	7
9. სულორი	9	1	2	6	3-22	5
10. აეტი	9	1	1	7	5-19	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლივერპული VS მანჩესტერი

უეინ რუნის ყველაზე კარგად 1996 წლის მერსისაიდური დერბი ახსოვს, ის იმ დღეს „ევერტონის“ თილისმა იყო

რუნის ახსოვს ლივერპული

უეინ რუნი არ მალავს, რომ „ლივერპულთან“ ყოველ მატჩი მას ფიზიკურად ცუდად ხდის — ეს მოძალებული ემოციის ბრალია. მას კარგად ახსოვს ის დღე, როდესაც გადაჭედილ „ენფილდზე“ პირველად შეაბიჯა და მართალია თვითონ არ თამაშობდა, მაინც 41 ათასი ლივერპულელის გუგუნზე მაინც შეაჟრჟოლა.

რუნი, რომელიც ოქტომბრის ბოლოს 26 წლისა გახდება, ამ შაბათსაც დაადგამს „ენფილდის“ ბალახზე ფეხს — საქართველოს დროით 15 საათსა და 45 წუთზე პრემიერლიგაში წლის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გაიმართება. მაგრამ დაბადებით ლივერპულელს „წითლების“ შესაძულებლად მაინც დამაინც „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა არ სჭირდებოდა. ის ხომ ქალაქის მეორე, „ლურჯ ნახევარს“ ეკუთვნოდა — „ევერტონის“ გულშემატკივარი გახლდათ.

ვარსკვლავს, ყველაზე კარგად, 1996 წლის ნოემბერში გამართული მერსისაიდური დერბი ახსოვს: „ევერტონმა“ „ლივერპულს“ „ენფილდზე“ აჯობა, 2:1 მოუგო. ცოდვა გამხელილი სჯობს და „ლურჯები“ „წითლებს“ მათ მოედანზე ხშირად ვერ ამარცხებენ. მაგრამ, რუნის ხსენებული შეხვედრა მარტო იმიტომ კი არ ახსოვს, რომ მისმა „ევერტონმა“ გაიმარჯვა, არამედ იმიტომ, რომ იმ დღეს თავად გახლდათ „ლურჯების“ თილისმა, რაც ფოტოებსაც შემორჩა. რუნი იგონებს:

„ჩვენები ხშირად ვერ იგებდნენ, მაგრამ იმ დღეს გუნდის თილისმა მე ვიყავი და საოცარ გრძნობას ვყავდი დატყვევებული. „ლივერპულის“ და „ევერტონის“ თამაშები ძალიან მიყვარდა, მაგრამ მატჩებამდე ისე ვნერვიულობდი, რომ ცუდად ვხდებოდი. თუ დავმარცხდებოდით, მეორე დღეს სკოლაში მისვლა და „ლივერპულის“ გულშემატკივარი კლასელების ნახვა მეზიზღებოდა“.

„ენფილდზე“ დამარცხება რომ საშინელებაა, ეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმაც კარგად იციან. „იუნაიტედმა“ სტუმრად, „წითლებთან“ ბოლო სამი შეხვედრა წააგო. რუნის კარიერის განმავლობაში უდიდესი მეტოქეობის წინააღმდეგ უთამაშია, მან იცის რა არის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მღელვარება, მაგრამ ამბობს, რომ მერსის პირას ჩასვლა და „ენფილდზე“ წითლებთან დაპირისპირება სულ სხვა ჟრჟოლას იწვევს. მისთვის ამ მატჩებს დამატებითი დატვირთვა აქვს: ტრიბუნიდან მთელი ოჯახი და სამეგობრო უყურებს, ის კი თითქოს „იუნაიტედისთვისაც“ თამაშობს და „ევერტონისთვისაც“.

„ჩემთვის ყველაზე რთული და პრინციპული თამაშები „ენფილდზე“ იმარჯება. მოგება ყველაზე მეტად იქ მინდა. ჩემს ოჯახში ყველა „ევერტონის“ გულშემატკივარია და „ლივერპულის“ დამარცხებას დიდი სიხარულით ხვდებიან. ნებისმიერი დღე, როდესაც „ლივერპული“ მარცხდება, მათთვის დიდი დღეა, ხოლო როდესაც „წითლებს“ მე ვამარცხებ, ორმაგად უხარიათ“.

„იუნაიტედის“ მაისურით რუნიმ „ენფილდზე“ პირველად 2005 წელს ითამაშა.

„ისიც დიდებული დღე იყო. ჩვენ 1:0 მოვიგეთ. გოლი მე გავიტანე“.

მანჩესტერელთა თავდამსხმელი შაბათსაც სიამოვნებით გაიმეორებს იმავეს, მით უფრო, რომ „ლივერპულს“ ახლა კლუბის ლეგენდა, **კენი დალგლიში** უდგას სათავეში და ძველი მოქიშპის გამწარება ერთიორად სასიხარულო იქნება. მეორე მხრივ კი დალგლიში ის თავდამსხმელია, რომელსაც რუნი ბავშვობაში ეთაყვანებოდა:

„მისი თამაშების ჩანაწერები ძალიან ბევრჯერ მინახავს. ის ფანტასტიკური მოთამაშე იყო. გულწრფელად გეტყვით, დალგლიშის ნირი ფორვარდი ბევრი, ალბათ, არც ყოფილა. მას გოლების გატანა და თამაშის გამოცოცხლება შეეძლო“.

დაბოლოს, რუნი ამბობს: „ლივერპულელებმა ბოლო ხანს მართლაც ძალიან კარგი ფეხბურთელები დაიმატეს, გაძლიერდნენ. ვფიქრობ, ამ შემადგენლობით მათ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება შეუძლიათ. ჩვენ კარგად ვიცით, მათი შესაძლებლობები და სერიოზული ბრძოლისთვის ვართ მზად“.

ილია ბაბუნაშვილი

● ჩელსი

ისევ გოდინს მიადგნენ

„ჩელსიმ“ გადაწყვიტა, რომ ახალი წლისთვის, როდესაც ინგლისში სატრანსფერო ბაზრის კარი კვლავ გაიღება, ხელახლა მიადგება „ატლეტიკო მადრიდს“ 25 წლის ურუგვაელი მცველის, **დიეგო გოდინის** ყიდვის წინადადებით. ცნობილია, რომ გოდინიში გადასახდელ ფულს ლონდონელები — მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, - **ალექსის** გაყიდვით იშოვნიან.

ხელახლა მიადგებაო, ვთქვით. საქმე ის გახლავთ, რომ „ლურჯებმა“ მადრიდელებს გასულ იანვარს 15 მილიონი ფუნტი შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ გოდინის შეძენა „ჩელსის“ წინა მწვრთნელს, **კარლო ანჩელოტის** უნდოდა. ახლა „სტემფორდ ბრიჯზე“ ახალი თავკაცია, **ანდრე ვილაშ-ბოაში**, მაგრამ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე თავგამოჩენილი ურუგვაელისადმი გამოკიდებულაბა არ შეცვლილა.

სხვათა შორის, წლის დასაწყისში, როდესაც „ატლეტიკომ“ ანჩელოტის გოდინის მიყიდვაზე უარი უთხრა, იტალიელი ბენფიკას მიადგა და ბრაზილიელი **დავიდ ლუიზი** შეიძინა.

ვილაშ-ბოაში მიიჩნევს, რომ პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ნარმატებული გამოსვლისთვის მის გუნდს სწორედ დაცვის ცენტრში სჭირდება გაძლიერება. პორტუგალიელი ალექსით უკმაყოფილოა და მის თავიდან მოშორებას აპირებს. ვილაშ-ბოაშმა ბრაზილიელი ბოლოს „ქარლინგის თასზე“ „ფულჰემის“ წინააღმდეგ ათამაშა. იმ დღეს 29 წლის მცველი მოედნიდან გააძევეს. მას მერე ის გუნდის 20-კაციან განაცხადშიც კი ვერ ხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსიმ“ დაიწუნა, ბრაზილიელს დაკარგვა არ ემუქრება. ამბობენ, რომ მისი შეძენა უნდათ „არსენალს“, „ტოტენჰემს“ და ჩრდილოკავკასიის გუნდებს: „ანჟისა“ და გროზნოს „ტერეკს“.

ილია ბაბუნაშვილი

დიეგო გოდინი

● კვირის ფრაზები

ჯანმრთელი რობენი მესის და რონალდოს ტოლია

მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** მიიჩნევს, რომ როდესაც მათი ერთ-ერთი ლიდერი არიენ რობენი ჯანმრთელია, ის **ლიონელ მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** დონეზე ასპარეზობს. „ბილდთან“ ინტერვიუში ხორვატმა ასე განაცხადა: *„როდესაც არიენი ფორმაშია, მას ნებისმიერი გუნდის გაძლიერება ძალუძს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი არაფრითაა ნაკლები მესისა და რონალდოზე. რაც შემეხება მე, ისეთი ოლიჩი უნდა გავხდე, როგორიც ადრე ვიყავი“.*

1:0-ებიც მეყოფა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ სერ **ალექს ფერგიუსონზე** ინგლისურ პრესაში ხშირად წერენ, რომ მისი გუნდი საკმაოდ დიდი ანგარიშით იგებს მატჩებს და როდის უნდა შეჩერდეს მათი ეს წარმატებული სვლა. ეს კი ყელში ამოუვიდა ლეგენდარულ სქოთს და ასე თქვა: *„აბსოლუტურად ყველა მატჩი 1:0 რომ მოვიგოთ, ეგეც მეყოფა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ანგარიშს არა აქვს — მთავარია, მოიგო. დიახ, ჩვენ სახლშიც და გასვლით მატჩებშიც გახსნილ ფეხბურთს ვთამაშობთ, თუმცა დაცვაში თამაში ოდნავ უნდა გამოვასწოროთ, რათა ბევრი ბურთი არ მივიღოთ საკუთარ კარში“.*

იბრა აბატესთან წაასწრეს

ესპანურ პრესაში გამოქვეყნდა ფოტო, რომელზედაც ასახულია, რომ „მილანის“ ვარჯიშზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი იგნასიო აბატეს** ეფერებასავით. შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე „გეი-ფოტოა“, რომელიც იბრას „გეი-მიმდევრობაზე“ ეჭვს აჩენს. ადრე მას ასეთი შემთხვევა „ბარსელონაში“ თამაშისას მოუვიდა, როცა **ჟერარდ პიკესთან** „წაასწრეს“. თავად ფორვარდს ამ ყველაფერზე ჟურნალისტებმა შეკითხვები დაუსვეს და შვედმაც ასე უპასუხა: *„მე და გეი?! მოდით ჩემთან სახლში და გაჩვენებთ, გეი ვარ თუ არა... ისე, კარგი იქნება, საკუთარ დასაც თუ წამოაყოლებთ“.*

რონალდო ყოველთვის ეგოისტი იყო

ცნობილი გერმანელი სპეციალისტი, მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავკაცი **ბერნდ შუსტერი** აცხადებს, რომ **კრიშტიანო რონალდო**, როგორც იქნა, ეგოისტურ თამაშს მოეშვა. *„ადრე რონალდო წმინდა სისხლის ეგოისტი იყო მოედანზე - ამბობს შუსტერი ერთ-ერთ ესპანურ რადიოსთან საუბრისას - ახლა კი სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. ბოლოს და ბოლოს, რონალდომ შეიგნო, რომ ბურთს თუ მხოლოდ იგი ათრევს, ფონს ვერ გავა მისი გუნდი. თუ მაგალითად, შარშანდელ სეზონში თავისთვის თამაშობდა პორტუგალიელი, ახლა მიხვდა, რომ მის გარდა მოედანზე კიდევ 10 მოთამაშეა. როგორც ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რაც არ უნდა იყოს, რონალდო უდიდესი მოთამაშეა“.*

კვირის გოლი

კრიშტიანო რონალდომ დანიის ნაკრებთან, ჩვენი აზრით, კვირის გოლი შეაგდო. მან უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და უცნაური ტრაექტორიით მიმავალი ბურთი კარის ბადეში გაახვია — ვისაც ეს გოლი არ უნახავს, ვურჩევთ, ინტერნეტში ან რომელიმე სატელევიზიო მიმოხილვაში იხილონ.

გიორგი ფულარიანი

● მანჩესტერ სიტი

ტევესი მანჩინისგან ბოდიშს ელის

როგორც ჩანს, 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესისა** და „მანჩესტერ სიტის“ დაპირისპირება ახალ წლამდე გაგრძელდება — კლუბმა იმსჯელა და დაადგინა, რომ ფეხბურთელმა „ბაიერნთან“ შეხვედრაში მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** პროტესტი გამოუცხადა და მოედანზე სათამაშოდ არ შევიდა. ამ დასკვნის მოსასმენად ტევესი ისტლენდური კლუბის შეფებს ოთხშაბათს შეხვდა. მოგეხსენებათ, შეხვედრას წინ ფორვარდის ორკვირიანი დისკვალიფიკაცია უძღოდა.

ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ ტევესი მზად იყო ბოდიში მოეხადა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თავის წილ ბოდიშს მანჩინიც მოიხდიდა. კერძოდ, კლუბიდან გამოსული ხმების თანახმად, ფეხბურთელი თავს დამნაშავეს იმაში სცნობს, რომ არ გახურდა — გახურებაზე მას მანჩინისთვის მართლაც უთქვამს უარი — თუმცა ამტკიცებს, რომ მოედანზე შესვლა (უნდა ვივარაუდოთ, გაუხურებლად) არ გაუპროტესტებია. რასაკვირველია, სურათი, რომელსაც ტევესი ხატავს, ცოტა უცნაურია. წარმოიდგინეთ, შუა შეხვედრაში მწვრთნელი სათადარიგო ფეხბურთელს ეუბნება, გახურდი - მოედანზე უნდა შეგიყვანოო, ეს უკანასკნელი კი გახურებაზე უარს ამბობს, მოედანზე შესვლაზე კი არა. ამის დაჯერება, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ზუსტად როგორ მოხდა, მაინც არავინ იცის.

კლუბის მიერ დაწესებული ორკვირიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ტევესმა ვარჯიში განაახლა, თუმცა მანჩინი ჯიუტობს და მის მთავარ გუნდში შეყვანას არ აპირებს. ამასობაში, ერთი ლიგით ქვემოდან, ჩემპიონშიფიდან, ხმა ამოიღო არგენტინელის ყოფილმა გუნდმა „ვესტ ჰემმა“, რომელსაც შობის შემდეგ მისი იჯარით წაყვანის ვარიანტი აინტერესებს.

და მაინც, როგორ დასჯის „მანჩესტერ სიტი“ კარლოს ტევესს? ეს ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, ყოვლისმცოდნე ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამოიკვლიეს, რომ მზადდება ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო ჯარიმა — მილიონი ფუნტი, რასაც ოთხიდან ექვს კვირამდე დისკვალიფიკაციაც დაემატება.

რასაკვირველია, კონტრზომებს ამზადებს ფეხბურთელიც. უპირველეს ყოვლისა, ის თავის წილ სამართალს „ეტიჰედ სთედიუმზეე“ ეძებს, მაგრამ თუ არაფერი გამოუვა, პრემიერლიგაში იჩივლებს. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ სიტისა“ და ტევესის დაპირისპირება, შესაძლოა, დეკემბრამდე გაგრძელდეს.

„მანჩესტერ სიტის“ ოფიციალურ განცხადებაში წერია: *„კლუბმა ჩაატარა გამოძიება, რომელიც 27 სექტემბერს, მიუნხენის „ალიანს არენაზე“ მომხდარ ინციდენტს ეხებოდა. გამოძიებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ტევესმა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობა დაარღვია და ამის შესახებ ფეხბურთელს აცნობა. შემდეგი ნაბიჯი იქნება საქმის გარჩევა, რომელსაც შეძლებისდაგვარად მალე მოვაწყობთ“.*

ილია ბაბუნაშვილი

● ლივერპული

ვინ იქნება შემდეგი მწვრთნელი?

„ლივერპულის“ 21 წლის მცველი, **მარტინ კელი** ამბობს, რომ **კენი დალგლიშის** შემდეგ გუნდის მწვრთნელი **ჯეიმი კარაგერი** უნდა გახდეს. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში 33 წლის კარაგერმა განაცხადა, ფეხბურთის თამაშს, სავარაუდოდ, თავს მომავალი სეზონის ბოლოს დავანებებო. კელის არ სჯერა, რომ „ენფილდზე“ უკვე ლეგენდად შერაცხილი ვეტერანი მოედნიდან წასვლის შემდეგ „ლივერპულს“ სამარადჟამოდ გამოეთხოვება. ის ამბობს:

„მესმის, რომ მანამდე დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ კარას ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ ჩვენი მომავალი მწვრთნელი გახდეს. ის ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს გამოწურავს და მეორე ადგილზე გასვლას არასდროს დაარქმევს წარმატებას. პირდაპირ გეტყვით, დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი დიდი ფეხბურთელი საქმეს ხელს მოჰკიდებს და მოუთმენლად ველი კიდეც იმ დღეს, როდესაც ეს მოხდება“.

შეგახსენებთ, რომ კარაგერი ლივერპულელია და სხვა გუნდში ცხოვრებაში არ უთამაშია. 1996 წლის შემდეგ, „წითელი მაისურით“ მას კარიერაში 470 თამაში აქვს ჩატარებული. როდესაც ჟურნალისტებმა მომავლის შესახებ ჰკითხეს, ვეტერანმა უპასუხა:

„ფეხბურთის თამაშს კიდევ ერთი წელიწადი ან წელიწადნახევარი შევძლებ. მაქსიმუმ, ორი წელიწადი გავუძლო პრემიერლიგის დატვირთვებს. მინდა მომავალში მწვრთნელი გავხდე. ამ მიმართულებით ნაბიჯი უკვე გადავდგი და B ლიცენზია ავიღე. მე ძალიან მიყვარს ფეხბურთი და მინდა მთელი ცხოვრება ვემსახურო მას“.

ილია ბაბუნაშვილი

ჯეიმი კარაგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● პარმა

სებასტიან ჯოვინკო

გირარდი ჯოვინკოს ვერ ელევა

რამდენიმე დღის წინ, „იუვენტუსის“ სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ სებასტიან ჯოვინკოს** ასპარეზობით აღფრთოვანდა და მისი „იუვენტუსში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ სება „ბიანკონერის“ აღზრდილია და მის სატრანსფერო უფლებებს „პარმასთან“ ერთად, სანახევროდ სწორედ ტურინული გრანდი ფლობს. მაროტას კომენტარს „პარმას“ პრეზიდენტი **ტომაზო გირარდი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

„ძალიან მიხარია, რომ ჯოვინკო პროგრესირებს და მის მიმართ ინტერესი მატულობს. შესაბამისად, ჩემთვის გასაკვირი არ არის, რომ მისი დაბრუნებით „იუვენტუსია“ დაინტერესებული. ჯოვინკოს სატრანსფერო უფლებების ნახევარს ჩვენ ვფლობთ, ნახევარს კი „იუვე“, ამიტომ, ჯოვინკოს ბედი სწორედ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ თავად ფეხბურთელის სურვილის გათვალისწინებით. ჩემი ინფორმაციით, სება ემილიაში თავს ბრწყინვალედ გრძნობს და ტურინში დაბრუნების არავითარი სურვილი არ აქვს. ერთი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ჩვენი ინიციატივით ჯოვინკო „პარმას' არასდროს დატოვებს“.

● უდინეზე

ჰანდანოვიჩს გრანდში სურს


სამირ ჰანდანოვიჩი

„უდინეზეს“ სლოვენიელ კიპერ **სამირ ჰანდანოვიჩს** ტოპ-კლუბში გადასვლის სურვილი აქვს და ამის შესახებ პრესასთან საუბარში ღიად განაცხადა. სანამ სიტყვას 27 წლის მეკარეს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ სამირი შესანიშნავად მოერგო იტალიურ ფეხბურთს და უდინური გუნდის ძირითად შემადგენლობაში მყარად მოიკიდა ფეხი. მადა ჭამაში მოდისო ნათქვამია და ამაზე მისი კომენტარი მეტყველებს:

„ასაკში შევდივარ და ბუნებრივია, გამიჩნდა იმის სურვილი, რომ კარიერა გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდში, ევროპული ფეხბურთის გრანდში გავაგრძელო. მიზნად სწორედ ეს მაქვს დასახული და იმედია, მივაღწევ კიდეც. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გარემოს გამოცვლა წაადგება ჩემს კარიერას - გრანდში სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, ისევ „უდინეზეში“ თამაში მირჩევნია“.

● ორი მოსაზრება

ზემანი: იუვე ფავორიტი არაა

ზდენეკ ზემანი

ცნობილმა ჩეხმა სპეციალისტმა **ზდენეკ ზემანმა** სერია A-ში მიმდინარე პროცესები მიმოიხილა და მეტწილად „იუვენტუსის' საჩემპიონო შანსებზე გაამახვილა ყურადღება. ცნობილი ამბავია, რომ ზემანს არასდროს უყვარდა „იუვენტუსი“ და დიდი წვლილი აქვს შეტანილი „კალჩოპოლის' ცნობილ პროცესებში, რომელმაც ყველაზე მეტად სწორედ ტურინული გრანდი დააზარალა. აი, რა თქვა ამჯერად ზემანმა:

„ჩემი აზრით, სერია A-ს მიმდინარე სეზონი განსაკუთრებულად საინტერესო იქნება, რადგან მაღალი ადგილებისთვის უპრეცედენტოდ ბევრი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. შესაბამისად, კონკურენცია უმძაფრესი იქნება და შეხვედრები დაძაბულად ჩაივლის. ძალიან ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი „იუვენტუსია', თუმცა მე ასეთ თამამად პროგნოზს მაინც არ გავაკეთებდი. ანტონიო კონტეს ხელში „იუვე“ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სერია A-ში კიდევ არაერთი ძლიერი გუნდი თამაშობს, მათ შორის „მილანი“ და „ინტერი“. ვფიქრობ, რომ „იუვეს“ ფავორიტობაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა“.

ან ათამაშეთ, ან გაუშვით...

ფელიპე კოუტინიო

„ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელის, **ბენუა კოეს** აზრით, მილანური გრანდის მთავარი მწვრთნელი ძალიან სცოდავს, რომ **ფელიპე კოუტინიოს** თავის წარმოსაჩენად საკმარის დროს არ აძლევს. შეგახსენებთ, რომ 19 წლის ბრაზილიელი შემტევი გასულ სეზონში გადავიდა მილანურ გრანდში, თუმცა მას შემდეგ მხოლოდ 14 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთადერთი გოლი გაიტანა. მოვუსმინოთ კოეს:

„მე რომ „ინტერის' მთავარი მწვრთნელი ვიყო, კოუტინიო მუდმივად ძირითად შემადგენლობაში მეყოლებოდა, რადგან ის განსაკუთრებული შესაძლებლობების ფეხბურთელია. საოცარი ტექნიკა და მოედნის ხედვა აქვს, რასაც კარგი საგოლე ალღოც უნდა დავუმატოთ. თუ კლაუდიო რანიერი მასზე დაყრდნობას არ აპირებს, კარგი იქნება თუ იჯარის წესით რომელიმე სხვა გუნდში გაუშვებს. დაუშვებელია, რომ ასეთი ტალანტი არ ჩანდეს და მუდმივად სათადარიგოთა სკამზე იყოს“.

● მილანი

გალიანი სიმშვიდეს ინარჩუნებს

იბრაჰიმოვიჩს კასანომაც მიპბაძა

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ერთობ სევდიანი კომენტარი გააკეთა პრესასთან და აღნიშნა, რომ ფეხბურთს ისე ვეღარ თამაშობს, როგორც წინა წლებში. შვედმა დასძინა, რომ ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებას მას შემდეგ დაიწყებს, რაც კარიერას დაასრულებს და შესაბამისად, ამ დღეს აქედანვე მოუთმენლად ელოდება. გავიდა რამდენიმე დღე და დაახლოებით ანალოგიური შინაარსის განცხადება **ანტონიო კასანომაც** გააკეთა - იტალიელს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეუტანია, მაგრამ ერთი კი თქვა, თამაშისგან უწინდელ სიამოვნებას ვეღარ ვიღებ და კარიერის დასრულებაზე დავფიქრდიო. ამის გამგონე ჟურნალისტებმა **ადრიანო გალიანისთან** გადანყვიტეს დაკავშირება, რომელიც წესით შეშფოთებული უნდა იყოს მისი გუნდის ფორვარდთა ასეთი განცხადებებით - თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი სიმშვიდეს ინარჩუნებს:

„იბრაჰიმოვიჩი და კასანო შესანიშნავ ფორმაში არიან, რაც იმედს მაძლევს, რომ ორივე მათგანი ფსიქოლოგიურ კრიზისს უმოკლეს დროში დასძლევენ. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ხდება, როდესაც გარკვეულ ეტაპზე შენი საქმე სიამოვნებას აღარ განიჭებს, თუმცა ეს განცდა წარმავალია. დარწმუნებული ვარ, იბრაც და კასანოც კიდე დიდხანს ითამაშებენ ფეხბურთს და თანაც, აუცილებლად „მილანში“, იქ, სადაც მათ ბოლომდე ენდობიან“.

● ფიორენტინა

ალბერტო ჯილარდინო

ჯილა ერთ თვეში დაბრუნდება

ალბერტო ჯილარდინო სექტემბრის შუა რიცხვებში დაშავდა და მას შემდეგ მოედანზე აღარც გამოჩენილა. „ფიორენტინას“ მთავარმა მწვრთნელმა **სინიშა მიხაილოვიჩმა** მაშინვე განაცხადა, რომ მის გუნდს წამყვანი ფორვარდის გარეშე ფონს გასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. „ვიოლას“ მთავარი მწვრთნელი და გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდებიან 29 წლის ფორვარდის გამოჯანმრთელებას - ამ მხრივ კი გუშინ საკმაოდ კარგი ინფორმაცია გავრცელდა. მოვუსმინოთ თავად ფეხბურთელს და ყველაფერი გაცხადდება:

„საკმაოდ მძიმე ტრავმა მივიღე, მაგრამ მკურნალობის პროცესი დაგეგმილზე ნარმატებულად მიმდინარეობს, რაც ბოლო გამოკვლევამ დაადასტურა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მაქსიმუმ ერთ თვეში მოედანზე ვიქნები, არადა, პირველადი პროგნოზით დაახლოებით სამ თვეს უნდა დამესვენა. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ და ერთი სული მაქვს, როდის ჩავერთვები საწვრთნელ პროცესში“.

● ნაპოლი

ინლერის სწორი არჩევანი

გეკჰანინლერის აგენტის **დინო ლამბერტის** განცხადებით, მისი კლიენტი უზომოდ ბედნიერია, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში არჩევანი სწორედ „ნაპოლიზე“ შეაჩერა და ამ გუნდში გადავიდა. დინოს თქმით, 27 წლის შუახაზელს კიდევ არაერთი კლუბი ეპატიჟებოდა გაცილებით უკეთესი პირობებით, მაგრამ გეკჰანისთვის ფული არასდროს ყოფილა მთავარი. დანარჩენზე თავად ლამბერტი იტყვის:

„ინლერს ძალიან უნდოდა შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაში, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე ხელი მოეცარა. ამიტომ, მთელი ყურადღება საკლუბო კარიერაზე გადმოიტანა, სადაც ყველაფერი გაცილებით უფრო კარგად მისდის. ბედნიერია, რომ „ნაპოლის“ ღირსებას იცავს, გუნდის, რომელიც ყველა ტურნირზე მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. ამასთან, კლუბში შესანიშნავი ატმოსფეროა შექმნილი, რაც წარმატების უმთავრესი პირობაა. მოკლედ, ინლერი თავს საუცხოოდ გრძნობს და „ნაპოლიში' დარჩენას კიდევ დიდხანს აპირებს“.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

გეკჰანინლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები. თავდამსხმელების შედარება

მარიო თუ მირო?

გერმანიის ნაკრების თავდასხმაში ერთი ადგილია, დუელი დაიწყო

გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური აბსოლუტურად უპრობლემოდ მოიპოვა და უფრო მეტიც: იოახიმ ლიოვის გუნდი ევრო 2012-ის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება. ბუნდესგუნდის ძირითადი შემადგენლობის ბირთვი ჩამოყალიბებულია, მაგრამ მაინც არის რამდენიმე პოზიცია, სადაც უმძაფრეს დუელებს უნდა ველოდოთ. ორი აზრი არ არსებობს, ყველაზე სერიოზული ბრძოლა თავდამსხმელებს, მარიო გომესსა და მიროსლავ კლოზეს შორის დაიწყება. უფრო სწორად, უკვე დაიწყო, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, დამუშავებული ორიდან რომელი ტაქტიკური სქემით ათამაშებს გერმანიას ლიოვი – 4-2-3-1-ით თუ 4-1-4-1-ით – ცენტრფორვარდი მას ძირითად შემადგენლობაში ყველა შემთხვევაში ერთი ეყოლება.

მარიო გომესი და მიროსლავ კლოზე, ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთს სკამზე ჯდომა მოუნევს

მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგები, ბოსები და ფეხბურთელები 2009/2010 წლების სეზონს სიამოვნებით იხსენებენ ხოლმე. მაშინ რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონი გახდა, თასის ფინალში „ვერდერი“ 4:0 გაანადგურა და ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი გავიდა. ჰო, მაშინ „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში **ლუის ვან გაალიც** ბრწყინავდა. მიუნხენური გრანდის მოთამაშეებიდან მხოლოდ ორს სურს იმ სეზონის დავიწყება: **მიროსლავ კლოზეს** და **მარიო გომესს**. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სეზონის გადამწყვეტ ფაზაში შესვლას ორივე მათგანი ცუდ ფორმაში შეხვდა – მარიოც და მიროც სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ, თავდასხმაში კი **ივიცა ოლიჩი** ბრწყინავდა. არადა, წინ მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და შესაბამისად, გერმანიის ნაკრების მთავარი გოლეადორების უნიათობის გამო მთელი საფეხბურთო გერმანია ნერვიულობდა. არ ნერვიულობდა მხოლოდ ბუნდესმწვრთნელი ლიოვი.

იოგი მუნდიალამდე რეგულარულად იმეორებდა, გომესს და კლოზეს ასი პროცენტით ვენდობი, ეს განსაკუთრებით კლოზეს ეხება, რომელსაც თავისი შესაძლებლობები არაერთხელ აქვს დამტკიცებულიო. ლიოვს მირომ იმედები არ გაუცრუა და მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად მთელი სეზონი ჩააგდო, მუნდიალზე კარგად ითამაშა. გომესი კი სამხრეთ აფრიკაში სათადარიგო თავდამსხმელის რანგით დაკმაყოფილდა.

გომესმა ამოქაჩა

მას მერე წელიწადნახევარი გავიდა და ახლაც არავინ იცის, ვინ იქნება ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის ნდობაგამოცხადებული ცენტრფორვარდი. ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ მას მერე გომესმა მაგრად ამოქაჩა, კლოზეს კი ასაკი მოემატა.

ვარაუდებისთვის არ გვცალია და პირდაპირ ციფრებზე გადავიდეთ: მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ, კლოზემაც და გომესმაც გერმანიის ნაკრების ფორმით 11-11 მატჩი ჩაატარეს. რომის „ლაციოში“ გადაბარგებული კლოზე ძირითად შემადგენლობაში 8-ჯერ იყო (საერთო ჯამში მოედანზე 732 წუთი დაჰყო), გომესი კი 9-ჯერ (794 წუთი). რაც ყველაზე საინტერესოა: კლოზემ ათი გოლი გაიტანა, გომესმა კი ცხრა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უშუალოდ 2011 წელს გომესი გაცილებით უკეთ გამოიყურება: 8 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი, კლოზეს ანგარიშზე კი - 7 მატჩში 4 გოლია. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის, რომ ბოლო 7 მატჩში სასტარტოში გომესი თამაშობდა. მიუხედავად ამისა, დუელი გრძელდება და ფაქტია ისიც, რომ საბოლოო ჯამში ლიოვი გამარჯვებულს მხოლოდ გოლების რაოდენობის მიხედვით არ დაასახელებს. იოგის ადრეც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მისთვის სხვა ფაქტორებიც ძალიან მნიშვნელოვანია. მათ შორის:

პირველი: საგოლე ალღო

კლოზე „საგოლე მანქანაა“ (ამას ლიოვი ამბობს), კლოზე კი შედარებით უფრო მუშა თავდამსხმელი, უფრო გუნდური მოთამაშეა. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2010 წლის მუნდიალის შემდეგ კლოზეს უკეთესი საგოლე ალღო ჰქონდა: მიროს სულ 17 ე.წ. „ასპროცენტიანი საგოლე მომენტი“ ჰქონდა, რომელთაგან 53 პროცენტი გამოიყენა, გომესმა კი - 14 ასეთი მომენტიდან მხოლოდ 36 პროცენტი.

მეორე: მრავალმხრივობა

კლოზე ძალიან კარგად თამაშობს თავით, სწრაფია და ორივე ფეხით კარგად ურტყამს. ლიოვის თქმით, უკვე გომესიც სრულყოფილ ფორვარდად ჩამოყალიბდა და მიროს მეორე სართულზე თამაშის მხრივაც აღარ ჩამორჩება. ეს მაშინ, როცა თავით თამაში კლოზეს უმთავრესი პლუსია. უფრო მეტიც: მუნდიალის შემდეგ თავით ორივეს თითო გოლი აქვს გატანილი, მოგებული საჰაერო ორთაბრძოლების მაჩვენებლის მიხედვით კი გომესი კლოზეს აშკარად ჯობნის: 48%-30%.

გომესი სხვა კრიტერიუმებშიც გაუმჯობესდა. მაგალითად, ბელგიასთან მოგებულ მატჩში მან გოლი მესუთ იოზილთან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, მარცხენა ფეხით, 18 მეტრიდან გაიტანა. არადა, მარიო ადრე ცაციათი ვერ ურტყამდა. კლოზეს კი მუნდიალის შემდეგ საჯარიმოს გარედან არც ერთი გოლი არ გაუტანია. ამასთან, 33 წლის მიროს გომესისგან განსხვავებით, ბოლო 11 მატჩში არც კონტრშეტევის დროს უხეირია.

მესამე: თამაშში მონაწილეობა

„ბაიერნში“ გომესს ყველაზე ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ გუნდური ფეხბურთელი არ არის. საკმაოდ ხშირია თამაში, როცა 26 წლის მარიო მთელი 90 წუთის განმავლობაში ბურთს მხოლოდ 20-ჯერ ეხება. კლოზე კი გაცილებით აქტიურია – ხშირად გადადის ფლანგებზე, ჩადის უკან, ითხოვს ბურთს და ათამაშებს კომბინაციებს ფლანგის ნახევარმცველებთან.

ერთი სიტყვით, კლოზე უშუალოდ თამაშში გაცილებით მეტად მონაწილეობს, ვიდრე მისი კონკურენტი გომესი. კლოზე საშუალოდ 90 წუთში ბურთს გაცილებით ხშირად (41) ეხება, ვიდრე გომესი (30). საშუალოდ ერთ მატჩში კლოზე 25 ზუსტ პასს აკეთებს, გომესი კი 15-ს, მირო კარისკენ ზუსტად 18-ჯერ ურტყამს, მარიო კი 13-ჯერ.

მეოთხე: დაცვის მიხმარება

მას მერე, რაც „ბაიერნს“ იუპ ჰაინკესი წვრთნის, მარიო გომესი უკანახაზელებს გაცილებით ხშირად ეხმარება, ვიდრე ადრე. გერმანიის ნაკრებში კი მარიო მიროს ორთაბრძოლების საშუალო რაოდენობით დიდად აღარ ჩამოუვარდება: 18-20. სამაგიეროდ, ისევ დიდი განსხვავებაა მოგებული ორთაბრძოლების კრიტერიუმში: კლოზე საშუალოდ ერთ მატჩში ორთაბრძოლის 46 პროცენტს იგებს, გომესი კი 34 პროცენტს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლოზე ბურთიან მეტოქეს ხშირად თავის საჯარიმო მოედანამდე მიჰყვება ხოლმე, რაც გომესის შემთხვევაში უიშვიათესი მოვლენაა.

დასკვნა

სტატისტიკა ამტკიცებს იმას, რასაც ყველა ფიქრობს: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მარიო გომესმა საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა და მირო კლოზეს ძალიან მიუახლოვდა. თუმცა გომესს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს ის, რაც კლოზემ დიდი ხნის წინ დაამტკიცა: შეუძლია თუ არა გოლების გატანა ძლიერ მეტოქეებთანაც. მარიოს გერმანიის ნაკრების ფორმით რომელიმე გრანდის კარი ჯერ არ დაულაშქრავს, კლოზემ კი, რაღა შორს წავიდეთ, ბოლოს იტალიასაც გაუტანა (ამხანაგურ მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა).

ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი და არავინ იცის, რა და როგორ შეიცვლება ზაფხულამდე, დღევანდელი გადასახედიდან კი მაინც კლოზეს უპირატესობა იკვეთება.

გოტფრიდ ლენცი

● ჰამბურგი

ტორსტენ ფინკი

ტორსტენი ჰამბურგს ორშაბათს ჩაიბარებს

ის, რაც აქამდე ჯერ კიდევ ვარაუდის დონეზე იყო, ახლა უკვე ოფიციალურად დადასტურებული ანუ გადაწყვეტილი ამბავია: „ჰამბურგი“ უმძიმესი კრიზისიდან 43 წლის მწვრთნელმა, **ტორსტენ ფინკმა** უნდა გამოიყვანოს. ჩრდილოგერმანულმა კლუბმა, რომელიც ბუნდესლიგის აუტსაიდერია, ფინკთან და „ბაზელთან“ შეთანხმება გუშინ დაადასტურა. გერმანიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფ, მაგრამ ძალიან ამბიციურ კლუბთან ფინკი კონტრაქტს 2014 წლამდე გააფორმებს, გუნდის გაწვრთნას კი ორშაბათიდან შეუდგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უქმეებზე, „ფრაიბურგთან“ შეხვედრაში „ჰამბურგს“ სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** განწვრთნის.

„ტორსტენ ფინკი ჩვენთვის ყველაზე სასურველი სპეციალისტი იყო და მისთვის ბოლომდე ამიტომაც ვიბრძოლეთ. ის გუნდის პროფილსა და ფილოსოფიას იდეალურად ესადაგება. დარწმუნებული ვარ, რომ ტორსტენის ხელში „ჰამბურგი“ სერიოზულ პროგრესს განიცდის და როგორც მინიმუმ, ბუნდესლიგიდან არავითარ შემთხვევაში არ გავარდება“, - განაცხადა არნესენმა.

„შეიძლება ახლა ეს ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ „ჰამბურგი“ ბავშვობიდან მომწონდა. ამ გუნდს ჯერ კიდევ მაშინ ვქომაგობდი, როცა ჰამბურგელები ევროპაში ბრწყინავდნენ. მერეც, როცა „კარლსრუეს“ ან მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას ვიცავდი, „ჰამბურგს“ ყოველთვის ვქომაგობდი ხოლმე. „ბაზელში“ სამი შესანიშნავი წელი გავატარე; ახლა კი დროა, რომ სამწვრთნელო კარიერაში პროგრესული ნაბიჯი გადავდგა – „ჰამბურგის“ გაწვრთნას ამიტომაც დავთანხმდი. ფაქტია, რომ ბევრი საქმე მექნება. გუნდი ბოლო ადგილზეა და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ჰამბურგი“ ელიტიდან არ გავარდეს. ეს არასდროს მომხდარა და მჯერა, რომ არც ახლა მოხდება,“ - ეს თავად ფინკის სიტყვებია.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა „ბაზელს“ ფინკის სანაცვლოდ ერთი მილიონი ევრო გადაუხადა. ტორსტენის დებიუტი 22 ოქტომბერს, „ვოლფსბურგთან“ საშინაო შეხვედრაში შედგება.

ტორსტენ ფინკის სამწვრთნელო კარიერაში „ჰამბურგი“ პირველი ბუნდესლიგური კლუბი იქნება. მანამდე, „ბაიერნის“, „კარლსრუესა“ და „ვატენშაიდის“ ყოფილი ფეხბურთელი „ბაზელის“ გარდა, ავსტრიაში ზალცბურგის „რედ ბულს“, გერმანიაში კი მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ინგოლშტადს“ წვრთნიდა, საიდანაც 2009 წელს ზედიზედ 11-მატჩიანი მოუგებელი სერიის გამო გაათავისუფლეს. ცოტა ხნის წინ, მისმა „ბაზელმა“ ჩემპიონთა ლიგაში უდიდესი სენსაცია გამოაცხო – შვეიცარიელებმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ „ოლდ ტრეფორდზე“ 3:3 ითამაშეს. „ბაზელში“ ფინკს სავარაუდოდ შვეიცარიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **მურატ იაკინი** შეცვლის, რომელიც ახლა „ლუცერნს“ ავარჯიშებს, კარიერის საუკეთესო წლები კი სწორედ „ბაზელში“ აქვს გატარებული.

გოტფრიდ ლენცი

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.

შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოპრედიტით“ და
დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან
ა-ვე ლუქსი რეჭუს ლიცენზირებული მწარმოებელი
ჯეჯელიძის 2 245 02 05 www.fanjara.ge

● ამბები

ახალი კონტრაქტი ბლანს

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოელ ლე გრე ლორან ბლანს** ახალ კონტრაქტს ჯერ არ სთავაზობსო, - წერს "როიტერი". "ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება? ამ ეტაპზე ეს პრობლემად არ განიხილება. მუსიე ლორანი ნაკრებში მშვენივრად მუშაობს, მაგრამ ევრო 2012-ზე მოხვედრით მისთვის დაკისრებული მისიის მხოლოდ ერთი ნაწილი შეასრულა. მანამდე, სანამ თანამშრომლობის გაგრძელებას შევთავაზებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ. წინ კიდევ დიდი დრო გვაქვს ყველაფრის მოსაფიქრებლად და გასაანალიზებლად," – განუცხადა ლე გრემ "ეკიპს".

საადი კადაფი ბრალდებულია

ლიბიის დროებითი მთავრობის ინიციატივით, დაწყებულია გამოძიება ქვეყნის ყოფილი ლიდერის **მოამარ კადაფის** უფროსი ვაჟის **საადი კადაფის** წინააღმდეგ. ის საკუთარი საფეხბურთო კლუბის "ალ რიანის" მთავარი მწვრთნელის **ბაშირ ალ რიანის** მკვლელობაშია ბრალდებული. ალ რიანი ლიბიის ნაკრებში 1977/83 წლებში ასპარეზობდა, შემდეგ კი მწვრთნელობას მიჰყო ხელი. 2005 წელს მან სწორედ ის კლუბი ჩაიბარა, სადაც საადი კადაფი თამაშობდა. მკვლელობის მიზეზი კი ის გახდა, რომ საბრალო მწვრთნელმა რამდენჯერმე გაბედა ქვეყნის მმართველი რეჟიმის გაკრიტიკება. საადი იმითაც იყო ცნობილი, რომ მიუხედავად მისი დაბალი საფეხბურთო კლასისა, გავლენიანი მამის წყალობით სამ იტალიურ კლუბთან მოახერხა კონტრაქტის გაფორმება. ესენი იყვნენ "პერუჯა", "უდინეზე" და "სამპდორია". კადაფი-უმცროსმა მხოლოდ ორჯერ ითამაშა იტალიის სერია A-ს მატჩებში და ორჯერვე "პერუჯაში" ყოფნის დროს. მას იტალიაში თამაში მას მერე აუკრძალეს, რაც ნარკოტიკების მოხმარების ფაქტზე დაიჭირეს.

ლევან ბიბილაშვილი

უცხოური ფეხბურთი

● ევრო 2012 პლეი ოფი. წილისყრა

ბონეკის ხელით

ორმხრივი სიყვარული: ირლანდიას ესტონეთი სურდა, ესტონელებსაც ირლანდია ჩაუთქვამთ

გუშინ პოლონეთის ქალაქ კრაკოვის სასტუმრო „შერატონში“ ევრო 2012-ის პლეი ოფის წილისყრა გაიმართა - პლეი ოფის, რომელიც გაარკვევს პოლონეთ-უკრაინის ბოლო 4 საგზურის მფლობელთა ვინაობას. ცერემონიას უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** და პოლონური ფეხბურთის ლეგენდა, ევრო 2012-ის ელჩი **ზბიგნევ ბონეკი** უძღვებოდნენ. შეგახსენებთ, რომ 53 ქვეყნიდან ევროპის ჩემპიონატის საგზური 12-მა ნაკრებმა მოიპოვა (2 მასპინძელი, 9 ჯგუფის გამარჯვებული და 1 საუკეთესო მეორეადგილოსანი). ახლა ერთმანეთში, ორრაუნდიან დაპირისპირებაში სხვა მეორეადგილოსნები იბრძოლებენ.

წილისყრამდე 8 გუნდი ორ კალათში გაანაწილეს: ხორვატია, ირლანდია, ჩეხეთი და პორტუგალია - განთესილებში, თურქეთი, ჩერნოგორია, ბოსნია და ესტონეთი კი - განუთესელებში. ბუნებრივია, პირველი კალათის წარმომადგენელებს სურდათ, რომ მეტოქე ესტონეთი ყოფილიყო, რომელიც ობიექტურად ყველაზე სუსტი ნაკრებია პლეი ოფში. ირლანდიას გაუმართლა - საბჭოეთის ყოფილი კოლონიასთან რანდევუ დაიბევა, თუმცა, არა გვგონია, ესტონელებმა იოლად რამე დაუთმონ **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს. ეს გუნდები ერთმანეთს აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს 2002 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში და ირლანდიელებმა ორჯერვე 2:0 მოიგეს.

ტარმო რუუტლი (ესტონეთის მწვრთნელი): *„არ მიმაჩნია, რომ ირლანდია შესაძლო ოთხი ვარიანტიდან ყველაზე სუსტი მეტოქეა. ამ გუნდებმა ჯგუფურ ეტაპზე დაადასტურეს, რომ ძლიერები არიან. მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ სწორედ ირლანდიელებთან თამაში მსურდა. შესაძლოა, ჩვენმა გამოცდილებამაც იქონია გავლენა ამ სურვილზე - ჩვენ ხომ ჩრდილოირლანდიელები დავამარცხეთ. ორივე ნაკრებს კი ერთი, ბრიტანული სტილი აქვს. პლეი ოფში შანსი ყველას აქვს და ყველაში ჩვენც შევდივართ“.*

ჯოვანი ტრაპატონი (ირლანდიის მწვრთნელი): *„ძალიან პოზიტიურია, რომ მეორე თამაშს შინ ვთამაშობთ. მაგრამ მეტოქის შეუფასებლობა არ გვარგებს, თუნდაც ის ესტონეთი იყოს. რადგან ეს გუნდი პლეი ოფშია, ესე იგი ჯგუფური ეტაპი ძლიერად ჩაატარა. ახლა მთავარია, როგორ მოვემზადებით ნოემბერში ამ დაპირისპირებისთვის“.*

რევანშის წყურვილი

ამ წილისყრამ ერთმანეთს ხორვატია და თურქეთი დააპირისპირა, ეს კი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ეპიკური მეოთხედფინალის გამეორებაა, როცა თურქეთმა ხორვატია პენალტების სერიის წყალობით გააგდო. ის თამაში ვენაში გაიმართა, **ივან კლასნიჩმა** მატჩის 119-ე (!) წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ **სემიჰ შენთურქმა** ბოლო წამებზე გაათანაბრა, პენალტიც ხეირიანად დაარტყა და მისმა გუნდმა 3:1 მოიგო სერია. მაშინ შენთურქი 25 წლის იყო და **ჰაქან შუქურის** მიერ დატოვებული 9-ნომრიანი მაისურით იწონებდა თავს. შენთურქს წელიწადზე მეტია ეროვნულ ნაკრებში გოლი არ გაუტანია.

სლავენ ბილიჩი (ხორვატიის მწვრთნელი): *„სამი წელიწადია, რაც ამ დროს ველოდით და აი, ისიც დადგა - ახლა რევანშის ჯერია. არასოდეს დამავიწყდება ევრო 2008-ის მეოთხედფინალი. დიახ, თურქეთი ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ უკეთესები ვართ. განუთესავთაგან თურქეთი ყველაზე ძლიერი იყო, მაგრამ რევანშის წყურვილი ღირდა იმად, რომ წილისყრაში არ გაგვმართლებოდა. უბრალოდ, ვალდებული ვართ პოლონეთ-უკრაინის საგზური მოიპოვოთ“.*

ოგიუზ ჩეთინი (თურქეთის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი): *„ძალიან ძლიერი მეტოქე გვერგო. ჩვენც კარგად გვახსოვს 2008 წლის ხორვატია. სხვათა შორის, ჩვენი სათამაშო სტილი თითქმის ერთნაირია. ახლა უნდა კარგად მოვემზადოთ პლეი ოფისთვის, თუმცა თურქული სუპერლიგა ისეთი დატვირთულია 6 ნოემბრამდე ნაკრებს ვერ შევკრებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაპირისპირება ორრაუნდიანია“.*

პორტუგალია-ბოსნია, დუგლი ორი

ასევე ნაცნობი წყვილია ბოსნია ჰერცეგოვინა თურქეთის წინააღმდეგ. ეს ნაკრებები 2010 წლის მუნდიალის პლეი ოფში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ პორტუგალიელებმა ორი მატჩის ჯამში 2:0 მოიგეს და სამხრეთ აფრიკის საგზური ცხვირწინ აიცალეს ექსიუგოსლავებს.

საფეტ სუშიჩი (ბოსნიის მწვრთნელი): *„საფრანგეთთან თამაშში არ გაგვიმართლა. იქნებ, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი საგზური პორტუგალიასთან მატჩი იყოს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი გუნდი, რომელსაც შემადგენლობაში კრიშტიანო რონალდო ჰყავს, ფავორიტია, მაგრამ ყველას ვანახეთ, რომ ფავორიტთა თავისტკივილები ვართ“.*

პაულუ ბენტუ (პორტუგალიის მწვრთნელი): *„გავიხსენოთ წინა პლეი ოფის დაპირისპირება, ჩვენ კი მოვიგეთ, მაგრამ ორივე შეხვედრა მინიმალურად. აუცილებლად უნდა ვიფრთხილოთ. პირველი, რასაც გავაკეთებ სახლში მისვლისთანავე, საფრანგეთი-ბოსნიის თამაშის ყურებაა“.*

მთავარია, პორტუგალია აგვცდა

ჩერნოგორიის ნაკრები პირველად თამაშობს პლეი ოფში, მისი მეტოქე კი ჩეხეთის ნაკრებია, რომელსაც საპატიო მიზეზი აქვს, რომ ჯგუფი ვერ მოიგო - ჩეხთა კონკურენტი ხომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთი იყო.

მიხალ ბილეკი (ჩეხეთის მწვრთნელი): *„პლეი ოფში მონაწილე ნებისმიერ გუნდს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ, წინასწარ არ განმისაზღვრავს, ვისთან თამაში გვაწყობს და ვისთან - არა. ჩერნოგორია რომ კარგი გუნდია, ამას ინგლისელებთან ნათამაშები ორი ფრეც მეტყველებს. მათ ბევრი გოლი არ გააქვთ, არადა, გასაკვირია, რადგან ისეთი მაღალი დონის ფორვარდი ჰყავთ, როგორიც „იუვენტუსის“ მირკო ვუჩინიჩია. აჯობებდა, მეორე თამაში შინ გვეთამაშა, რადგან გადამწყვეტ მომენტში ფანების მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, თუ დამატებითი ტაიმები დაგვჭირდება. მაგრამ უნდა შევეგუოთ, რომ ეს უპირატესობა მეტოქეს ხვდა წილად, ამიტომ პირველ მატჩში რაც შეიძლება კარგი შედეგი უნდა დავიბევოთ“.*

ბრანკო ბრნოვიჩი (ჩერნოგორიის მწვრთნელი): *„თამაშის წინ ჩავუთქვი, რომ თუკი პორტუგალიას ავცდებოდით, ვიტყოდი, რომ გაგვიმართლდა. ამიტომ წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩეხეთი დიდი საფეხბურთო ქვეყანაა, მათ იმდენი დიდი ფეხბურთელი ჰყავდათ და ჰყავთ, რომ მარტო ჩამოთვლას ნახევარ საათს მოვუნდები. მაგრამ შანსები ზუსტად 50X50-ზეა. მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ, მაგრამ ჩვენი ძალებისაც გვჯერა. ჩერნოგორიის ნაკრები ბოლო დროს გაიზარდა და ახლა ჩვენი დამარცხება ყველას უჭირს. ინგლისთან ორი მატჩი დიდად წაგვეხმარა, ჩვენ მხოლოდ ქულები კი არ მოვიპოვეთ, არამედ - საკუთარი ძალების რწმენაც. მართალია, ჩეხებს ბევრი ვარსკლავი ჰყავდა, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია თავის მონონება დეიან სავიჩევიჩით და პრედრაგ მიატოვიჩით. ახლაც ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს: მირკო ვუჩინიჩი და სტევან იოვეტიჩი. დღევანდელი ნაკრები გამოცდილი გუნდია, ამიტომაც ჩვენი დამარცხება ყველას გაუჭირდება“.*

პლატინი და მინისტრები VS ჩაწყობილი თამაშები

კრაკოვში ევროკავშირის ქვეყნების სპორტის მინისტრთა ორდღიანი შეხვედრაა, სადაც სიტყვით გამოვიდა უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**. როგორც ჩანს, ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა ომს უცხადებს ჩაწყობილ თამაშებს, რადგან ძირითადი აქცენტი პლატინიმ სწორედ ამ პრობლემაზე გაამახვილა. პლატინი ევროკავშირის ქვეყნებს სთხოვს მიილონ კანონი, რომელიც გაცილებით გამჭირვალეს გახდის ტოტალიზატორების ფუნქციონირებას, შესაძლებელს გახდის თანხების კონტროლს, რაც, მისი აზრით, ჩაწყობილ მატჩებთან ბრძოლაში ეფექტიანი იქნება. სხვათა შორის, ეს კანონი უკვე მიიღეს საფრანგეთში.

პლეი ოფი

თურქეთი-ხორვატია, ესტონეთი-ირლანდია
ჩეხეთი-ჩერნოგორია, ბოსნია-პორტუგალია
პირველი მატჩები - 11, 12 ნოემბერს
საპასუხო მატჩები - 15 ნოემბერს

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მანჩესტერ იუნაიტედი

ჩიჩარიტომ ხუთწლიანს მოაწერა

23 წლის მექსიკელმა ვარსკვლავმა **ხავიერ ერნანდესმა**, იმავე **ჩიჩარიტომ**, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ თავდამსხმელის შეძენა მადრიდის „რეალს“ მოუნდა და მანჩესტერელებისთვის 30 მილიონი ფუნტის შესათავაზებლად მოემზადა, მაგრამ ინგლისის ჩემპიონი სარფიან წინადადებას არ გამოედევნა — ერნანდესს „ოლდ ტრეფორდზე“ ხელფასი გაუზარდეს. თუ ჩიჩარიტო აქამდე კვირაში 25 ათას ფუნტს იღებდა, ამიერიდან 75 ათასს მიიღებს. ფეხბურთელის წარმომადგენელმა **ედუარდო ერნანდესმა** თქვა:

„ჩვენ ხავიერის ხელშეკრულებას გადავხედეთ, განვაახლეთ ის და ახლა ჩიჩარიტო „მანჩესტერ იუნაიტედში“ კიდევ ხუთი წლით დარჩება. ასე მოქცევის საშუალებას თავდაპირველი კონტრაქტი იძლეოდა. ის მისაღები იყო როგორც კლუბისთვის ასევე ხავიერისთვის, რადგან მისი ერთ-ერთი პუნქტს თანახმად მხარეებს ერთმანეთის შეფასებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საშუალება ჰქონდათ. ასეც მოხდა. ხავიერმა დაინახა, რომ „მანჩესტერ იუნაიტდი“ მისთვის მისაღები გუნდია, „იუნაიტედმა“ კი აღმოაჩინა თავდამსხმელი, რომელიც მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ზედმეტად არაფერს დავაკონკრეტებ, მაგრამ ახალი ხელშეკრულება ხუთწლიანია და ხელფასის თვალსაზრისით რუნისა და ნანის ხელშეკრულებებს ვერ შეედრება. ამას რომ ვამბობთ, ვადასტურებთ რუნისა და ნანისადმი ჩვენს პატივისცემას და დავძენთ, რომ ჩვენთვის ხავიერის ახალი კონტრაქტი სრულიად მისაღებია“.

ილია ბაბუნაშვილი

● ამბები

ვარასი სევილიაში დარჩა

ხავი ვარასი 2008 წლიდან "სევილიაში" თამაშობს. 29 წლის მეკარეს ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ ანდალუსიელთა მიერ შეთავაზებულ ახალ წინადადებას დათანხმდა და კონტრაქტი გაუმჯობესებული პირობებით 2015 წლამდე გააფორმა, სადაც გათვალისწინებულია მისი გამოსასყიდი თანხაც – 20 მილიონი ევრო.

"მარკა" ფეხბურთელს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. აი, რას აცხადებს მეკარე: "ფეხბურთელის ხარისხი ყველაზე მეტად მინდორზე ჩანს. კარგად რომ არ მეთამაშა, კლუბი ხელშეკრულების 4 წლით დადებას არ შემომთავაზებდა. ბედნიერი ვარ, რომ სპორტული მხრივ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიდის. მადლობას ვუხდი კლუბის ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბს ამხელა ნდობისთვის".

უპრაინელი ჰსვ-ში?

უკრაინული პრესის ცნობით, ლუგანსკის "ზარიას" 21 წლის ნახევარმცველი **მაქსიმ ბელი** შეიძლება სათამაშოდ "ეინდჰოვენში" გადავიდეს. ფილიპსელები ფეხბურთელით გასულ ზაფხულზე დანიაში გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ დაინტერესდნენ. ჰოლანდიელებს შეიძლება სერიოზული მეტოქეობა გაუწიონ რუსული პრემიერლიგის მდიდარმა წარმომადგენლებმა, მათ შორის "რუბინმა" და ცსკა-მ.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი

შაჰინის სამეფო დებიუტი

"რეალის" 23 წლის თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** იმედს გამოთქვამს, რომ ამ უქმეებზე პრიმერა დივიზიონის მე-7 ტურში "მალაგასთან" შეხვედრაში ბოლოს და ბოლოს შედგება მისი დებიუტი სამეფო კლუბში. მოგეხსენებათ, "დორტმუნდის" რიგებში ბუნდესლიგის მოგების შემდეგ ნურიმ "რეალს" მიაშურა. ივლისში ამერიკაში ჩატარებულ შეკრებაზე ის ერთ-ერთ პირველივე ვარჯიშზე დაიმტვრა და მას მერე არ უთამაშია. არადა, ექიმები მსგავსი სირთულის ტრავმას არც ვარაუდობდნენ. შაჰინის მინდორზე დაბრუნება რამდენჯერმე გადაიდო. ახლა, როგორც ჩანს, ყველაფერი უკვე კარგადაა. ამიერიდან ყველაფერი **ჟოზე მოურინიოზეა** დამოკიდებული.

ნური შაჰინს დიდი ფეხბურთის გარეშე ცხოვრება მოსწყინდა

პერუული "უნივერსიტარიო დეპორტესის" 17 წლის თავდამსხმელი **ენდი პოლო** "რეალის" ინტერესის სფეროში მოექცა და შესაძლოა ის "სანტიაგო ბერნაბეუზე" უკვე ამ ზამთარს გადაბარგდეს. ენდის შეძენით პირადად მოურინიოა დაინტერესებული. მადრიდელთა სკაუტები ფეხბურთელს 2011 წლის იანვრიდან აკვირდებიან, როცა მას პერუს უმაღლეს ლიგაში ჰქონდა დებიუტი. სულ იუნიორი თავდამსხმელის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 3 გოლია. ამდენივე გაიტანა პოლომ (ოღონდ 4 შეხვედრაში) პერუს 17-წლამდელთა ნაკრებშიც. "სქაი სპორტის" ცნობით, "რეალს" თინეიჯერი ფეხბურთელი სულ რაღაც ერთი მილიონი ევრო დაუჯდება.

მადრიდის "რეალის" გულშემატკივართა კლუბმა მოუწოდა კლუბის პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესსა** და ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვისენტე დელ ბოსკეს** დასხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან და პრობლემები ასე გადაწყვიტონ, -წერს "მარკა". მათ შორის ურთიერთობა კი მას მერე გაცივდა, რაც დონ ფლორენტინომ 2003 წელს სენიორ ვისენტე მიუხედავად შთამბეჭდავი შედეგებისა, კლუბიდან გაუშვა. *"დიალოგის წარმართვა და შეთანხმება ყველაფერზე შეიძლება. ეს ყოველივე უპირველესად "მადრიდიზმის" ინტერესებიდან გამომდინარე. კარგი იქნებოდა, თუკი ისინი დათმობდნენ თავიანთ პოზიციებს. დიახ, ეს მეტისმეტად დელიკატური თემაა, მაგრამ სასურველი იქნება, თუკი მხარეები საერთო ენას მაინც გამონახავენ",* – ნათქვამია "რეალის" ფანკლუბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ლევან ბიბილაშვილი

● დაპირისპირება

სომხეთი უეფას წინააღმდეგ

კი, მაგრამ რა შუაშია ტიერი ანრი?

ირლანდიაში ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის გადამწყვეტი შეხვედრის წაგების შემდეგ სომხური ვებგვერდები აღშფოთებულები წერენ საყოველთაო შეთქმულებაზე მათი გუნდის წინააღმდეგ. yerkir.am–ის ცნობით, ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე სლოვაკეთში სომხური საზოგადოების ხელმძღვანელი **აშოტ გრიგორიანთან** ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნები მისულან და მისთვის განუცხადებიათ, რომ მათი ინფორმაციით, მატჩის ესპანელ არბიტრ **იტურალდე გონსალესს** უეფას მიერ პირდაპირი მითითება ჰქონია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ირლანდიის ნაკრები გაეყვანა. ამით თითქოს ევროპული ფეხბურთის მმართველები კუნძულელებს ორი წლის წინანდელ ვალს უბრუნებდნენ, როცა სწორედ მსაჯის შეცდომის გამო (შვედმა **მარტინ ჰანსონმა** მაშინ **ტიერი ანრის** მიერ ხელით თამაში ვერ დაინახა, რასაც ფრანგების გოლი მოჰყვა) ირლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩნენ.

იტურალდე გონსალესი

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფაში ოფიციალური პროტესტი შეიტანა, სადაც წერია, რომ იტურალდე გონსალესის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მატჩის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. ფედერაციის პრეზიდენტი **რუბენ აირაპეტიანი** ამბობს, რომ ის ესპანელის დასჯას მოითხოვს, თუმცა მას ეს იმდენად არ აღელვებს, რამდენადაც მეკარე **რომან ბერეზოვსკისთვის** დისკვალიფიკაციის მოხსნა, რომელიც, მისი თქმით, ტყუილად გააძევეს მატჩის 26-ე წუთზე. ბატონი პრეზიდენტი თავის მხრივ გამოეხმაურა ვებგვერდებით გავრცელებულ ინფორმაციას წინასწარი განზრახვით სომხების დაჩაგვრის შესახებ და მას აბსურდი უწოდა. *"ასეთი შეკვეთა უეფასგან არ იქნებოდა. დამიჯერეთ, პლატინი ის ადამიანი არ არის, ვინც მსგავს ბრძანებებს იძლევა"*, – აცხადებს აირაპეტიანი.

ლევან ბიბილაშვილი

● ბაიერნი

რობენი შვებულებაში

რიბერი მზადაა, ოლიჩიც გრუნდებგა

იუპ ჰაინკესმა არიენ რობენი ერთკვირიან შვებულებაში გაუშვა

მიუნხენის „ბაიერნმა" ტრავმირებული **არიენ რობენი** შვებულებაში გაუშვა. ჰოლანდიელი გარემარბის ერთი კვირით დათხოვნა იმის გამო გადაწყდა, რომ რეკორდმაისტერის სამედიცინო შტაბის გადაწყვეტილებით, რობენი ვარჯიშს არა ამ კვირაში, როგორც თავიდან ითქვა, არამედ მომავალი კვირის ბოლოს დაიწყებს – ესეც სავარაუდოდ. გადაჭრით კი არავინ იცის, როდის დაბრუნდება 27 წლის არიენი მოედანზე.

თუ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ყველაფერი ისე იქნება, როგორც „ბაიერნის" ექიმებს უნდათ, რობენი მსუბუქად ვარჯიშს ზუსტად ერთ კვირაში დაიწყებს. *„ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ არიენს ერთი კვირა საქმე არ აქვს და უმჯობესია, კარგად დაისვენოს. ექიმები ამბობენ, რომ დასვენება მისი გამოჯანმრთელების პროცესს ხელს შეუწყობს,"* - აცხადებს ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სამაგიეროდ, სრულად გამოჯანმრთელდა მიუნხენური გრანდის ფრანგი გარემარბი **ფრანკ რიბერი**, რომელსაც კუნთი ჰქონდა დაჭიმული. რიბომ გუშინ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და „ჰერტასთან" შეხვედრაში მოედანზე გასვლა შეეძლება. თუმცა მცირე ტრავმა აწუხებს ბრაზილიელ მარჯვენა მცველ **რაფინიას**, რომელმაც გუშინ პაუზის შემდეგ პირველად ივარჯიშა და ისიც მსუბუქად. უკრაინელ საყრდენ ნახევარმცველ **ანატოლი ტიმოშჩუკს** გრიპი აქვს და „ჰერტასთან" ალბათ ვერ იასპარეზებს. ხორვატი თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** კი უკვე სრულ მზადყოფნაშია და იმედი აქვს, რომ ჰაინკესი „ჰერტასთან" ცოტა ხნით მაინც ათამაშებს.

გოტფრიდ ლენცი

● ფრანგული ამბები

მარვენ მარტენი სეზონის ბოლომდე სოშოში დარჩება

ამაურის პერსპექტივა

იტალიური გამოცემა "ლა სტამპა" წერს, რომ იანვარში ტურინის "იუვენტუსის" თავდამსხმელი **კარვალიო ამაური** შესაძლოა მარსელის "ოლიმპიკში" გადავიდეს. 31 წლის ფეხბურთელს ფრანგები იანვარშიც იწვევდნენ, მაგრამ მაშინ ბრაზილიელმა მეტისმეტად დიდი ხელფასი მოითხოვა, საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონები მაშინ იძულებულნი გახდნენ, ჩანაფიქრზე უარი ეთქვათ. ამჯერად სამხრეთამერიკელის მდგომარეობას ის ამძიმებს, რომ **ანტონიო კონტემ** მის სამსახურზე უარი თქვა და მას სხვაგან წასვლის გარდა სხვა გზა არც დარჩენია. "ბიანკონერის" ამაურის გაყიდვის რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, მაგრამ თავდამსხმელი, მარსელელთა მსგავსად, პირობებზე ვერც სხვა კლუბებს შეუთანხმდა. ახლა კი მისი აგენტი **მიკელე პალმიზანო** აცხადებს, რომ მისი კლიენტი მზადაა, "ველოდრომზე" გადავიდეს და იმ პირობებს დათანხმდეს, რასაც მას ფრანგული კლუბი იანვარში სთავაზობდა. საკითხავია, თავად კლუბს თუ შეუძლია ფეხბურთელს ანალოგიური პირობები შესთავაზოს.

ჩვენი გაზეთი წერდა, რომ ფიფამ ლიისაბონის "სპორტინგიდან" "ნიცაში" **იანიკ ჯალოს** ტრანსფერი ბათილად ცნო. კლუბმა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას ლიზანის სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა და გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. სასამართლომ ფიფას პოზიცია მართებულად მიიჩნია და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. შეგახსენებთ, რომ მთავარი პრობლემა ფიფაში საჭირო საბუთების ვადის ამონურვის შემდეგ გაგზავნა იყო, რის შემდეგაც ციურიხში 25 წლის გვინეელისთვის ფრანგულ კლუბში თამაშის ნებართვის გაცემაზე უარი თქვეს.

ბედშავ იანიკს ახლა მოცდა იანვრამდე მოუწევს, როცა თავიდან იქნება შესაძლებელი ფიფაში საბუთების გაგზავნა და წესის დაცვით ტრანსფერის სრულყოფა.

"პარი სენ-ჟერმენის" თავდამსხმელი **პეგი ლუინდულა** იანვარში კლუბს დატოვებს. 32 წლის ფეხბურთელმა ვერ გაუძლო შეტევის ხაზში შექმნილ მწვავე კონკურენციას და სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა. ის მაინცდამაინც არც შარშან იყო განებივრებული **ანტუან კომბუარეს** ნდობით (ძირითადში სულ 4-ჯერ მოხვდა), მაგრამ წელს მას სკამზეც კი უჭირს თავისი ადგილის პოვნა. ეს მაშინ, როცა იშვიათად თამაშობს **მევლუთ ერდინგი** და ტრავმირებულია **გიიომ ოარო**, თავდამსხმელები, რომლებიც კლასით მას აშკარად აღემატებიან. "ეკიპის" ცნობით, ლუინდულას გადაბირება "ევიანს" სურს. დედაქალაქელები ვეტერანში 1 მილიონს ითხოვენ. თუ ტრანსფერი შედგა, ლუინდულას კლუბში მისი ოდინდელი თანაგუნდელი **სიდნი გოვუ** დახვდება, ვისთან ერთადაც ის "ლიონში" 2001/04 წლებში თამაშობდა.

ბოლოს "სოშოს" შევეხოთ: ფრანგული სპორტული პრესა წერს, კლუბს იანვარში ორი წამყვანი ფეხბურთელი დატოვებსო. თუკი "სოშოს" თამაშებს თვალს ადევნებთ, აღმოაჩენდით, რომ "სტად ბონალზე" ორი ფეხბურთელი ასპარეზობს, რომელთაც შეიძლება სხვა ევროპული კლუბების ინტერესი თანაგუნდელებზე მეტად მიიქციონ. ლაპარაკია საფრანგეთის ნაკრების 23 წლის ნახევარმცველ **მარვენ მარტენსა** და 24 წლის მალელ თავდამსხმელ **მოდიბო მაიგაზე**. პირველისადმი ინტერესი ძალიან დიდია. ყველაზე მეტად მისი გადაბირება "არსენალს" უნდა (ასევე ეპატიჟებიან "ლიონი", "ლილი" და "დორტმუნდი"), მეორეს კი "სანდერლენდი" უპირებს მოხიბვლას.

მარტენი აცხადებს, რომ: *"ეს სეზონი "სოშოში" დავიწყე და აქვე დავამთავრებ. ფიქრადაც კი არ გამივლია, კლუბი იანვარში დავტოვო"*. მაიგას კომენტარი კი პრესაში არ გამოჩენილა, რაც სულაც არ არის გასაკვირი. მას ზაფხულზე "ნიუკასლი" ყიდულობდა, მაგრამ კლუბმა არ გაუშვა და გაპროტესტების გამო მას ცოტა ხნით თავი დუბლეებში ამოაყოფინეს. ამასობაში მალის ნაკრების თამაშის შემდეგ მაიგა კლუბს მუხლში სისხლჩაქცევით დაუბრუნდა, რის გამოც მას შეიძლება 16 ოქტომბერს "ვალანსიენთან" მე-10 ტურის მატჩი გაუცდეს.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. პრესკონფერენცია

ქართული ძიუდო ევროპულ რელსებზე

ევროპისკენ თუ არ მივბრუნდით, წარმატება გაგვიჭირდება

ქართულმა ძიუდომ ევროპისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა - ფედერაციამ ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარების პროექტი წარმოადგინა, რომელიც გუშინ სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მედიას გააცნეს. პროექტის შესახებ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ნუცუბიძემ** ისაუბრა, როგორც ავტორმა, თუმცა მის შექმნაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც აქტიურად მონაწილეობდა.

ახალი პროექტი შორს მიმავალ გეგმაში ითვალისწინებს სპორტსმენთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; მათ რანგირებას, რაც საბოლოო ჯამში ხელფასების განმსაზღვრელი იქნება ანუ რეიტინგში უფრო მაღლა მდგომი ანაზღაურებასაც მეტს მიიღებს; მასობრიობის გაზრდას; საკლუბო სისტემის განვითარებას, თუმცა ეს ყველაფერი, ვიმეორებთ - შორს მიმავალი გეგმაა, პირველ ეტაპზე კი ფედერაცია ქვეყნის მასშტაბით არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის აღწერას აპირებს... შეიძლება ითქვას, ეს პროცესი უკვე დაიწყო - გამოიყო რეგიონები და მათზე მიმაგრებული ორ-ორი კაცი, რომლებიც ყოველ სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში ჩავლენ, სადაც კი ძიუდოს სექცია მოქმედებს, შეისწავლიან და აღწერენ დარბაზებს, ინვენტარს, გაეცნობიან ადგილობრივთა პრობლემებს - რა სჭირდებათ, რა აკლიათ, რისი დამატება უნდათ. ასევე აღნუსხავენ დასაქმებულ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. შეგროვებული ინფორმაცია საერთო ელექტრონულ ბაზაში მოიყრის თავს, რომელიც განთავსდება ფედერაციისა და სამინისტროს საიტზე. შეიქმნება სრული სურათი, რა მდგომარეობაა ძიუდოს მხრივ მთლიანად ქვეყანაში და კონკრეტულ რეგიონში, რადგან პრობლემები განსხვავებულია. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, არის რეგიონული ფედერაციები, სადაც მოსალოდნელზე ბევრი გაკეთდა, მაგრამ არიან ისეთებიც, მხოლოდ ქაღალდზე რომ არსებობენ და მეტი დახმარება სჭირდებათო.

„ძიუდოს დღევანდელი მეურნეობა სპორტსმენების პირადი თავდადებისა და მწვრთნელების პირადი შემოქმედების ხარჯზეა აგებული - ყოფილი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დღემდე მოპოვებულმა შედეგებმა ამ ხალხის მხრებზე გადაიარა. ცხადია, ასეთი ინდივიდუალური თავდადება მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ მუშაობა ბევრად უფრო გამართული და შედეგიანი იქნება, თუ ყველაფერი ერთიან ჩარჩოში მოექცევა.

პირველი ეტაპი

ამ პროექტის პირველი ეტაპი მეთოდოლოგიური თუ სხვა სახის დახმარებასაც მოიცავს. მეორე ეტაპი ამ მონაცემთა მეცნიერულ დამუშავებას ითვალისწინებს და განსაზღვრავს, კონკრეტულ ადგილას რა სახის დახმარება სჭირდებათ - მეთოდოლოგიური, საკადრო თუ სხვა. რა თქმა, უნდა, ითვალისწინებს ბაზების რეაბილიტაციასაც, აგრეთვე ნიჭიერი სპორტსმენებისთვის მაქსიმალური პირობების შექმნას - ბაზაზე მოწვევას საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფით და ასე შემდეგ. ცალკე ეტაპი იქნება მწვრთნელთა დახარისხება მათი სამუშაო სტაჟის, შესაძლებლობების, მიღწეულის მიხედვით. ისინი გაივლიან ატესტაციებსაც, რის შემდეგაც მივიღებთ კვალიფიციურ მწვრთნელებს. სამინისტროს თანადგომით გაისად უკვე დაიწყება მწვრთნელთა გადამზადების კურსები წამყვანი უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. ამ პროცესში სამეცნიერო საბჭოც ჩაებმება, რომელშიც ლომის წილი ადგილობრივ ღვაწლმოსილ კადრებზე იქნება - მათ წლების განმავლობაში დიდი გამოცდილება დააგროვეს, რასაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ამ რეფორმებით ჩვენ გავუთანაბრდებით ევროპულ ტენდენციებს, თორემ მსოფლიოში სულ სხვა ძიუდო ვითარდება. ამ გზით თუ არ ვიარეთ, ხვალ-ზეგ ახალგაზრდებსა და ჭაბუკებშიც გაგვიჭირდება შედეგის მიღწევა, რადგან მთელი მსოფლიოს ასეთ რელსებზეა გადასული“ - განაცხადა ნუცუბიძემ და დასძინა, რომ ფედერაციის მუშაობა მხოლოდ ოლიმპიადასა და მსოფლიოზე შედეგის ჩვენება კი არაა, არამედ ის ყველა რგოლის გამართულ მუშაობას ითვალისწინებს.

შეფასებები

სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **გია გალდავამ** აღნიშნა, რომ ძიუდოს ფედერაციის პროექტი ქართულ რეალობაში დასავლური განვითარების პირველი პრეცედენტია, რასაც სამინისტრო იმთავითვე მიესალმა და მომავალშიც მაქსიმალურად დაუჭერს მხარს. შეხვედრაზე არაერთხელ გამოითქვა იმედი, რომ ძიუდოს სხვა ფედერაციებიც მიმართავენ. ასევე რამდენჯერმე აღნიშნეს ქართველთა ამბიციურობაც, როცა ადგილობრივებს უცხოელ მწვრთნელთა სემინარებზე დასწრება ეთაკილებოდათ, რადგან თავი მასზე უფრო მცოდნეებად მიაჩნდათ. გალდავამ ასეთთა საყურადღებოდ საკუთარი მაგალითი გაიხსენა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია მას ყოველწლიურად გზავნის სხვადასხვა ქვეყანაში მსგავს კემპებზე და ინდოეთში ყოფნისას, რომელიც აქამდე საჭიდაო ტრადიციებით არ გამოირჩეოდა, რაღაც ნიუანსები აქეთ უსწავლია ადგილობრივთაგან, რაც იმათ უჩუმრად ჩაუწერია კიდეც. *„ყველასგან შეიძლება რაღაცის სწავლა, ამის სურვილი თუ გაქვს. ჩვენ თუ აქ ჩამოსულ მწვრთნელებზე ძლიერები ვართ, შევიდეთ დარბაზში და იქით დავუმტკიცოთ, რომ მათზე მეტი ვიცით; ვაგრძნობინოთ, რომ არც ჩვენ ვართ უცოდინარები“*, - თქვა გალდავამ. ის დაეთანხმა ნუცუბიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფედერაციის მოვალეობა მხოლოდ ტურნირებზე გამოსვლაა არაა. ამ კონტექსტში ერთ ქართულ ნონსენსზეც გაამახვილა ყურადღება: *„ხშირად ფედერაციებში თავ-პირის მტვრევაა საფრანგეთ-ავსტრია-იტალიაში და უცხოეთში წასვლაზე, ამ დროს კი მესტიაში, თელავში და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩასასვლელი ფული არ აქვთ, იქ ტურნირი რომ ჩაატარონ, ადგილზე გაეცნონ ვითარებას. არადა, ამას 1000-ჯერ ნაკლები თანხა სჭირდება“*. ახალ პროექტსა და ახალ ინიციატივას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **შოთა ხაბარელი,** ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების თავკაცები **- გიორგი ვაზაგაშვილი** და **გიორგი გუგავაც** მიესალმნენ, რომლებმაც თავიანთი გუნდების წლევანდელ გამოსვლაზეც ილაპარაკეს. თუმცა ჭაბუკებმა თუ უკვე დაამთავრეს სეზონი, ახალგაზრდებისთვის ჯერ ისევ გრძელდება - ნოემბრის დასაწყისშივე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიფრინავენ მსოფლიოს პირველობაზე, ხვალ კი იმ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად დუშეთში შეკრებას იწყებენ. გუგავა მსოფლიოზე წასაყვან შემადგენლობას თვის ბოლოს დაასახელებს.

უახლოესი გეგმა

პრესკონფერენციაზე მიმდინარე აქტუალურ თემასაც შეეხნენ - 16-18 ოქტომბერს აბუ დაბიში „დიდი პრიზის“ ტურნირი ტარდება, სადაც ჩვენი გუნდიც იასპარეზებს. ოღონდ არასრული შემადგენლობით, მხოლოდ 6 კაცით და უმეტეს ლიდერთა გარეშე. **ამირან პაპინაშვილი** (60), **გიორგი შოშიაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (ორივე - +100) - ასეთია **პეტერ ზაიზენბახერის** ამჟამინდელი არჩევანი. ამჯერად მონაწილე არ გვეყოლება 81 და 100-ში კილოგრამში - პირველში ლიდერთა უმეტესობა ან ტრავმირებულია, ან სათანადოდ არ ვარჯიშობს, მეორეში კი სალიცენზიო ქულების მარაგი იძლევა გულდამშვიდების საშუალებას და ამიტომ ასვენებენ. თუმცა **ლომერ ჟორჟოლიანს** (100) ხელიც აწუხებს - წინა კვირას ბაქოს თასზე იტკინა, როცა ფინალში რუსი **აშხაბ კოსტოევი** დაამარცხა. აბუ დაბიში წამსვლელი შემადგენლობიდან პაპინაშვილი და ლიპარტელიანი თავიანთ წონებში სალიცენზიო რეიტინგებში ლიდერთა შორის არიან, ხანჯალიაშვილი და ოქრუაშვილი 22-კაციან სალიცენზიო სიაში შედიან, ტატალაშვილი კი ევროპისთვის განკუთვნილ 10-კაციან კოტაში ხვდება. ეტყობა, ზაიზენბახერის გათვლაც ამაზე კეთდება - შეავსებინოს მათ სალიცენზიო მარაგი და მიაღებინოს სატურნირო პრაქტიკა, თუმცა სადღეისო ვითარებაში არც ისე დიდი არჩევანი აქვს.

ირაკლი თავაძე

ზვიადაური ბრუნდება?

ბოლო დღეებში გავრცელდა ხმა, რომ ძიუდოში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** (90) ვარჯიში განაახლა. თავად სპორტსმენთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, თუმცა ფაქტი საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში დაგვიდასტურეს, ოღონდ ისიც დაამატეს, რომ ამით ზვიადაური მწვრთნელობას თავს არ ანებებს. როგორც ამბობენ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა განუზრახავს და საამისოდ ემზადება.

ირაკლი თავაძე

სამბო

სამბისტებმა მსოფლიო ლიტვაში შეკრიბეს

დღეს რიგაში ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის მსოფლიოს პირველობა იწყება. ვაჟთა შორის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში **ლევან ბერძენიშვილი** (48), **გივი ნადარეიშვილი** (52), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **თორნიკე თათარაშვილი** (62), **ზვიად კაპანაძე** (68), **გიორგი პაპუნაშვილი** (74), **ლაშა ზურაბიანი** (82), **გიორგი ნოზაძე** (90), **მიხეილ ნარიმანიძე** (100) და **სლავა რეზესიძე** (+100) იჭიდავებენ, ჭაბუკებში - **ლერი ბედინაძე** (48), **აბესალომ ვაშაყმაძე** (52), **თორნიკე მუზაშვილი** (56), **ოთარ გაბუნია** (60), **ბექა ტულუში** (65), **მიხეილ მეზურნიშვილი** (70), **გიორგი ბიწაძე** (75), **რევაზ წულუკიძე** (81), **ალექსანდრე მილდიანი** (87), **გაგა ჯიხვაძე** (+87). ერთი მონაწილე გოგოების ტურნირშიც გვეყოლება - ახალგაზრდებში **შორენა შარაძე** (64) იასპარეზებს.

შეჯიბრება დღეს იქაური დროით 10 საათზე დაიწყება და ახალგაზრდა ბიჭებში 48, 62 და 82, ჭაბუკებიდან კი 48, 60, 75-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ზეგ ჭაბუკებიდან 52, 65, 81, +87, ახალგაზრდებიდან კი 52, 68, 90 და +100 კილოგრამების ჯერია. ზეგვე იჭიდავებს შარაძეც, ჩემპიონატი კი 16 ოქტომბერს დასრულდება დანარჩენი წონების სამბისტთა შეხვედრებით.

ირაკლი თავაძე

რეგიონი

გორელებისთვის სიამაყის საფუძველი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოიეში ამ სასწავლებლის სპორტული მიღწევებისადმი მიძღვნილი ღია მუზეუმი მოეწყო. იდეა უნივერსიტეტის რექტორს **გიორგი სოსიაშვილს** ეკუთვნის. „გორის უნივერსიტეტს სპორტული თვალსაზრისით უზარმაზარი ტრადიცია გააჩნია. სნორედ ამან და, ახალმა წარმატებებმა გვიბიძგა ჩვენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობაში ეს მცირე მუზეუმი მოგვეწყო, რომელშიც გამოფენილია სასწავლებლის სტუდენტ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული თასები, პრიზები და სამახსოვრო ჯილდოები. „დიდი მადლობა უნივერსიტეტისთვის გაწეული ფასდაუდებელი სამსახურის გამო ბატონ გურამ პაპიტაშვილს, სოსო ვაშაკიძეს, ალექსანდრე იაშვილს, აწ განსვენებულ გივი ხაჩიძეს. ამ ადამიანებისა და მათი შეგირდების ნაღვაწმა ჩვენ სიამაყის საფუძველი მოგვცა“, - თქვა რექტორმა.

გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე ისეთი მედლები და ჯილდოები აქვთ მოპოვებული, რომლებსაც ქვეყნებიც ინატრებდნენ. „აქ არაერთი ჯილდოა გამოფენილი, რომლებიც ჩვენი სპორტსმენების დიდ წარმატებებს გვახსენებს. განსაკუთრებით ხარკოვში 1960 წელს მოპოვებული საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონობა მახსენდება. უნივერსიადაში 742 სხვა სასწავლებელთან ერთად გორის ინსტიტუტიც ჩაერთო. მაშინ ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, მაგრამ ჯერ საქართველოს 12 უმაღლეს სასწავლებელს შორის მოვიპოვეთ პირველობა. ფინალურ ეტაპზე კი ხარკოვში, 17 რჩეული სასწავლებელი იბრძოდა პირველობისათვის. გუნდს რომ დასჭირდა, მწვრთნელიც მოჭიდავე გავხდი. შედეგი ყველასთვის გამაოგნებელი იყო - გორის ინსტიტუტი საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა. არადა, ასპარეზობის დაწყებამდე, გუნდების წარდგენისას ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. საზეიმო გახნაზეც ნაკლებად გამოსაჩენ ადგილზე დაგვაყენეს. დღეს კი იმ დარბაზის ნახევარს ალბათ ჩვენი მონაგარი პრიზებით ავავსებდით. ბედნიერი ვარ, რომ ამდენს მივაღწიეთ. ცხადია, არც ამაზე ვაპირებთ გაჩერებას“, - გვითხრა ბატონმა გურამ პაპიტაშვილმა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

სახელოვან მწვრთნელთა სახელობისა

ქართულ წყალბურთს მრავალი კორიფე ალუზრდია. და ეს არ იყო შემთხვევითი - მათ ხომ ღირსეული დამკვალიანებლები ჰყავდათ. უპირველესად **ვლადიმერ ბარნაბიშვილი** გვინდა გამოვყოთ, მთელ ქალაქში პოპულარული პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს წვრთნიდა. „ძია ვოვას" აღზრდილთა შორის არიან სახელოვანი ათლეტები - **ვლადიმერ ისელიძე** და **ნოდარ კურტანიძე**.

ქართული წყალბურთის ნარმატებები დიდად არის დაკავშირებული **როსტომ ჩაჩავას** სახელთან. სწორედ ამ დიდბუნებოვანი ადამიანისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, თბილისის „დინამომ" საკავშირო ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა, ჭაბუკთა ნაკრებმა კი ორჯერ მოსნავლეთა საკავშირო სპარტაკიადებში ოქროს მედლები მოიხვეჭა. როსტომ ჩაჩავას შეგირდები - **გივი ჩიქვანაია** და **ლერი გოგოლაძე** წლების განმავლობაში გამოდიოდნენ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში და 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში მეორე ადგილზე გავიდნენ.

სახელოვანი მწვრთნელების ღვაწლს საქართველოში არ ივიწყებენ. წყალბურთის ცნობილი სპეციალისტების - **ზურაბ ჩაჩავას** და **ვლადიმერ გოიაშვილის** ინიციატივით 2009 წელს „ლაგუნა ვერეში" პირველად გაიმართა ვლადიმერ ბარნაბიშვილისა და როსტომ ჩაჩავას ხსოვნის ტურნირი მინიწყალბურთში. წლეულს მსგავსი ღონისძიება მესამედ გაიმართება, რომელსაც მეცენატობას უწევს ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ყოფილი წყალბურთელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ვახტანგ მებუკე,** ასპარეზობის ორგანიზატორებს მან ამჟამადაც ოკეანის გაღმიდან გამოუგზავნა ტურნირის მთავარი პრიზი და ასლები.

შეჯიბრებაში, რომელსაც ისევ „ლაგუნა ვერე" უმასპინძლებს, დღეიდან 1995-1996 და 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა 7-7 გუნდი ჩაებმება.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

მაკა ჩახნაშვილი

ჩახნაშვილი და მიქაძე დარჩნენ

ესპანეთის ქალაქ სანტ კუგატში (25 ათასი დოლარი) 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (183) პირველ ნომრად არის განთესილი. ჩვენებურმა მერვედფინალში, როგორც ფავორიტს შეეფერება, იოლად იმარჯვა, სლოვაკი **რომანა ტაბაკი** (464) 6:4, 6:2 დაამარცხა. წყვილთა ბადეს კი მაკა უკვე დაემშვიდობა.

9, 3 და 1 - ასეთია ერევნის ტურნირზე (10 ათასი დოლარი) ქართველ ჩოგბურთელთა რაოდენობის დინამიკა რაუნდების მიხედვით: ცხრამ დაიწყო, მერვედფინალში სამი გავიდა და ახლა, მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი ითამაშებს. არ არის გასაკვირი ისიც, რომ მხოლოდ მე-4 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** იყოჩაღა, მან ჩეხი **კაროლინა ცეხოვა** დაამარცხა - 6:2, 7:5. **თეონა ტატიშვილმა** მხოლოდ ერთი გეიმი მოუგო პირველ ნომრად განთესილ იტალიელ **ანასტასია გრიმალსკას** (330) - 0:6, 1:6. მეტი ვერც 15 წლის **ანი გოგვაძემ** შეძლო მე-8 ნომრად განთესილ სლოვაკ **ანა შმიედლოვასთან** (748) მატჩში - 0:6, 1:6. თათიას მომდევნო მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი მასპინძელი **ანი ამირაღიანია** (667). წყვილთა ბადეში მიქაძე და ამირაღიანი ერთად თამაშობენ და ნახევარფინალში არიან გასული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● შეხვედრა წარსულთან

კრივი თბილისში

გაგრძელება.
დასაწყისი „ლელო" N240

„კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი მხარე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია, ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფეში - ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებებს, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისათვის".*

კრივს ძლიერ ლატაკი ლიტერატურა აქვს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ დავით იოსების ძე ბებუთოვის მემუარებს („Военный сборник", 1867 წ., №№ 6-7). ეს ერთადერთი ბეჭდვითი მასალაა, რომელსაც სხვა-და-სხვა ვარიაციით იმეორებენ დუბროვინი („Тифлисский листок", 1899 წ. №165, სურათებიანი დამატება №8), პოტტო („История воины и владычества русских на кавказе", ტ. I, წიგ. I), ვეიდენბაუმი („Кавказский Календарь", 1855 წ.) და სხვ.

აი, ამ ბებუთოვს აწერილი აქვს სალდასტის კრივი, რომელშიაც თვითონაც მიუღია მონაწილეობა. მკითხველმა რომ წარმოდგენა იქონიოს ამ დაუნდობელ ძველებურ კრივზე, მოგვყავს ეს აღნერილობა ოდნავი კუპიურებით:

„ბრძოლა დავიწყეთ ჩვენ, - ამბობს ბებუთოვი, - ქვემო უბნის ბავშვებმა. მე გადავხტი წინ და სხვებთან ერთად დავინყე შურდულით ქვების სროლა. ქამარზედ მეკიდა ხის ხმალი და მარცხენა მხარეზედ საფრად ნაბადი მქონდა. ახლო რომ მივედით, მოწინააღმდეგენი ხმალში იწვევდნენ ერთმანეთს, ერთი გამბედავი ყმაწვილი დახტოდა ჩემს წინ და თავს იფარავდა ჩემი შურდულისაგან. უეცრათ მოვარდა ჩემთან. ჩვენ შევეტაკენით და დავუწყეთ ერთმანეთს ხმლებით ცემა. ჩემი მოქიშპე დავჭერი, მაგრამ მეც გამიპო იმან წარბი... დიდებს შორის ქვის სროლა და ხელჩართული გრძელდებოდა... მე დავრჩი როგორც მაყურებელი. დაძლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა. ჩვენებმა ჩუმად შუაღამისას გაგზავნეს ერთი რაზმი ზემო მხარით გარს შემოსავლელად, თითქმის ექვს ვერსამდე. ამ რაზმს ჰქონდა ნაბრძანები, გასულიყო ორშაბათს და ასე თორმეტ საათზე გადმოშვებოდა სოლოლაკის მთას და მოსწოლოდა მტერს. ამასთანავე მთაზე, ოქროყანიდან დაწყებული, ამ რაზმს უნდა დაეყენებინა საუკეთესო მეშურდულენი, რომ მტრისთვის ზურგში დაეწყოთ სროლა... ორივე მხრიდან გამოვიდნენ მეშურდულენი ათასობით და სეტყვასავით მიაყარეს ქვები ერთმანეთს... ყველგან გაცხარებული შეტაკება იყო. მომხდურებს როცა წააქცევდნენ, სცდილობდნენ მთიდან გადმოგდებას, მაგრამ ამხანაგები შეეშველებოდნენ და ომი ისევ გათანასწორდებოდა. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვემო უბნელებმა მოახერხეს მაინც ნახევარი მთის დაკავება და ნაბდებით თავს იფარავდნენ შურდულის ქვებისაგან, რომელიც ზუზუნით მოდიოდა... უეცრად მოისმა საშინელი ყვირილი. განთქმულ მებრძოლთა სახელი ელვასავით მოეფინა მთელ ხალხს და მეგობრებს რაღაც ელექტრონისებურმა ნაპერწკალმა გაურბინა ძარღვებში. ზურნისა და საყვირების გამაყრუებელი ღრიალი მოეფინა არემარეს. ომი ცეცხლივით აენთო. ეხლა იბრძოდნენ ხის ხმლებით, ქვებს აღარ ხმარობდნენ - კრივის წესით, ხმალ-დახმალ შეტაკებაში ქვის სროლა მხდალობად ითვლებოდა. ზემო უბნელები შესუსტდნენ და უკუ იქცნენ. ქვემო უბნელებმა დაიჭირეს მთა და მტერი გაიქცა სოლოლაკის ხეობისკენ" („Кавказский сборник"и1902 წ., ტ. XXII).

ხშირად ეს ფიზიკური ვარჯიშობა, ავქსენტი ცაგარლის თქმით, ეს „მუშტის ქუხილი", თავდებოდა ფიზიკური დასახიჩრებითაც. „კრივის მეორე დღეს ბლომათ იყვნენ ხოლმე თავგახეთქილები, თვალწავარდნილები და ცხვირპირდამტვრეულები" („Кавказ", 1846 წ., №1).

თუმცა შურდულები პატარა ზომისა იყო და ხმლებიც - ხისა, მაგრამ მაინც საშინელი და დაუზოგავი ხდებოდა ეს „უმუშტო კრივი"... მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ „ცხვირ-პირის დამტვრევას" სულაც არ მოსდევდა ბოროტი გრძნობები და ხშირად ასე ფიზიკურად დასახიჩრებულნი, ნიშნად შერიგებისა, სალხინო ადგილებში მიდიოდნენ და ერთად დროს ატარებდნენ.

„კრივი" როგორც ფიზიკური ვარჯიშობა, თავისი ხასიათით და დანიშნულებით არაფრით განსხვავდებოდა ასეთივე ხასიათის ვარჯიშობისაგან, რომელიც სხვა ერის ყოფა-ცხოვრებამ წარმოშვა (ბოქსი, ჭიდაობა და სხვ.). საერთო მიზეზები იწვევეს საერთო ხასიათის ვარჯიშობასაც: ერთფეროვანი ფიზიკური შრომით დაღლილი სხეული, მოდუნებული მოძრაობა სისხლისა გახალისებას მოითხოვდა და ტფილისელმა ხელოსნებმაც თავიანთი „ტივის სისხო მკლავების" გასატკაცუნებლად კრივს მიმართეს, ისევე როგორც ინგლისელებმა - ბოქსს.

სალდასტის კრივი მთავარმართებელ ბარიათინსკის დროს სამუდამოდ აიკრძალა. დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტის კრივი, რომელმაც სამოცდაათიან წლებამდე გასტანა. ამ გვიანობამდე დარჩენილ მუშტის კრივს, რომელიც ქალაქგარეთ იმართებოდა პოლიციის ზედამხედველობით, თავისი წესები ჰქონდა გამომუშავებული. ხშირად ზოგიერთ მოკრივეს საშინელი, მაგარი ცაცია ჰქონდა, ვისაც შემოჰკრავდა - მორჩა, ცოცხალი ველარ ადგებოდა. აი, ამისთანა მოკრივეს სიტყვა ჰქონდა მიცემული, ან როგორც ამბობენ, „ხელი ჰქონდა მოწერილი", რომ იგი აღარ იკრივებდა... მაგრამ, როგორც

ყოველგვარ დადგენილებას, რასაკვირველია, ამასაც გვერდს უხვევდნენ, „ხელის მონერა" ხელის მონერად რჩებოდა და ამ მუშტის კრივსაც მოჰყვებოდა ხოლმე თავისი მსხვერპლი, თუმცა არა იმდენი, რამდენიც სალდასტის კრივს.

კრნანისის სასაფლაოზე, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთი საფლავი ვნახე. როგორც საფლავის ქვის წარწერიდან სჩანს, განსვენებული სალდასტის კრივის მსხვერპლი გამხდარა: აი, ეს ეპიტაფიაც:

„გულში ქვა მომხვდა, მეცა ზარები,
თავს დამეხვივნენ ტოლნი-ჯარები;
ჩამომატარეს ციხის კარები,
საწყალ დედაჩემს შერჩეს გონება,
ყველამ მაღირსეთ თითო ცხონება".**

ავტორის შენიშვნები

*„ივერია", 1885 წ., №81. კრივის შესახებ ცნობების მოსაწოდებლად მივმართეთ ჩვენს უხუცესს მოღვაწეს ნიკო ავალიშვილს, რომელმაც არ დაიზარა და მოგვაწოდა „თავის თვალით ნახული" კრივის ზოგიერთი ამბავი. ჩვენი ცნობების დასამტკიცებლად და შესავსებად მოგვყავს შემოკლებით ეს წერილი:

„...კრივზედ ცნობის მოსაცემად საჭიროა მოგახსენოთ, რომ მე ჩემი უფროსი და ერთად ერთი ძმის ოჯახში ვიზრდებოდი. მამა ხუთი წლისას მომიკვდა. ჩემი ძმის მეგობარ-ამხანაგებში ერთი, სახელდობრ, გიორგი ნადირაძე, დიდი მამობრივი ყურადღებით მეპყრობოდა: საცა კი რამ ამბავი ხდებოდა საჯაროდ, უეჭველად მეც მაჩვენებდა. კრივის ნახვა მეტად უყვარდა, მუდამ მიდიოდა და მეც თერთმეტ-თორმეტი წლიდან უეჭველად თან წამიყვანდა ხოლმე. მაშინ (1885 წ. და შემდეგ) კრივი იმართებოდა კვირა დღეობით, შუადღის შემდეგ ორი-სამი საათიდან, კვირაცხოვლის არეში, უხლა რომ არსენალის დიდი შენობებია, იმ მეიდანზედ. ის ადგილი, თუმცა მცირედად დაბალ-მაღალი ვაკე იყო და ნაპირზედ ხვეებიც ჰქონდა, მაგიერად რბილი და თითქმის უქვო ადგილი იყო. მოკრივენი „ზემო" და „ქვემო" უბნად იყოფოდნენ. ამ ორი უბნის შუა ხაზი ხარფუხ-ავლაბარ-კლდისუბან-ჩუღურეთსა და გარეთუბან-კუკია-ვერა და დიდუბის შუა იყო...

კრივი იწყებოდა მოზარდი ყმაწვილკაცებით და იგინი რომ გახურებაში შევიდოდნენ, ხან ერთი და ხან მეორე უკან დაინევდა, მაშინ დაჯაბნილს და დაწეულს მისი უბნის დიდრონები ჩაეშველებოდნენ; ეხლა ისინი დასნევდნენ უკან მოპირდაპირე უბანს და მათაც დიდრონები იჭერდნენ და მაშინ მოზარდი ახალგაზრდობა დაქანცული და დაბეგვილი სტოვებდა ასპარეზს...

სახელგანთქმული მოკრივენი ორივე უბანს რამდენიმე ჰყვანდა; იგინი მარქაფა რაზმს შეადგენდნენ და მარტო

გაჭირების დროს ჩაერეოდნენ ხოლმე კრივში. ამ მარქაფა მოკრივეთა სახელი მარტო სამისა მახსოვს: ლოპიანა, გიჟუა და ღორ-კოლა. მათში ყველაზე განთქმული ლოპიანა იყო, ის რომ ჩაერეოდა კრივში, მოპირდაპირეს ისე აწვებოდა, როგორც ძლიერი რამ მანქანა და ბევრჯელ ყოფილა, რომ ხევში ჩაურეკნია მონინააღმდეგე უბანი.

მოკრივეთ შიგადაშიგ დასვენებაც იცოდნენ. დაწყებამდის და დასვენების დროს ორივე უბნის მოკრივენი თავიანთ ბელადებს გარს ეხვევოდნენ...

კრივი დაბინდებაზედ ადრე იშლებოდა, ესე ვსთქვათ, „გენერალური ბრძოლის" შემდეგ, როდესაც ორივე მხრის მარქაფაც მთლად ჩაერეოდა საქმეში და ლოპიანასი და მისი ამხანაგების მეოხებით ზემო უბანი დიდად გაიმარჯვებდა - ან ხევში ჩაჰრეკავდა, ან უმისოდაც დაჰქსაქსავდა, დაირეკავდა ქვემო უბანს. არ მახსოვს, რომ ქვემო უბნის გამარჯვება ვისმე როდისმე ეთქვას.

კრივის ცქერა მეტად უყვარდა ხალხს, ამიტომ დიდძალი მაცქერალი ცხენიანი და თუ ქვევითი ესხრებოდა კრივზედ, ჰლამის ნახევარ ქალაქი"...

**ყოველ ათეულ წლებს თავისი ცნობილი მოკრივე ჰყავდა. მეთვრამეტე საუკუნის ფალავან-მოკრივეთა სახელები ჩვენამდე არ მოსულა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი ტფილისში ცნობილნი იყვნენ შემდეგი მოკრივენი: შერმაზანა, საათო (მთავარმართებლის პ. ციციანოვის ფალავანი), ხარფუხელი მკალავი ლეკუა, ოქრომჭედელი თაფანა, ბებუთაანთ გიგა (ლობჟანიძე), ყასაბი გულუაშვილი, ცხრაფეხაანთ გოლა, გამხდარი სიმონა (გოცირიძე), ლეჰენძაანთ ავეტიქა (ლენჩიშვილი), ბაბამ სირქია, ჭონი კვინიხა (არჩილ მუხრანბატონის ფალავანი), მჭედელი სია, ჩუღურეთელი თეთრ-ახალუხა, წითელ-ფუფაიკა კოლა, მეჩანგლე ლოპიანა (გრ. ორბელიანის ფალავანი), თოქმაჩი გულაზა, მთანმინდელი კომშუა, ჭიანუა, პაჭუა, ღორუა, გიჟუა, (დათო მელიქსედეს-ძე ბებუთოვის ფალავანი), ყასაბი ჟირინაშვილი, ნიკოლა ცაცანაშვილი, გიჟ-მიხაკა, ბოშ-ოჰანეზა, მიკიტანი გრიშა (მამულოვი), დაბაღი ლოხოშა, დაბაღი პეტუა, დაბაღი ბეჯინშა, ბაყალი გომფუა, განჯელი ალია, ფარქასტუ კოლა, ასასი ბუჟუჟა, კუკიელი ვირიცოხნაშვილი, ქარაფ-ქანდოლა, დნგრ სოლომანაშვილი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ტრანსფერები

გოფრი მოფრინავს

გოფრი მაკემონი
აშშ
დაიბადა: 14.04.1989
სიმაღლე: 197 სმ.
ამპლუა: მსროლელი/მს. ფორვარდი

კარიერა
2006-07 კონანტი (NJCAA)
2007-11 ლოიოლა (NCAA)
2011-12 შსს

შსს-ს ახალ სეზონში მეორე ამერიკელიც დაეხმარება, - გვითხრა გუნდის ხელმძღვანელმა **ლევან მიქაბერიძემ**. **რობო კრეპსმა** დუდუ დადიანის მემორიალზე კარგი შთაბეჭდილება რომ დატოვა, უკვე გითხარით. მას შსს-ში თანამემამულე **გოფრი მაკემონი** შეუნწყვილდება, რომელთანაც ქართული კლუბის ხელმძღვანელობამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გოფრი ფლანგის კალათბურთელია, შეუძლია როგორც მსროლელად, ასევე მსუბუქ ფორვარდად თამაში. მისი სიმაღლე 197 სმ-ია და ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩევა. მაკემონი 2007 წლიდან 2011-მდე ამერიკის კოლეჯების ლიგაში „ლოიოლას" შემადგენლობაში ასპარეზობდა. პირველ სეზონში არცთუ ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა, შემდეგ საგრძნობლად მოუმატა და ამერიკაში ჩატარებულ ბოლო სეზონში „ლოიოლას" ბომბარდირი გახდა. 2010-11 წლებში მისი საშუალო მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 31.1 წუთში 14.4 ქულა, 3.0 მოხსნა, 1.0 პასი, 0.9 ჩაჭრა. გოფრი სამქულიანებს 41.7-პროცენტიანი სიზუსტით ისროდა, რაც კარგი მაჩვენებელია.

მაკემონი ამჟამად ამერიკაშია, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურს გამოტოვებს, თბილისში 20 ოქტომბერს ჩამოვა და მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** მეორე ტურში მისი საქმეში ხილვის საშუალებაც მიეცემა.

ლევან მიქაბერიძემ ასევე დასძინა, რომ შსს-ს სატრანსფერო აქტიურობა ამით არ დასრულებულა.

ილიჩი ქართული მედიცინის სამსახურში

სხვა ქართულ გუნდებს არც „სამედიცინო" ჩამორჩა და სუპერლიგის დაწყების წინ განაცხადი ლეგიონერით შეავსო. გასულ კვირას შემოგთავაზეთ ინტერვიუ „მედიკოსთა" მთავარ მწვრთნელ **ნუგზარ კანდელაკთან**, რომელმაც შემადგენლობაზე საუბრისას თქვა - წინა ხაზში გაძლიერება გვჭირდებაო. ჰოდა, კონტრაქტი სწორედ ტანმაღალ კალათბურთელთან გაფორმდა - 207 სმ სიმაღლის **ნემანია ილიჩთან**, რომელიც სერბია და გასულ სეზონში რუსული რიაზანის ღირსებას იცავდა.

მწვრთნელს ეიმედება, რომ ნემანია სათანადოდ მოერგება გუნდის სქემებს. იყო საუბარი "სამედიცინოში" **ჯეფ როჯერსის** დაბრუნების შესახებ, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

ცენტრად მილუტინოვიჩი



ილია მილუტინოვიჩი
სერბეთი
დაიბადა: 07.02.1988
სიმაღლე: 213 სმ.
ამპლუა: ცენტრი

კარიერა
2003-06 ჰემოფარმი (იუნიორები, სერბეთი)
2006-07 ორეგონი (NCAA)
2008-11 ოკლენდი (NCAA)
2011-12 ოლიმპი (საქართველო)

გუშინ გაცნობეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტ „ოლიმპში" ორი უკანახაზელი ჩაირიცხა - **ლაშა გამყრელიძე** და ხორვატი **ნიკიჩა სლიუკა**. მას მერე კლუბის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი ტრანსფერი განახორციელა, კონტრაქტი გააფორმა სერბ მეფარე **ილია მილუტინოვიჩთან.**

იგი 213 სმ სიმაღლის ცენტრია, თამაში მშობლიურ „ჰემოფარმში" დაიწყო, თუმცა კარიერის გაგრძელება ოკეანის გაღმა დაგაწყვიტა და ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ამერიკის კოლეჯების ლიგის წარმომადგენელი „ოკლენდის" ღირსებას იცავდა.

ილია მილუტინოვიჩი საქართველოში გუშინ გვიან ღამით ჩამოვიდა. როგორც „ოლიმპის" თავკაცმა, **გია კაზანჯიანმა** გვითხრა, მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ერთი უცხოელის ჩამოსაყვანად. თუმცა საქმე კონტრაქტამდე ჯერ არ მისულა, ამიტომ „ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურს ორი ლეგიონერით შეხვდება - ნიკიჩა სლიუკათი და ილია მილუტინოვიჩით. სუპერლიგის პირველ დღეს გია კაზანჯიანის გუნდი სპორტის სასახლეში თსუ-ს დაუპირისპირდება. მატჩი 18 საათზე დაიწყება.

ბოლოს გეტყვით, რომ „ოლიმპი" ჩამოაყალიბა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა ოლიმპიური მზადების ცენტრმა.

ალექსანდრე კილაძისა და ვალერი ალთაბაევის მემორიალი

ანკარა, ბათუმი, ქუთაისი

ბათუმში დასრულდა წარსულში ცნობილი კალათბურთელების ალექსანდრე კილაძისა და ვალერი ალთაბაევის სახელობის 18-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ქვეყნის ხუთი გუნდი მონაწილეობდა. საქართველო წარმოადგინეს „ქუთაისმა" და „ბათუმმა", ხოლო აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის გუნდები ამ ქვეყნების დედაქალაქებიდან იყვნენ.

შეჯიბრების გამარჯვებული წრიული სისტემით გამოვლინდა - მატჩები სამ დღეზე განაწილდა და გუნდებს დღეში ორი შეხვედრის ჩატარება უწევდათ.

გადამწყვეტი გამოდგა ბოლო ტურის დაპირისპირება „ბათუმსა" და „ანკარას" შორის - მანამდე ორივე გუნდი კარგად ასპარეზობდა და ჩემპიონიც მათ შორის გამარჯვებული გახდებოდა. მრგვალი ანგარიშით თურქებმა გაიმარჯვეს (90:60) და ტურნირი პირველ ადგილზე დაასრულეს.

მეორე იყო „ბათუმი", მესამე - „ქუთაისი", მეოთხე - „ბაქო", მეხუთე - „ერევანი".

როგორც აჭარის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელმა **ბადრი შამილაძემ** გვითხრა, შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და დიდი ინტერესიც გამოიწვია:

- გამორჩეული იყო თურქეთის გუნდი, რომელთან თამაშითაც ქართველმა ჭაბუკებმა სათანადო გამოცდილება მიიღეს. მემორიალზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს რუმინელებმაც, მაგრამ ბოლო მომენტში მოგვიბოდიშეს და ჩამოსვლაზე უარი გვითხრეს. ეს ტურნირი ტრადიციულია და მომავალ წელს, სავარაუდოდ, რუმინეთი და ბულგარეთიც ითამაშებენ.

პრესკონფერენცია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

თერთმეტი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც მთლიანად კალათბურთს მიეძღვნა. შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი**, სუპერლიგის პრეზიდენტი **გიორგი ზაბახიძე** და „საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირის" პრეზიდენტი **როლანდ ხომერიკი.**

სუპერლიგა სტარტს 15 ოქტომბერს აიღებს. მასში შარშანდელის მსგავსად 11 გუნდი ითამაშებს: თსუ, სტუ, „არმია", „სოხუმი", „დინამო", „ოლიმპი", შსს, „სამედიცინო", „ბათუმი", „რუსთავი" და „ქუთაისი". რეგულარული ჩემპიონატი ორ წრედ გაიმართება, რის შემდეგაც 8 საუკეთესო გუნდი საჩემპიონო ბრძოლას პლეი ოფში გააგრძელებს. მეოთხედფინალები ორ მოგებამდე იქნება, ხოლო ნახევარფინალებსა და ფინალში გამარჯვებული სამი მოგებით გამოვლინდება. მესამე ადგილისთვის დაპირისპირება ერთმატჩიანი იქნება. ასევე გათამაშდება V-VIII ადგილები.

სუპერლიგის მატჩები სპორტის სასახლეში გაიმართება, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის გუნდები კი საშინაო თამაშებს საკუთარ ქალაქებში ჩაატარებენ. სპორტის სასახლეში მატჩებზე დასწრება სიმბოლური ფასი - 1 ლარი ეღირება, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა „საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდში" ჩაირიცხება.

გადაწყდა, რომ მუშაობას დაიწყებს „საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი".

გიორგი ზაბახიძე:

- დიდი მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რომელიც აქამდეც აქტიურად გვეხმარებოდა და კიდევ უფრო მეტად დაგვიჭერს მხარს. სუპერლიგის პარალელურად მუშაობას დაიწყებს „საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი", რომელსაც როლანდ ხომერიკი უხელმძღვანელებს. ამ ორგანიზაციის მიზანი იქნება მსაჯებისა და მდივნების ახალი კადრების მოძიება, მათ მიერ გაწეული საქმიანობის მონიტორინგი და ფიბა-ევროპის შესაბამისი ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, რომელსაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები და კომისრები გაუძღვებიან. სუპერლიგის ყოველი ტურის შემდეგ მსაჯთა კავშირი მოაწყობს არბიტრების საქმიანობის განხილვას. ვიმედოვნებთ, კავშირის მიერ გაწეული სამუშაო მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქართველი მსაჯების საქმიანობის ხარისხს და აამაღლებს მათ პროფესიონალიზმს.

ირაკლი სამყურაშვილი:

- კალათბურთი მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა და დიდი ყურადღებაც ექცევა. „საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი" სერიოზულ მუშაობას გასწევს და მსაჯთა კორპუსის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ კონტროლზე იზრუნებს. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული უწყების - საჯარო სამართლი იურიდული პირის - გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრის ინიციატივით ახალი საკალათბურთო გუნდი „ოლიმპი" დაარსდა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ჩემპიონატის განვითარებას.

როლანდ ხომერიკი:

- ამჟამად, საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს 10 არბიტრი და 40-მდე მსაჯ-მდივანი ემსახურება. 10 არბიტრი ძალიან ცოტაა, ამიტომ ვიწყებთ ახალი კადრების შერჩევას. ვითანამშრომლებთ მწვრთნელებთან, მათ შეუძლიათ ნაკლებად პერსპექტიული კალათბურთელები ჩვენთან გამოგზავნონ და მსაჯის პროფესიის დაუფლება ურჩიონ. ძირითადად სწორედ კალათბურთელების ირგვლივ ვიმუშავებთ. გვაქვს ვიდეო მასალა, რომელსაც გამოვიყენებთ. გარდა ამისა, ფიბა-ს სტანდარტებით წელიწადში ორჯერ ფიზიკური მომზადების ტესტს ჩავატარებთ, რათა თამაშებს ყოველმხრივ მომზადებულები შეხვდნენ.

ქართველი ბალგიაში

მეორე მოგება შენგელიათი

თორნიკე შენგელიას „შარლერუამ" ბელგიის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში „ანტვერპენს" უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრის სადავეებს ევროლიგის წარმომადგენელი შარლერუელები ფლობდნენ, მაგრამ სტუმრები „ფარ-ხმალს" ბოლომდე არ ჰყრიდნენ და მესამე პერიოდი სულაც 15:10 მოიგეს. ასეა თუ ისე, თორნიკეს გუნდმა გეგმიური გამარჯვება ჩაიწერა - 72:65 და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში.

20 წლის ქართველი თავდამსხმელი ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო, 23 წუთი ითამაშა და თანაგუნდელთა გამარჯვებაში 10-ქულიანი წვლილი შეიტანა. მან 6-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმოები კი გაცილებით ზუსტად ისროლა - 8-დან 6. 10 ქულის გარდა თორნიკეს ანგარიშზე 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა.

მატჩის ბომბარდირი ანტვერპენელი **ტიმოთი ბლექი** გახდა (16 ქულა), ხოლო ვიცე-სნაიპერობა ორმა შარლერუელმა გაიყო: **კრისტოფერ ჰილმა და კალებ გრინმა** 14-14 ქულა მიითვალეს.

„შარლერუა" მორიგ შეხვედრას 15 ოქტომბერს ჩაატარებს - „მონსს" ესტუმრება.



გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი კალათბურთელი ნოდარ ქორქია

სადაა ბურთი?

ვინც კალათბურთში „გვარიანად ჩახედულია“ უნდა იცოდეს, რომ ყველა გუნდს თავისი „ძირფესვეული“ საიდუმლო აქვს. ეს გამოიხატება ბურთის ტარებაში, პასის მიწოდებაში, თუ სროლის კლასში. რა თქმა უნდა, პატარ-პატარა საიდუმლო მულამები ჩვენც გვქონდა. ასეთს ვერავინ გასწავლის. თვითონ უნდა აღმოაჩინო.

ჩვენი „სეკრეტები“ ჩვენც გვქონდა. უკვე საკმაო დროა მის შემდეგ გასული და არა მგონია ვინმემ „მოგვპაროს“ და მიითვისოს. მოკლედ, იმ შემთხვევაზე გიამბობთ, რაც მართლაც კურიოზულად შეიძლება ჩაითვალოს და არა მხოლოდ ერთი. მივყვეთ თანმიმდევრობით.

შემთხვევა - I

1977 წელი. მადაგასკარის ტურნე.

ახლა არ მახსენდება და ერთ „გოიმ“ გუნდს ვეთამაშებით. აშკარად წინ ვართ

N 10 ნოდარ ქორქია

და ასეთ დროს შაყირის ხასიათზე დგება გუნდი.

ჩავიგდე ბურთი ხელში და უნდა „გავფრინდე“ მოწინააღმდეგის ფარისკენ, მაგრამ რაკი ანგარიში აშკარად ჩვენს სასარგებლოდაა, „ფოკუზი“ განვიზრახე:

დამინახეს თუ არა მოწინააღმდეგეებმა ბურთით ხელში - მყისიერად დაიძაბნენ. ჩვენს კალათბურთელ გულდედავას - მოულოდნელად უკან შემოვუარე და სპეციალურად („ფოკუზისთვის“) დოინჯშემოყრილს, ზურგ უკან - მომზადებულ (წინასწარ ათასჯერ დამუშავებული იყო) იდაყვებში შევატოვე ბურთი და ცარიელი გავვარდი იმათი ფარისკენ.

დამედევნა მთელი გუნდი, არიქა - ვილუპებითო, არიან ერთ ყვირილ-ჟრიამულში - „არ გაუშვათ, დაიჭირეთ“! - მაგრამ ბურთი სადაა? ხელში ბურთი არ მიჭირავს.

- არიქა, მოგვატყუაო - იყვირა რომელიღაც იმათიანმა და გავარდა გულდედავასკენ. სანამ ეს „მოქცევა“ დამთავრდებოდა, მე გულდედავამ პირდაპირ ფარის ქვეშ მომაწოდა და... იმის შემდეგ მე რომ ბურთს მივიღებდი, ყველანი გულდედავას ურტყამდნენ ალყას.

შემთხვევა - II

1981 წელი. კუიბიშევის ნაკრებს ვეთამაშებით. დაძაბული მატჩია და ძალიანაც გაგვიჭირდა. გაჭირვება რა სათქმელია, რომ თამაშობ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო, მაგრამ არის მომენტები - თავდადებაც რომ არ გშველის და ეს ეპიზოდიც ზუსტად მის საილუსტრაციოდ გამახსენდა. კუიბიშევის გუნდში თამაშობდა ძალიან ტანმაღალი კალათბურთელი - სიზენკო. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ყველა ათლეტური აღნაგობის კალათბურთელი, თავისებურად მძიმე და ზანტია. ეს სიზენკოც ზუსტად ასეთი გახლდათ.

ახლა შევეცდები მთელი მაშინდელი სიტუაცია თვალწინ წარმოგიდგინოთ. სანამ მე ამას ავხსნი 5 წუთი გავა, მაგრამ მომენტი მაშინ სადლაც 10-15 წამში მოხდა.

მაშ ასე: შემოგვიტიეს კუიბიშეველმა კალათბურთელებმა და ბურთი - რა თქმა უნდა, ამ ტანმაღალ ათლეტ სიზენკოს გადააწოდეს. დავეხვიეთ და იმდენი ვივაჟკაცეთ, რომ სროლა არ წაუვიდა, ბურთი ჩვენ მოვიგდეთ ხელში და გავფრინდით მთელი შემადგენლობით მეტოქის საჯარიმოსკენ. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი - სიზენკო ზანტი იყო, ერთი ორი ნაბიჯი კი გადმოდგა და რას დაგვეწეოდა! დარჩა ჩვენს საჯარიმოსთან.

ტყორცნა არც ჩვენ გამოგვივიდა და მათ გრძელი პასით ჩვენს კართან ახლოს დარჩენილი ეს „ვერზილა“ მოძებნეს. ისარივით გავვარდი და ამ ვეებერთელამაც შემართა ბურთიანი ხელები. უნდა დავაფარო... უნდა დავაფარო! - გამიელვა გუნებაში და ავიწიე ნახტომით, რაც კი შემეძლო და... - ჩავუქროლე ამ კაცს.

სულ ჰაერში ხომ არ ვიქნებოდი და დავხტი ძირს. რას ხედავს ჩემი თვალები, ამ უზარმაზარ მასას არც კი უგრძვნია, რა თავგამეტებით „დავაფარე“ და გავცდი, „კინ-კონგივით“. გაკვირვებულად დახედა ბურთს (ნამდვილად ბურთია თუ არაო) და ისე რომ ფეხის წვერებზე არ აწეულა (არათუ - ახტა სროლის წინ), მშვიდად „ჩადო“ ბურთი ჩვენს კალათში.

სხვათა შორის, ჩვენ გვყავდა ტანმორჩილი (შედარებით) კალათბურთელები, რომლებიც სროლით გამოირჩეოდნენ. კალათბურთში მიზანი, თვალი და ხელის სიზუსტე უფროა, მაგრამ იმ ამბის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სიმაღლეც აუცილებელი ყოფილა.

შემთხვევა - III

1969 წელი. თბილისში თანამემამულე კლუბს ვეთამაშებით. ჩვენს გუნდში ძალიან იმედისმომცემი კალათბურთელი ნუგზარ ჭეიშვილი თამაშობდა. მაშინ მთელ ქალაქს მისი სახელი და გვარი ეკერა პირზე.

- ჭეიშვილი კალათბურთის ვირტუოზია.

- ნუგზარი ჩვენი სიამაყეა!

- ნუგზარის იმედი გვაქვს, თუ არა...

ხშირად გაისმოდა ქართველ ფანებში ეს ელვასავით დაკლაკნილი და მორბენალი - ფრაზები.

მართლაც ასეთი იყო ჭეიშვილების სიამაყე... ცოდვა გამხელილი სჯობს და მაგარ ფორმაში იყო იმ წელს, რომ არა ერთი ინციდენტი, რომელიც ზემოთ დავიწყე და ქვემოთ მოგახსენებთ:

ის მატჩია და მთელი დარბაზი სკანდირებს:

- ჭეი... ჭეი... მიდიიი.

- ჩაგლიჯე კალათი ნუგზაარ!

და აი, ნუგზარმა მიიღო ბურთი, წამსვე მომძებნა და მომაწოდა, მომაწოდა და წინ გაიჭრა. იმწამსვე დავუბრუნე ბურთი, მაგრამ ნუგზარი მაგარ გარემოცვაში მოხვდა. ტრიალებს ბურთიანად და ტრიალებს, მაგრამ არ აძლევენ გასაქანს. ყველა მხრიდან - საითაც კი შებრუნდა აფარებენ. დაესხა თავბრუ კაცს ამდენ ტრიალში.

- მომაწოდე ბიჭო ბურთი ჩქარა! - ვუყვირე კარგ პოზიციაში მდგომმა. ნუგზარი რისი ნუგზარი იყო მაყურებელი გაეწბილებინა და მისი ყრუ პასუხიც წყალქვეშა გემის განწირული ხმის ანალოგი იყო:

- შენ (ამ შემთხვევაში მე მიგულისხმა) რატომ უნდა მოგაწოდო, რა, მე ვერ ჩავაგდებო? (რა თავმოყვარეა ქართველი კალათბურთელი), ამდენი ტრიალით გაბრუებულმა ტყორცნა როგორც იქნა და... ბურთი ჩვენს კალათში ჩასრიალდა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთ წამში მაყურებლებიდან ვილაცამ იყვირა:

- დაგვღუპე ნუგზააააარ?! - და...

იმის შემდეგ ნუგზარი მორჩილად ანაწილებდა ბურთს თანაგუნდელებზე.

მურმან მერკვილიშვილი

ქვიცვისა და გვარის ამბავი

4 ოქტომბერს სოხუმი-მინსკის მატჩის დასრულების შემდეგ დავით ფაჩულიამ ჩატენვებში წაივარჯიშა. იოლი მისახვედრი არ არის ვისი ვაჟი უნდა იყოს პატარა დავითი...

ლაგუნა ვერე

ეს იყო 33 წლის წინათ

ის ადგილი, სადაც უწინ რესტორანი „არაგვი“ იდგა და დღეს მოცარიელებულია, სპორტის მოყვარულთა თავშესაყარს წარმოადგენდა. თბილისელებს განსაკუთრებით „კუპალნია“ იზიდავდა სხვადასხვა ზომის სამი აუზით. მერე ეს „ოაზისი“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გზის მშენებლობამ შეიწირა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, საწყლოსნო კომპლექსის აგება იქვე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზევე, გადაწყდა. ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა ყოფილ წყალბურთელ ვლადიმერ გოიაშვილს დაევალა, რომელიც მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტში საწყლოსნო სახეობებს კურირებდა. მთელი თბილისი მონაწილეობდა, როგორც მაშინ ამბობდნენ, ამ დამკვრელური ობიექტის კეთილმოწყობაში. საწყლოსნო კომპლექსიც ვადაზე ადრე ჩადგა მწყობრში - „ლაგუნა ვერე“ 1978 წლის 13 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა. მილეთის ხალხმა მოიყარა თავი მის კურთხევაზე, მათ შორის საბჭოთა სპორტის მამები და სახელოვანი სპორტსმენებიც იყვნენ.

- ბედის ირონიით, სწორედ მაშინ გამწვავდა პოლიტიკური ურთიერთობა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, - სამი ათეული წლის წინანდელ ამბავს იხსენებს „ლაგუნა ვერეს“ დირექტორი **ვლადიმერ გოიაშვილი.** - სპარსელებმა გაზის მოწოდება შეუწყვიტეს საბჭოეთს. აუზის ამუშავება ვერ ხერხდებოდა. რაღაც უნდა გვეღონა - რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, „ლაგუნა ვერეზე“ ანსამბლ „ივერიის“ კონცერტები გაგვემართა: მორებისგან შევკარით დიდი ტივი და... ეგზოტიკური საღამოები გამოგვივიდა. უამრავი მაყურებელი მოდიოდა კონცერტებზე, ჩვენი გასაჭირი კი არავის გაუგია. მერე ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ვნებათაღელვა ჩაცხრა და გაზის მოწოდებაც აღდგა, აუზიც ამუშავდა...

მას შემდეგ ზუსტად 33 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „ლაგუნა ვერე“ ასეულათასობით მომხმარებელს მოემსახურა. დღესაც ხალხის სამსახურში დგას.

ვაჟა დანელია

ყველას თავისი აზრი აქვს

წერილი რედაქციას!

პატივცემულო რედაქცია, საქართველოს საჯარო სკოლებში შვიდგაკვეთილიან სწავლებაზე გადასვლამ, რასაც გაკვეთილებს შორის დასვენებების გაზრდაც დაემატა, ძალიან შეაფერხა მოსწავლე სპორტსმენთა დასწრება სასწავლო-საწვრთნელ ვარჯიშებზე დედაქალაქის თუ რეგიონების სპორტულ სექციებში. გაკვეთილები დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე მთავრდება და ბავშვები ვერ ასწრებენ სახლში წასვლას, კვებას და ვარჯიშებზე მისვლას. ზოგიერთი მოზარდი სპორტსმენი ვარჯიშებზე მოდის დაღლილი, ხანდახან უჭმელიც, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე და სასწავლო-საწვრთნო პროცესზე. ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით ვითარება უფრო გართულდება. იქნებ გამოინახოს რაიმე საშუალება, რათა მოხდეს შვიდგაკვეთილიანი სწავლების კორექტირება, იქნებ დაემატებინათ შაბათობით სწავლება ან ხუთი-ექვსი გაკვეთილი იყოს დღეში ან ნაკრების წევრებს დაუწესდეთ შეღავათები.

გურამ ფარულავა

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კროლი; 4. აპია; 8. ამსტერდამი; 9. მაკარიჩევა; 15. აკრობატიკა; 17. კოტე; 18. კარატე; 19. ჩელე; 20. კაური; 21. "ინჯია"; 23. ქიში; 25. ლიდერი; 27. დვირი; 29. ჩევარდოვი; 30. პლატინი; 31. აბაიშვილი.

შვეულად: 2. რუმბა; 3. ლიტვა; 5. პიაფე; 6. ალისა; 7. ირბი; 9. მხატვრული; 10. კურტანიძე; 11. "რიბოკი"; 12. ჩატურანგა; 13. გობეჯიშვილი; 14. "ტერეკი"; 16. კეტჩი; 22. "აბული"; 24. "მილანი"; 25. "ლილი"; 26. "დაჩია"; 28. დოლი.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

მარკუს ბრაუნი

სნაიპერი წავიდა

37 წლის **მარკუს ბრაუნმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ეს კალათბურთელი ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი ლეგიონერია, ვისაც კი ოდესმე ევროპაში უთამაშია. კარიერის განმავლობაში მარკუსსმა 21 ტიტული მოიგო, სამჯერ ითამაშა ევროლიგის "ოთხთა ფინალში" და შვიდჯერ გახდა სხვადასხვა ტურნირის MVP.

უფრო მეტიც, ევროლიგის უახლეს ისტორიაში სწორედ ბრაუნი გახლავთ ტურნირის საუკეთესო სნაიპერი და მის შედეგს რამდენიმე წლის შემდეგ თუ გაუმჯობესებენ. მარკუსს კარიერის საუკეთესო წლები მოსკოვის ცსკა-ში, ესპანეთის "უნიკახასა" და კაუნასის "უალგირისში" აქვს გატარებული. მისი ბოლო კლუბი სწორედ ლიტვური გრანდი გახლდათ.

"მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ყველა გულშემატკივარს, ვის გამოც მთელი ამ წლების განმავლობაში ვთამაშობდი. ასევე მადლობას ვეუბნები "უალგირისსა" და მთლიანად ლიტვას. ეს ძალიან ემოციური მომენტია ჩემთვის", - განაცხადა ბრაუნმა თავის მიმართვაში.

ფორმალურად მარკუს ბრაუნს პენსიაში 17 ოქტომბერს, ევროლიგის ახალი გათამაშების გახსნის მატჩში გაუშვებენ. სიმბოლურია, რომ ამ დღეს კაუნასში ერთმანეთს შეხვდებიან მისი ყოფილი კლუბები - "უალგირისი" და ცსკა.

● ფორმულა 1

ფლავიო ბრიატორე

ბატონი ფეტელს აქებს

ფლავიო ბრიატორეს აზრით, სება ალონსოზე და ჰემილტონზე დაბლა დგას

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით, მორიგი რბოლა კვირას კორეაში გაიმართება და იქ მთავარი ინტრიგა ვიცე-ჩემპიონის მოკრძალებული ტიტულისთვის ბრძოლა იქნება.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილის ერთ-ერთი კანდიდატია **ჯენსონ ბატონი**, რომელმაც წინა კვირას იაპონიის გრან-პრიზე გაიმარჯვა. კორეის ეტაპის წინ ბატონმა მომავალი რბოლის შესახებ კომენტარი გააკეთა, პირველ რიგში კი **სებასტიან ფეტელის** დამსახურებულ გამარჯვებას გაუსვა ხაზი.

„წელს სებასტიანი მართლაც შეუდარებელი იყო. მას შემდეგ, რაც მე და სებას ავარია გვქონდა სპას ტრასაზე, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის შეძლებდა 2010 წლის ჩემპიონატის მოგებას. ჩემი აზრით, იმ დროს ის ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. მიუხედავად ამისა, მაინც გახდა ჩემპიონი. წელს კი ის ბრწყინვალედ გამოვიდა. სინამდვილეში არც ერთი შესამჩნევი შეცდომა არ დაუშვია და ყველა ტრასაზე სუპერსწრაფი იყო. რა თქმა უნდა, ცუდი ტექნიკით ტიტულს ვერ მოიგებ. მის განკარგულებაში საუკეთესო მანქანაა, მაგრამ მან მაქსიმუმი მიიღო, რაც კი ასეთი ავტომობილით არის შესაძლებელი. მისი დამარცხება ძალიან რთულია, მაგრამ მგონია, რომ ჩვენც ძლიერი გუნდი გვყავს და თუ ვინმეს სებასტიანისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, ცალსახად ეს ჩვენ ვართ“, - ამბობს ბატონი.

ჯენსონი ამჟამად მეორე ადგილს იკავებს გენერალურ კლასიფიკაციაში და რვა ქულით უსწრებს უახლოეს კონკურენტს **ფერნანდო ალონსოს**. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი რბოლაა დარჩენილი და სწორედ ამ პილოტებმა უნდა იბრძოლონ ვიცე-ჩემპიონობისთვის.

შარშან კორეის გრან-პრის სწორედ ალონსომ მოიგო, ბატონი კი ქულათა ზონაში ვერ მოხვდა, თუმცა ბრიტანელს სჯერა, რომ ამჯერად გაცილებით უკეთესი უიკ-ენდი ექნება.

■ ■ ■

"რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** მიიჩნევს, რომ ცოტა ხნის წინ მეორედ გაჩემპიონებული ფეტელი არ გახლავთ დღევანდელი ფორმულა 1-ის უძლიერესი პილოტი. იტალიელის აზრით, "რედ ბულის" პილოტმა მორიგ ტრიუმფს, მეტწილად, თავისი ბოლიდის ხარჯზე მიაღწია.

"არ ვკამათობ იმაზე, რომ ფეტელი მართლაც მაღალი დონის პილოტია, მაგრამ მისი გამარჯვებები მეტწილად "რედ ბულის" ფენომენური ბოლიდის წყალობით გახდა შესაძლებელი, - ამბობს "კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრიატორე. - *გერმანელი საუკეთესო არ არის! დარწმუნებული ვარ, ყველა პილოტი ერთნაირ ავტომობილს რომ იყენებდეს, ფეტელი ჩამორჩებოდა ფერნანდო ალონსოსა და ლუის ჰემილტონს. ამასთან, ალონსო გამარჯვებული გახდებოდა. რაც შეეხება კვალიფიკაციას, აქ წლევანდელ ჩემპიონს მართლაც არ ჰყავს ბადალი"*.

ვინ არის დამნაშავე?

13 წლის წინანდელი მოლაპარაკებების გამოცდილებამ შედეგი ვერ გამოიღო - გაუქმდა რეგულარული სეზონის პირველი ორი კვირა. დიდია იმის ალბათობა, რომ მომდევნო კვირის მატჩებიც არ ჩატარდება და არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე. დაპირისპირებული მხარეები გვარწმუნებდნენ, რომ ძალიან უნდოდათ კომპრომისის მიღწევა, ამისთვის გამოსასვლელ დღესაც კი შეხვდნენ ერთმანეთს, გამართეს შვიდსაათიანი მოლაპარაკება და ბოლოს ტრადიციული სიტყვები თქვეს - "შორს ვართ კომპრომისისგან".

მოთამაშეებმა მკაფიოდ მიუთითეს თავიანთ პოზიციებზე - ლიგის შემოსავლების 53 პროცენტი მოითხოვეს. ამ საკითხში ლიგის ხელმძღვანელობის პოზიცია ცოტათი ქაოსური იყო. თავიდან კლუბების მფლობელები მზად იყვნენ მოთამაშეებისთვის 46 პროცენტი მიეცათ, შემდეგ 47-მდე ავიდნენ. ერთ-ერთი დაძაბული მოლაპარაკების დროს, NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** კომპრომისის მისაღწევად 49 პროცენტი დაასახელა შემდგომაში ამ მაჩვენებლის 51 პროცენტამდე გაზრდის პერსპექტივით, მაგრამ მოთამაშეებმა ამაზეც უარი განაცხადეს. არადა, "რეგულარულის" ორი კვირის გაუქმება კალათბურთელებს იმაზე ძვირი დაუჯდებათ, ვიდრე ის თანხა, რომელსაც ისინი დაკარგავდნენ კლუბების მფლობელების ბოლო შეთავაზებაზე დათანხმების შემთხვევაში.

■ ■ ■

საკალათბურთო ფანები ლოკაუტში მთავარ დამნაშავედ კლუბების მფლობელებს მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, ამერიკასა და მთელ მსოფლიოში არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის ფონზე ზოგიერთი კალათბურთელის ხელფასი გამაღიზიანებლად მოსჩანს. მაგრამ **ოტის სმიტისთვის** არავის დაუძალებია - **რაშარდ ლუისს** გიჟური კონტრაქტი შესთავაზეო, რომლის მიხედვითაც ის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდა. სხვათა შორის ლუისმა ამასთან დაკავშირებით უკვე გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ 80-მილიონიანი შეთავაზების შემდეგ არ გამოვიდოდა და არ იტყოდა: *"არა, ბიჭებო, მე ამდენი არ ღირვარ, 60 მილიონი მომეცით"*. რა თქმა უნდა, ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. პრობლემა ის არის, რომ ასეთი კონტრაქტების შეთავაზება შეუძლიათ მხოლოდ მდიდარ კლუბებს, რომლებისთვისაც პრობლემას არ წარმოადგენს სახელფასო ბიუჯეტზე დაწესებული ლიმიტის დარღვევისთვის საჯარიმო თანხების გადახდა.

■ ■ ■

გასაგებია, რომ მფლობელები იძულებულნი არიან წავიდნენ ხელფასის გაზრდაზე, რათა შეინარჩუნონ ვარსკვლავური და პერსპექტიული მოთამაშეები, მაგრამ ბიზნესს გუნდში არა მოთამაშეები, არამედ გენერალური მენეჯერები და კლუბების მფლობელები "აკეთებენ". იმავე ოტის სმიტს, **მარკ ქიუბანს** ("დალასი") და **ჯერი ბასს** ("ლეიკერსი") სერიოზული კონტრაქტები აქვთ ტელევიზიებთან, ამ თანხას არავის უყოფენ და შეუძლიათ გასცდნენ სახელფასო ბიუჯეტს, შემდეგ კი საჯარიმო თანხა გადაიხადონ.

მაგრამ რა შეიცვლება იმით, თუ ეს ლიმიტი გამკაცრდება (რასაც NBA ითხოვს) და ჯერი ბასი მაინც გავა სახელფასო ბიუჯეტის ფარგლებიდან? ფაქტობრივად - არაფერი. "ლეიკერსი" საკუთარი მატჩების ტრანსლირების სანაცვლოდ ისევ მიიღებს მოგებას ადგილობრივი ტელევიზიიდან და ახალი წესის მიხედვით გადაიხდის ზედმეტად დახარჯულ დოლარზე დამატებით ოთხ დოლარს. "პატარა" კლუბები კი ისევ დაითვლიან ნაგებას და შესაბამისად, მკაცრი სახელფასო ლიმიტი სულაც არ მოიტანს ლიგაში კონკურენციის გაზრდას, რისკენაც თითქოს ისწრაფვიან სტერნი და კლუბების მფლობელები.

მათ უბრალოდ არ სურთ საკუთარი თავიდან დაიწყონ ცვლილებები. მოთამაშეებთან თანამშრომლობის სტრუქტურა კი არ უნდა შეცვალონ, არამედ ლიგაში მოგების გადანაწილების წესი. ცნობისთვის, ამ მხრივ ამერიკული ფეხბურთის ლიგაში ყველაფერი დალაგებულია. იქ რეგულარული ჩემპიონატის მატჩები ადგილობრივი ტელეკომპანიების გარდა ეროვნულ არხებზეც გადაიცემა, შესაბამისად, ყველა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბრად იღებს მედიაშემოსავლებს. NBA-ში ასეთი რამ არ არსებობს. სახელმწიფო ტელევიზიით მატჩების მცირე პროცენტი გადაიცემა, ამიტომაც ადგილობრივ ტელეკომპანიებისგან შემოსული ფული ყოფს გუნდებს "მდიდრებად" და "ღარიბებად". ფაქტობრივად, მოთამაშეთა შემოსავლის შემცირებით მფლობელებს სურთ მინიმუმამდე დაიყვანონ თავიანთი დანაკარგი, ხოლო სახელფასო ლიმიტის გამკაცრებით ესწრაფვიან უფრო ნაკლები გადაუხადონ მათ.

■ ■ ■

გვერდიდან შეიძლება ისე მოგეჩვენოთ, რომ მფლობელები მუდმივად სთავაზობენ საპირისპირო მხარეს კრიზისიდან გამოსვლის იდეებს, მოთამაშეები კი ცხვირს იბზუებენ და მუდმივად უარყოფენ შეთავაზებებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ NBA-მ (და არა მოთამაშეებმა) გამოაცხადა ლოკაუტი და გააჩერა თამაში. კალათბურთელები არ ითხოვდნენ მეტ ხელფასს ან მოგების ნილის გაზრდას. უფრო მეტიც, მათ უარი თქვეს ლიგის მოგების წილიდან ოთხ პროცენტზე (57-დან 53-ზე ჩამოვიდნენ)

რა თქმა უნდა, საპასუხო პოზიციებით მოთამაშეებიც გამოდიან, მაგრამ მფლობელებს უნდა ესმოდეთ, რომ NBA - ეს არ არის უბრალო კორპორაცია დაქირავებული თანამშრომლებით. ეს არის ლიგა შეუცვლელი კალათბურთელებით, რომელთა „თანამდებობიდან დათხოვნის“ შემთხვევაში ახალს ვერ დაიქირავებ. ლიგის სახეს მარკ ქიუბანი ან ჯერი ბასი არ წარმოადგენენ, ლიგის სახეა - **კობი ბრაიანტი, დუეინ უეიდი, დირკ ნოვიცკი** და ა. შ. ამაში მდგომარეობს უნიკალური განსხვავება ფირმებსა და სანარმოებში ჩვეულებრივი გაფიცვებისგან და ლოკაუტებისგან. ორივე მხარე შეიძლება უბრალოდ ხელცარიელი დარჩეს. მხოლოდ მოთამაშეთა მცირე ნაწილი იპოვის „იაფ“ ნავსაყუდელს ევროპაში, მფლობლები კი უბრალოდ დაკარგავენ თავიანთი მომგებიანი ბიზნესის ნაწილს. თუმცა ეს წარუმატებელი მოლაპარაკებების ყველაზე ნეგატიური გამოვლინებაა და ამ კატაკლიზმებამდე ჯერ შორია.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, ორივე მხარე დამნაშავეა იმაში, რომ სეზონი არასრულფასოვანი იქნება. თუმცა NBA-ში მომუშავე გამოცდილი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ დევიდ სტერნი აშკარად კარგავს თავის პოზიციებს კლუბების მეპატრონეთა თვალში. მფლობელთა ახალი თაობა დიდად არ წყალობს გამოცდილ კომისარს, რომელიც 13 წლის წინ სრულად აკონტროლებდა ლოკაუტის დროს მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს, ახლა კი კლუბების ცალკეულ მფლობელთა სურვილების გათვალისწინებით მუდმივად უნდა მიიღოს კოლეგიალური გადაწყვეტილება.

სტერნმა ამ მოლაპარაკებებში აშკარად წააგო - ის, რომ ლიგა, რომელსაც ის 27 წელი ხელმძღვანელობს, გაჩერდა და უმოქმედოდაა. აშკარაა, რომ ბოლო ორი წელი მოლაპარაკებებისას შეიძლებოდა დანაკარგის პროგნოზირება (გაუქმებული ორი კვირის გამო მხარეები 400 მილიონ დოლარი დაკარგავენ) და იმის გააზრება, რამდენად დაარტყამდა ეს იძულებული გაჩერება თავად ორგანიზაციას.

შესაძლოა, სიმართლე იმალება პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორის **ბილ ჰანტერის** მინიშნებაში, რომელმაც სამშაბათს გაიხსენა სტერნის მიერ პირად საუბარში ნათქვამი. მაშინ კომისარმა განაცხადა, რომ რეგულარულის მატჩების გაუქმება ერთადერთი გამოსავალია იმისთვის, რომ მოთამაშეებს უკან დახევა აიძულოს. ჰანტერი დარწმუნებულია, რომ მატჩების გაუქმება - წინასწარ დაგეგმილი სვლა იყო. სტერნს ლამაზი გამარჯვება სურს, რომელსაც, შესაძლოა, ვერ მიაღწიოს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ NBA-ის შეფი არ ცდილობს კომპრომისის მიღწევას - მას მხოლოდ მოგება უნდა. მაგრამ მოთამაშეები ძალიან მტკიცედ დგანან საკუთარ პოზიციაზე და მზად არიან თუნდაც მთელი სეზონი გააცდინონ.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, მთელი ჩემპიონატის გაუქმება ნამდვილი კატასტროფა იქნება მთელი ლიგისთვის. გასაგებია, რომ მფლობელები ძალიან ბევრს დაკარგავენ, მოთამაშეები - თითქმის ყველაფერს. მოგვიანებით კი ძალიან რთული იქნება ასოციაციის რენომეს აღდგენა და შემოსავლების იმ დონეზე დაბრუნება, რომელიც ფანტასტიკური 2010-11 წლების სეზონის შემდეგ დაფიქსირდა. გასული სეზონის მაჩვენებლებზე ლიგის დაბრუნება ძალიან დიდ დროს წაიღებს. ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში გამარჯვებული არ არსებობს და თუ მხარეები მაინც შეათანხმებენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ფორმატს, პლუსში არავინ დარჩება. ორივე ბანაკს ეს შესანიშნავად ესმის და მაინც არაფერს თმობს. რამდენიმე ამერიკელი ანალიტიკოსი იმ აზრამდე მიდის, რომ დიალოგში ფსიქოლოგიურმა და „პოლიტიკურმა“ ფაქტორმა გადაწონა „მშრალი“ ციფრები. თუ სექტემბერსა და ოქტომბრის დასაწყისში ამბობდნენ, რომ გარიგება ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაიდოს, 10 ოქტომბერს ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ ოპტიმისტი თითქმის არ არსებობს. უმეტესობა იმ აზრამდე მიდის, რომ სეზონი 50 მატჩამდე შემცირდება, როგორც ეს 13 წლის წინ მოხდა. ზოგიერთი „გამოუსწორებელი“ პესიმისტი კი მთელი სეზონის გაუქმებაზე ლაპარაკობს.

სეზონის განახლებისთვის „მხოლოდ“ მოლაპარაკებაა საჭირო. თუმცა მფლობელების მხრიდან ეს გულისხმობს მათი პირობების მიღებას, მოთამაშეთა მხრიდან - კომპრომისული გადაწყვეტილების პოვნას. პოზიციები პრინციპულად განსხვავებულია და არ წარმოშობს პერსპექტივებს მომავალი მოლაპარაკებებისას.

კარგი იქნება, თუ ამ სიტუაციაში პესიმისტები მართლები არ გამოდგებიან, მაგრამ ყველაფერი სწორედ ამ სცენარით მიდის. სტერნმა უკვე ღიად განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში მომავალ თამაშებსაც გააუქმებს. NBA-ის კომისარმა დაამტკიცა, რომ მზად არის ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად, თუნდაც ამისთვის მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგის „მოკვლა“, მოუწიოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ჩემპიონს უჭირს, ფილადელფია შეუჩერებელია

ფილადელფიას ვერ აჩერებენ

გუშინ დილით ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში სამი მატჩი გაიმართა. NHL-ის ახალ სეზონში გუნდებმა უკვე მოასწრეს 3-4 შეხვედრის ჩატარება და თანდათან იკვეთება ჩემპიონატის ფავორიტები თუ აუთსაიდერები. ფავორიტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ „ფილდელფია ფლაიერზი", რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და სამიდან სამი გამარჯვება აქვს.

მფრინავებს რთული მეტოქე ჰყავდათ შარშანდელი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის - „ვანკუვერ კენაქსის" სახით და როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი უაღრესად დაძაბული გამოვიდა.

თუმცა პირველი პერიოდის შემხედვარე რთული იყო იმის ვარაუდი, რომ „ფილადელფიას" ამ მატჩში გაუჭირდებოდა მოგება - მასპინძლებმა მეტოქეზე ხუთით მეტი დარტყმა შეასრულეს, ამასთან, სტუმრებმა ალღო ვერ აუღეს „ფილადელფიას" სწრაფ თამაშს, უხეშობას მიმართეს და შედეგად „ფლაიერზმა" ოთხჯერ მიიღო რიცხობრივი უპირატესობა.

მასპინძლებმა პირველი ორი გოლი სწორედ მაშინ გაიტანეს, კნვუძფყ მოედანზე ერთი კაცით მეტი ჰყავდათ. აღსანიშნავია, ფილადელფიელი **კლოდ ჟირუს** შედეგიანი თამაში - მან ანგარიში გახსნა, შემდეგ კი ორი საგოლე პასი გააკეთა და ეს ყველაფერი პირველ პერიოდში მოხდა, რომელიც მასპინძლებმა 3:1 მოიგეს.

მაგრამ „ვანკუვერი" არ გატყდა და ძირითადად ძმები **სედინების** მონდომებით თანდათან გაათანაბრა თამაში. ჰენრიკ სედინმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, ხოლო მისმა ტყუპისცალმა - დანიელმა მესამე პერიოდის სტარტზე რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და 4:4-ზე თამაში თავიდან დაიწყო. თუმცა „ვანკუვერმა" დიდი ხანი ვერ გაიხარა - სედინის გოლიდან ზუსტად ერთ წუთში **დანი ბრიერის** პასით **ანდრეი მეზაროშმა** გაიტანა და როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ბოლო გოლი ამ მატჩში.

5:4 მოიგო „ფილადელფიამ" და ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს, სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტი „ვანკუვერი" კი სამ მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვებით იწონებს თავს.

■ ■ ■

კიდევ უფრო უარეს დღეშია სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ბოსტონ ბრუინზი", რომელმაც უკვე ოთხი მატჩის გამართვა მოასწრო და აქედან სამჯერ დატოვა მოედანი დამარცხებულმა. ეს ამ გუნდის ყველაზე უარესი სტარტია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ამჯერად „დათვები" სტუმრად დამარცხდნენ „კაროლინასთან". უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ, მეორე 20-წუთეულის სტარტზე მასპინძლები ფინელმა **იონი პიტკანენმა** გაიყვანა წინ. ასევე მესამე პერიოდის დასაწყისში გავიდა მეორე შაიბა „ბოსტონის" კარში - ამჯერად თავი გამოიჩინა **ენტონი სტუარტმა**.

„ბრუინზი" წინა მატჩიდან მოყოლებული ზედიზედ ხუთი პერიოდი ვერ ახერხებდა გოლის გატანას და ეს უიღბლო სერია **ტაილერ სეგინმა** შეწყვიტა, რომელმაც 1:2 გახადა ანგარიში და თავის გუნდს გადარჩენის შანსი დაუტოვა, მაგრამ ბოსტონელებს ეს შანსი „კაროლინას" ჩეხმა ლეგიონერმა **ირჟი ტლუსტიმ** მოუსპო, რომელმაც პერიოდის მე-14 წუთზე ორშაიბიანი უპირატესობა აღადგინა. მართალია, „ბოსტონმა" ერთი შაიბა გაქვითა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო და „კაროლინამ" 3:2 გაიმარჯვა.

ჩემპიონატის სტარტზე „ბრუინზის" სუსტი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი რიცხობრივი უპირატესობის ცუდი გამოყენებაა - სტუმრებმა ამ მატჩში ხუთჯერ ვერ გაითამაშეს ზედმეტი ჰოკეისტი, სულ კი განვლილ ოთხ მატჩში 18-ჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა და მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანეს.

■ ■ ■

„კოლორადო ეველანში" "ბოსტონთან" გამარჯვების შემდეგ ოჰაიოს შტატში "კოლამბუსს" ეწვია. ოთხი გატანილი გოლის მიუხედავად, მატჩმა სანახაობრივი თვალსაზრისით არ გაამართლა, სამაგიეროდ, სტატისტიკის მიხედვით იყო საინტერესო. მესამე პერიოდში "კოლორადომ" დარტყმების რაოდენობით დაჩაგრა მეტოქე - 16:1! ამასთან, მასპინძლების ეს ერთადერთი დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა! ასევე აღვნიშნავთ NHL-ში **გაბრიელ ლანდესკოგის** სადებიუტო გოლს, რომელიც "კოლორადოსთვის" გადამრჩენი გამოდგა. ზედიზედ მეორე მატჩია კარგ თამაშს აჩვენებს "ზვავების" მეკარე **სიმონ ვარლამოვი**, რომელმაც 31 დარტყმა მოიგერია და მატჩის შემდეგ ბულიტების სერიაში ორი სეივი შეასრულა.

შაქტები

- „კოლორადოსა" და „კოლამბუსის" მატჩებში ყველაზე მეტი დრო ყინულზე კოლორადოელმა **ერიკ ჯონსონმა** გაატარა - 28 წუთზე მეტი. ეს დღის სათამაშო რეკორდია;

- „ფილადელფიას" ათმა მოთამაშემ მიითვალა მინიმუმ ქულა „ვანკუვერთან" მატჩში. პირველი ქულა აიღო NHL-ში თავდამსხმელმა **შონ კოტურიემ**;

- მცველებმა **ჯო კორვომ** და **ტომაშ კაბერლემ** პირველად ითამაშეს ახალი გუნდებში თავიანთი ყოფილი კლუბების წინააღმდეგ. შარშან კორვო „კაროლინაში" გამოდიოდა, კაბერლე - „ბოსტონში".

კოლამბუსი-კოლორადო 2:3 (ბ)

0:1, 1:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 გალიარდი-1 (ო'ბირნი-1, რ. უილსონი-1), 1:1 ნეში-2, 2:1 მარტინეკი-1 (პროსპალი-2, ნეწი-3), 2:2 ლანდესკოგი-1 (ჰეიდა-2, რ. ო'რაილი-1).

ბულიტები გაიტანეს: ნეში (კოლამბუსი), ჰეიდუკი (კოლორადო), დუშენი (კოლორადო).

კაროლინა-ბოსტონი 3:2

0:0, 1:0, 2:2

გოლები: 1:0 პიტკანენი-1 (ტ. კაბერლე-1, ი. იოკინენი-2), 2:0 ე. სტიუარტი-1 (ბრენტი-1, გლისონი-3), 2:1 სეგინი-1 (ჰორტონი-1, მაკუეიდი-2), 3:1 ტლუსტი-1 (ბ. სატერი-1, დუაიერი-1), 3:2 მარჩანდი-2 (პ. ბერჟერონი-2, კორვო-2).

ფილადელფია-ვანკუვერი 5:4

3:1, 1:2, 1:1

გოლები: 1:0 ჟირუ-3 (პრონგერი-3, რიდი-1), 2:0 პრონგერი-1 (ჟირუ-1, იაგრი-2), 2:1 სამუელსონი-1 (ჰ. სედინი-4, დ. სედინი-3), 3:1 ვან რიმსდიკი-1 (ჟირუ-2), 3:2 ჰ. სედინი-1 (ბაროუზი-1, ედლერი-1), 4:2 ვორაჩეკი-2 (კუტურიე-1, ტიმონენი-1), 4:3 ჰიგინსი-2 (ბაროუზი-2, ბიეკსა-1), 4:4 დ. სედინი-2 (ედლერი-2, სამუელსონი-1), 5:4 მეზაროში-1 (ბრიერი-1).

ცხელი ხაზი

ეროვნული ბასკეთბოლი

ფეხბურთი

ევრო 2012

UNDER 17

სლოვაკეთი-ალბანეთი	1:2
გერმანია-ესტონეთი	5:0

შვეიცარია

მალმიო-ჰაკენი	1:0

II ლიგიზიონი

ვარნამო-ჰამარგიუ	1:0

ფინეთი

ჰაკა-როვანიემი	0:1
ჰიკ-იუვიასკიულა	0:0
კუოპიო-ჰონკა	1:4
ტურკუ- მიუპა	1:1
ვაასა-მარიეჰამნი	1:1

ირლანდია

შემროკი-დერი	1:0

კალათბურთი

ესპანეთი

ვალიადოლ.-ლაგუნ არო	89:86 (ო)
ბილბაო-რეალი	86:82

ხელბურთი

ჩემპიონთა ლიგა

შაფჰაუზენი-ზაგრები	27:28
ჩეხ. მედვედი-კიელჩე	30:31
კონსტანტა-კოპერი	25:27

პოკერი

ლანია

კოპენჰაგენი-ოლბორგი	5:0
ჰერნინგი-სონდერიოსკი	0:1
როდოვრე-ესბერგი	3:2 (ბ)
ფრედრიკშავნი-ოდენსე	3:4 (ბ)
სტავანგერი-სტორჰამარი	7:1
ლილეჰამერი-სტიერნენი	2:5
ვოლერენგა-რუსენბორგი	5:2
სპარტა-ფრისკ ასკერი	5:1

ფინეთი

ტაპარა-კერპეტი	3:2
იუვიასკიულა-ლუკო	4:0

ჩეხეთი

ბოლესლავი-სპარტა	1:2 (ბ)

შვეიცარია

ფერიესტადი-ტიმრა	1:2 (ბ)
შელეფტეო-ლულეა	3:2
იურგორდენი-ლინჩოპინგი	4:1

ჩოგბურთი

ATP. შანხაი

როდიკი-ალმაგრო	6:3, 6:4
ტომიჩი-დოლგოპოლოვი	7:5, 1:6, 0:6
ფერერი-ფერერო	1:6, 7:5, 6:2
ხირალდო-**ნიშიკორი**	6:7, 6:4, 3:6
ვავრინკა-**მიურეი**	4:6, 6:3, 3:6
სიმონი-**ებდენი**	2:6, 6:2, 6:7
ნადალი-**ფ. მაიერი**	6:7, 3:6
ფ. ლოპესი-ბერდიხი	6:4, 6:4

WTA. ოსაკა

მორიტა-დანილიდუ	6:2, 6:3
შვედოვა-**სხეპერსი**	6:4, 3:6, 6:7
სტოსური-დოი	6:2, 6:4
კინგი-**ბარტოლი**	1:6, 2:6

WTA. ლინცი

ციბულკოვა-ერანი	6:7, 6:3, 6:1
ბრიანტი-**საფაროვა**	4:6, 2:6
იანკოვიჩი-კეოტაკეანგი	3:6, 6:2, 6:1
კვიტოვა-მეერი	6:2, 6:3
პერვაკი-**ჰანტუხოვა**	7:5, 3:6, 4:6

TV პროგრამა

13 ოქტომბერი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
10:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ვერდერი-დორტმუნდი (LIVE).
00:30 იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის წინ.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტურის წინ.
01:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. X ტურის წინ.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-კატანია.
12:00 ახალი ამბები.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მილუოკი-ნიუ იორკი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
15:00 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-ბელგია.
17:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. დუბაი. საემიროები.
19:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი. მონტე კარლო.
22:45 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მილუოკი-ნიუ იორკი.

GMG-სპორტი 2

09:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

13:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. მრავალჭიდი. იაპონია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

10:00 ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
22:00 WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).

EUROSPORT

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).

EUROSPORT-2

22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).

ქრონიკა

ჰეი სიჯყვის კაცია

ბრიტანელმა მოკრივემ თავის დაბადების დღეზე კარიერა დაასრულა

ბრიტანელმა მძიმენონოსანმა **დევიდ ჰეიმ** დანაპირები აასრულა და გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. ჰეიმ ეს განცხადება 13 ოქტომბერს, თავის დაბადების დღეზე გააკეთა. ადრე ბრიტანელმა არაერთხელ აღნიშნა, რომ აღარ გაჯა რინგზე მას შემდეგ, რაც 31 ნელი შეუსრულდება.

თავის განცხადებაში ჰეიმ ამბობს, რომ კარიერის ამგვარად დასრულება ჯერ კიდევ მაშინ ჩაიფიქრა, როცა ათი წლის ასაკში კრიფში მეცადინეობა დაიწყო. დევიდის ოფიციალურ ვებგვერდზე ჯერ არ დაუდგიათ ინფორმაცია კარიერის დასრულების შესახებ.

დევიდ ჰეიმ პროფესიული კარიერა 2002 წელს 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში დაიწყო. 2008 წელს მან ამ წონაში WBC-ის, WBA-სა და WBO-ის ტიტულები მოიპოვა და ამის შემდეგ სუპერმძიმე წონაში გადავიდა.

2009 წლის ნოემბერში ჰეი რუს **ნიკოლაი ვალუევს** შეხვდა, რომელიც ქულებით დაამარცხა და WBA-ის ტიტული ჩამოართვა. 2010 წელს ჰეიმ ორჯერ წარმატებით დაიცვა ჩეპიონობა **ჯონ რუისთან** და **ოდლი ჰარისონთან** შეხვედრებში. მაგრამ 2011 წლის ივლისში ქულებით წააგო **ვლადიმერ კლიჩკოსთან** და ტიტული დაკარგა.

11 ოქტომბერს ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** Sky Sports-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დღეისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჰეისა და **ვიტალი კლიჩკოს** შორის ბრძოლის ორგანიზებაზე. ბენტემ თქვა, რომ ამ ბრძოლის ჩატარების შანსი მაღალია იმის მიუხედავად, დაასრულებს თუ არა კარიერას ბრიტანელი მოკრივე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა


დევიდ ჰეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

წლის ბოლომდე პირველი

მას შემდეგ, რაც გუშინ **რაფაელ ნადალმა** შანხაის მასტერსზე მერვედფინალი წააგო გერმანელ **ფლორიან მაიერთან**, ოფიციალურად გაირკვა, რომ სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს რეიტინგის პირველი ნომრის სტატუსს. ნოვაკი გახდა მე-16 მოთამაშე ისტორიაში, ვინც სეზონს ATP-ის კლასიფიკაციის სათავეში დაასრულებს.

24 წლის ჩოგბურთელი პირველი სერბია ისტორიაში, ვინც წელი რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე დაამთავრა. გარდა ამისა, რეკორდია ევროპელების რვანლიანი ბატონობა ATP-ის კლასიფიკაციაში. ბოლო არაევროპელი, ვინც სეზონი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა, ამერიკელი **ენდი როდიკი** იყო (2003). მას შემდეგ ტურში **როჯერ ფედერერი** და რაფაელ ნადალი დომინირებდნენ, ახლა კი ნოვაკ ჯოკოვიჩის ჯერი დადგა.

ჯოკოვიჩი კლასიფიკაციას სათავეში უიმბლდონის მოგების შემდეგ ჩაუდგა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონი მან 41-მატჩიანი მოგებათა სერიით დაიწყო. 2011 წელს 11 ფინალი ითამაშა და ათი მოიგო, მათ შორის „დიდი სლემის“ სამი ტურნირი (ავსტრალიის ღია პირველობა, უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა) და ხუთი მასტერსი (ინდიან უელსი, მაიამი, მადრიდი, რომი, მონრეალი).

ამ მომენტისთვის ნოვაკის ანგარიშზეა 64 მოგება და 3 წაგება. მან წელს რეიტინგის ტოპ-ათეულის წევრებს 20 მატჩი მოუგო და ორჯერ დამარცხდა. ექვსჯერ სძლია რაფაელ ნადალს და ოთხჯერ - როჯერ ფედერერს.

სეზონის ბოლომდე ნოვაკ ჯოკოვიჩი კიდევ სამ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას - ბაზელში, პარიზსა (მასტერსი) და ლონდონში (წლის შემაჯამებელი ტურნირი).

წლის პირველ ნომრად დასრულებისთვის განკუთვნილ პრიზს ჯოკოვიჩს ლონდონის ტურნირის (20-27 ნოემბერი) დროს გადასცემენ.

აქვე გთავაზობთ იმ ჩოგბურთელების სრულ სიას, რომლებმაც ATP-ის რეიტინგის დაარსებიდან დღემდე პირველი ნომრის რანგში დაასრულეს სეზონი:

2011 - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
2010 - რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
2009 - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
2008 - რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
2007 - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
2006 - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
2005 - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
2004 - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
2003 - ენდი როდიკი (აშშ)
2002 - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)
2001 - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)
2000 - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)
1999 - ანდრე აგასი (აშშ)
1998 - პიტ სამპრასი (აშშ)
1997 - პიტ სამპრასი (აშშ)
1996 - პიტ სამპრასი (აშშ)
1995 - პიტ სამპრასი (აშშ)
1994 - პიტ სამპრასი (აშშ)
1993 - პიტ სამპრასი (აშშ)
1992 - ჯიმ კურიე (აშშ)
1991 - სტეფან ედბერგი (შვედეთი)
1990 - სტეფან ედბერგი (შვედეთი)
1989 - ივან ლენდლი (ჩეხეთი)
1988 - მატს ვილანდერი (შვედეთი)
1987 - ივან ლენდლი (ჩეხეთი)
1986 - ივან ლენდლი (ჩეხეთი)
1985 - ივან ლენდლი (ჩეხეთი)
1984 - ჯონ მაკენროი (აშშ)
1983 - ჯონ მაკენროი (აშშ)
1982 - ჯონ მაკენროი (აშშ)
1981 - ჯონ მაკენროი (აშშ)
1980 - ბიორნ ბორგი (შვედეთი)
1979 - ბიორნ ბორგი (შვედეთი)
1978 - ჯიმი კონორსი (აშშ)
1977 - ჯიმი კონორსი (აშშ)
1976 - ჯიმი კონორსი (აშშ)
1975 - ჯიმი კონორსი (აშშ)
1974 - ჯიმი კონორსი (აშშ)
1973 - ილიე ნასტასე (რუმინეთი)



ნადალი გასაჭირშია

რაფაელ ნადალი

სენსაციური დღე იყო გუშინ შანხაის მასტერსზე. მერვედფინალურ ეტაპს რამდენიმე ფავორიტი გამოეთიშა, მათ შორის მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი**.

ესპანელი მეოთხედფინალში გადასასვლელ შეხვედრაში გერმანელ **ფლორიან მაიერს** ხვდებოდა. წელს ნადალის სათამაშო და ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ გუშინ ბევრი არ ჩავიდოდა ფსონს მაიერზე, რომელმაც, მართალია, წინა წრეში დამაჯერებლად მოუგო არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს, მაგრამ ამგვარ გმირობას მისგან არავინ ელოდა.

დრამატული აღმოჩნდა პირველი სეტი. 4:5-ზე ნადალმა ორი სეტბოლის მოგერიება მოახერხა და თითქოს ტაი-ბრეიკზე უნდა გაეტეხა გერმანელის წინააღმდეგობა. რაფა „შემოკლებულ გეიმში“ 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ისევ აურია თამაში და ზედიზედ ოთხი ბურთი წააგო. მაიერმა კიდევ ორი სეტბოლი მიიღო და მეორე ცდაზე პარტია თავის სასარგებლოდ დასრულა.

მეორე სეტში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეშვიდე გეიმი, რომელშიც ფლორიანმა ბრეიკი გააკეთა და უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა.

მაიერი წელს საუკეთესო სეზონს ატარებს. კარიერაში პირველი ტურნირი მან გასულ თვეში მოიგო - ბუქარესტის ფინალში **პაბლო ანდუხარი** დაამარცხა. გარდა ამისა, მეორედ გავიდა მასტერსის სერიის ტურნირის მეოთხედფინალში. პირველად მსგავსი რამ ასევე მიმდინარე სეზონში მოხდა, როცა გერმანელი მადრიდის მასტერსის საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვდა და იქ **ენდი მიურეისთან** წააგო.

დღეს მეოთხედფინალში მაიერი კიდევ ერთ ესპანელს, **ფელისიანო ლოპესს** შეხვდება, რომელმაც დღის მორიგი მოულოდნელი შედეგი დააფიქსირა - 82 წუთში ორ სეტში (6:4, 6:4) სძლია **ტომაშ ბერდიხს**, რომელიც წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად იბრძვის.

მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანმა თითო სეტში თითოჯერ დათმო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, თავად კი მატჩი ისე დაასრულა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ეს იყო ამ ჩოგბურთელთა რიგით მეშვიდე შეხვედრა და ახლა ესპანელი ჩეხთან პირად მატჩებში წინ გავიდა - 4:3.

კიდევ ერთი სენსაცია შემოგვთავაზა 23 წლის ავსტრალიელმა **მეტიუ ებდენმა**, რომელმაც მეოთხედფინალში არ გაუშვა მსოფლიოს მე-12 ჩოგანი, ფრანგი **ჟილ სიმონი**. ამ დაძაბული მატჩის ბედი მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომლის ანგარიში იყო 10:8 ებდენის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ავსტრალიელის მტკიცე ნერვები - ბოლო სეტში მას ხუთი მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია და კარგად გამოძვრა ამ რთული სიტუაციიდან.

მეოთხედფინალში ებდენს სერიოზული გამოცდა ელის შანხაის მასტერსის მოქმედ ჩემპიონთან ენდი მიურეისთან. ბრიტანელმა 2 საათი და 11 წუთი დახარჯა შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** დასამარცხებლად.

პირველ პარტიაში მიურეიმ ორი ბრეიკი გააკეთა, რაზეც შვეიცარიელმა მხოლოდ ერთით უპასუხა. მეორეში ბრიტანელს თამაში არ წაუვიდა: ვერც ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ მოიპოვა და გადამწყვეტ მომენტში ორმაგი შეცდომა დაუშვა, რამაც ვავრინკას ბრეიკი მოუტანა. გადამწყვეტი სეტი მიურეიმ გაცილებით აქტიურად დაიწყო და სწრაფად მოიპოვა ორბრეიკიანი უპირატესობა. მაგრამ შვეიცარიელს დანებება არ უფიქრია და შეძლო ერთი დაკარგული გეიმის დაბრუნება, რითაც ენდის პირველ ცდაზე მატჩზე ჩაწოდების საშუალება არ მისცა. მეცხრე გეიმში მიურეიმ მაინც დაასრულა შეხვედრა თავის სასარგებლოდ - 6:4, 3:6, 6:3.

ბრიტანელმა ბოლო 23 მატჩში 22-ედ მოიგო და ბოლო სამი კვირის განმავლობაში მესამე ტიტულს უმიზნებს.

დღის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შეხვედრა იყო ესპანური დერბი **დავიდ ფერერსა** და **ხუან-კარლოს ფერეროს** შორის. ვეტერანმა ფერერომ პირველ სეტში უმაღლესი დონის ჩოგბურთი აჩვენა და ერთადერთი გეიმი დაუთმო მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს. მატჩის კულმინაცია გახდა მეორე სეტის მეათე გეიმი, როცა 5:4-ზე ფერეროს მეტოქის მოწოდებაზე სამი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ფერერმა გაათანაბრა ანგარიში და შემდეგ ზედიზედ ორი გეიმი აიღო, რითაც საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა და გადამწყვეტ სეტში 6:2 გაიმარჯვა.

თანდათან შედის ფორმაში **ენდი როდიკი**. ამ სეზონში იშვიათად ხდება, როცა ეს ჩოგბურთელი ერთ ტურნირში სამ შეხვედრას იგებს, შანხაის მასტერსზე კი მან ეს მოახერხა, თანაც ყოველ მომდევნო მატჩში აუმჯობესებს თამაშს.

ესპანელ **ნიკოლას ალმაგროსთან** მატჩში როდიკმა კარგად გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი - მოწოდება. ამერიკელის ანგარიშზე 11 ეისი მოდის, თანაც მის მოწოდებაზე გათამაშებული 48 ქულიდან როდიკმა 40 მიითვალა. საბოლოოდ, 6:3, 6:4 და ეს იყო ენდის 24-ე მოგება წელს ჰარდზე ჩატარებული 33 მატჩიდან.

საუკეთესო იაპონელი

გამორჩეული დღე ჰქონდა გუშინ იაპონელ კეი ნიშიკორს. ჯერერთი იმიტომ, რომ კოლუმბიელი **სანტიაგო ხირალდოს** სამ სეტში (7:6, 4:6, 6:3) დამარცხებით კარიერაში პირველად გავიდა მასტერსის სერიის მეოთხედფინალში, მაგრამ რაც მთავარია, ორშაბათიდან, რაცა ATP ახალ რეიტინგს გამოაქვეყნებს, ნიშიკორი იაპონური ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალ ადგილს დაიკავებს კლასიფიკაციაში. კეი ამჟამად 47-ე ადგილზეა რეიტინგში, რეკორდი კი ეკუთვნის **შუზო მაცუოკას**, რომელსაც 1992 წლის ივლისში 46-ე პოზიცია ეჭირა. შანხაის მასტერსზე წარმატების შემდეგ ნიშიკორი ამ შედეგს გააუმჯობესებს.

„შუზო მაცუოკა ჩემი მასწავლებელი იყო, - განაცხადა ნიშიკორიმ. - ჩემთვის დიდი პატივია მისი რეკორდის გაუმჯობესება და იაპონიის ნომერ პირველი ჩოგბურთელის სახელი“.

Shanghai Rolex Masters

შანხაი (ჩინეთი). პარდი

1/8 ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 3)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 1:6, 7:5, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 10)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 7) 6:3, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 13) 6:4, 3:6, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6) 6:4, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ, 15)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 7:6(5), 6:3; მეტიუ ებდენი (ავსტრა)-ჟილ სიმონი (საფ, 8) 6:2, 2:6, 7:6(8); **კეი ნიშიკორი (იაპ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6(6), 4:6, 6:3; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 12)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 5:7, 6:1, 6:0.

1/4 ფინალი

ფერერი (3)-როდიკი (10); დოლგოპოლოვი (12)-ნიშიკორი; ფ. მაიერი-ფ. ლოპესი; ებდენი-მიურეი (2).

ფერერიც ლონდონში მიდის

ესპანელი **დავიდ ფერერი** მეხუთე ჩოგბურთელია, ვინც სეზონის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მიიღო. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ესპანელმა შანხაის მასტერსის მერვედფინალში თანამემამულე **ხუან კარლოს ფერერი** დაამარცხა.

ფერერი შეუერთდა **ნოვაკ ჯოკოვიჩს, რაფაელ ნადალს, ენდი მიურეისა** და **როჯერ ფედერერს**, რომლებმაც უფრო ადრე გაინაღდეს ლონდონის ტურნირზე თამაში.

29 წლის ვალენსიელი კარიერაში მესამედ ითამაშებს სეზონის ფინალში. 2007 წელს დავიდმა ჯგუფურ ტურნირზე ყველა მატჩი მოიგო და საბოლოოდ, ფინალში გააღწია, სადაც პირველი სეტი წააგო როჯერ ფედერერთან, შემდეგ მატჩი ტრავმის გამო შეწყვიტა.

ფერერმა წელს ორი ტურნირი მოიგო - ოკლენდსა (ფინალში დაამარცხა **დავიდ ნალბანდიანი**) და აკაპულკოში (მოუგო **ნიკოლას ალმაგროს**). ითამაშა მონტე-კარლოს მასტერსის (წააგო რაფაელ ნადალთან), ბარსელონასა და ბაშტადის ფინალებში. ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გააღწია და იქ ნადალთან წააგო.

გასარკვევია ლონდონის ტურნირის კიდევ სამი საგზურის ბედი. მასზე ხუთი ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას: **ტომაშ ბერდიხი** (მე-6 ჩოგანი), **მერდი ფიში** (7), **ჟო-ვილფრიდ ცონგა** (8), **ნიკოლას ალმაგრო** (9) და **ჟილ სიმონი** (10).

ამბები

ჩოგბურთი

ჟიმონჟიჩის 500

შანხაის მასტერსზე პარალელურად წყვილთა თანრიგში შეჯიბრიც მიმდინარეობს და მეორე წრის ერთ-ერთ მატჩში სერბმა **ნენად ჟიმონჟიჩმა** და ფრანგმა **მიკაელ ლოდრამ** სამ სეტში დაამარცხეს იტალიელების - **სიმონე ბოლელისა** და **ფაბიო ფონინის** დუეტი (5:7, 6:3, 10:6). ეს მატჩი იმით არის აღსანიშნავი, რომ სერბმა ჩოგბურთელმა წყვილთა თანრიგში კარიერაში მე-500 გამარჯვებას მიაღწია.

"ტიტულების მოგებია სურვილი - ეს არის წინსვლის მთავარი სტიმული. სწორედ ეს მეხმარება გამარჯვებების მოპოვებაში, - ამბობს ჟიმონჟიჩი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - რიცხვი "500" დაუჯერებელია. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ყველა პარტნიორს, ვის გვერდითაც კარიერის განმავლობაში მითამაშია".

კალათბურთი

ევროლიგა იცვლება

ევროლიგის ხელმძღვანელობა 2012-13 წლების სეზონისთვის გათამაშების ფორმატის შეცვლას აპირებს. რეფორმა შეეხება ტურნირის მეორე ეტაპს: 16 საუკეთესო გუნდი არა ოთხ, არამედ ორ ქვეჯგუფად დაიყოფა.

გარდა ამისა, ტურნირის ორგანიზატორებს სურთ მატჩები არა სამშაბათსა და ოთხშაბათს, არამედ პარასკევს გაიმართოს. ამით ისინი თავიდან აიცილებენ საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგასთან სატელევიზიო კონკურენციას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა